პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 მარტი **სამშაბათი** 2010

№061 (13049) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## პრეზიდენტმა მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა: SUPER!

ინტერვიუ გიორგი მერებაშვილთან >> გვერდი 2,4

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

**ტიმ ლეიინი**

# რუსები ფიზიკურად უნდა დავჯაბნოთ

გოგიტა ბუხაიძის ფოტო



ინტერვიუ ნაკრების მთავარ მწვრთნელთან >> გვერდი 13

ჩვენი კორესპონდენტის ბესიკ ჭანგავაძის რეპორტაჟები ტრაბზონიდან

# ყველაფერი დამთავრდა

## ბექჰემისთვის მუნდიალი არ იქნება



>> გვერდი 6

## იტალიას ინტერის იმედი აქვს, რუსები ესპანეთში

# ბალაკი: შენ უკვე წარსული ხარ, ჟოზე!

სენსაციას გეგმავენ




ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

>> გვერდი 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ამაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათო...

## ლოკომოტივის დირექტორს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ

„ლელოს“ მკითხველისთვის ცნობილია, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ჩაწყობილი თამაშებისა და მსაჯთა მიკერძოების ალკვეთის მიზნით, თბილისის „ლოკომოტივის“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ნებიერიძემ პროფლიგის ხელმძღვანელობას კონკრეტული წინადადებებით მიმართა. იდეა ასეთია - ყოველი მატჩის შემდეგ უნდა ჩატარდეს მაყურებელთა გამოკითხვა, თუ რამდენად სამართლიანი იყო თამაში და ობიექტურად იმსაჯა თუ არა მატჩზე მივლინებულმა ბრიგადამ. გამოკითხვა უნდა იყოს ანონიმური. თუ მაყურებლის 75%+1 ჩათვლის, რომ მატჩი „სამართლიანი თამაშის პრინციპების“ დარღვევით ჩატარდა, შედეგი უნდა გაუქმდეს და ორივე გუნდი დაისაჯოს. გამოკითხვაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მინიმუმ 100-მა ადამიანმა ან სტადიონზე დამსწრეთა მინიმუმ 30-მა პროცენტმა, - ასეთია ნებიერიძის იდეა.

რამდენად რეალური და სასურველია მაყურებლის ამ საქმეში ჩართვა? ამის თაობაზე აზრი რამდენიმე კლუბის წარმომადგენელს ვკითხეთ.

**ზაზა ადეიშვილი,**
სამტრედიის პრეზიდენტი

- თავისთავად, იდეა საინტერესოა, რადგან გარიგებული მატჩები ჩვენი ფეხბურთის შავი ლაქაა. კი, ბატონო, ჩამოყალიბდეს სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული კომისია, მაგრამ გულშემატკივარი საფეხბურთო საზოგადოების ყველაზე ხალასი და ალალმართალი მხარეა და ძალიან მგრძნობიარეა ამ პრობლემის მიმართ. მივიღოთ ეს იდეა, მე ორივე ხელით მივესალმები. ნებისმიერი მატჩის შემდეგ მედიისა და მატჩის მომსახურე პერსონალთან ერთად, გულშემატკივარსაც ვკითხოთ, იყო თუ არა დაცული „სამართლიანი თამაშის“ პრინციპი.



**- ანონიმური გამოკითხვის მომხრე ბრძანდებით?**

- თუნდაც ანონიმური გამოკითხვა იყოს, ამის მომხრეც ვარ. თუმცა ეს ვილაცამ უნდა გააკეთოს - ვინ და რომელმა ორგანიზაციამ, ესაა შესათანხმებელი, ფორმაა მოსაძებნი და დასახვეწი, მაგრამ იდეა ძალიან საინტერესოა. გულშემატკივარი ყველაზე გულწრფელი მხარეა. თუ გარიგებული მატჩი დაინახა, ის პირველ რიგში საკუთარ გუნდს არ დაინდობს.

**ბესიკ ჩიხრაძე,**
გაგრის პრეზიდენტი

- მივესალმები ყველა იდეას, რომელიც ჩვენს ფეხბურთს წაადგება. უბრალოდ, ვერ ვხედავ იმ ფორმას, რომლითაც ასეთი გამოკითხვის ჩატარებაა შესაძლებელი. სიმართლე გითხრათ, იდეა ბოლომდე ვერ გავიგე - გულშემატკივარმა როგორ უნდა გაარკვიოს, თამაში ჩაწყობილია თუ არა?

**- ნებიერიძის თქმით, ეს მატჩის შემდეგ, ბილეთზე მითითებულ კითხვარებზე პასუხის გაცემითაა შესაძლებელი.**

- ეს გავიგე, გულშემატკივრის აზრით ყოველთვის უნდა ვინტერესდებოდეთ, მაგრამ არა - გადაწყვეტილების მიღებისას.

**დიმიტრი სანაკოევი,**
სპარტაკის პრეზიდენტი

- ვფიქრობ, საფეხბურთო ცხოვრებასა და მატჩების განხილვაში გულშემატკივრის როლის გაზრდა სასურველი იქნება. თუმცა ასეთი მნიშვნელოვანი განაჩენის გამოტანა მხოლოდ მათ არ უნდა მივანდოთ, ეს არასწორი იქნება. ასეთ საკითხებში სპეციალისტებიც უნდა ჩაერთონ. თუმცა გულშემატკივრებსაც უნდა მიეცეთ საშუალება, რომ პრობლემებში ღრმად ჩაიხედონ. ფეხბურთი ხომ სწორედ გულშემატკივრისაა.

**- ქომაგთა ბოლომდე ნდობა რატომ არ შეიძლება, ჭორებს აჰყვებიან?**

- სასურველი იქნება სპეციალისტებისა და გულშემატკივრების ერთობლივი მუშაობა. ეს იმდენად რთული თემაა, გადაწყვეტილების მიმღები დეტალურ ინფორმაციას უნდა ფლობდეს. თუმცა გულშემატკივრის აზრით ყველა კლუბი უნდა ინტერესდებოდეს. თუკი ჩვენი კლუბებისა და მთლიანობაში, ქართული ფეხბურთის განვითარება გვსურს, ეს თითოეული ჩვენგანისთვის სტიმული გახდება.

**- ასეთ პრინციპულ საკითხში სპეციალისტები ახლობლობა-მეგობრობას დაივიწყებენ და ობიექტურობას გამოიჩენენ?**



- ჩვენ უნდა დავამარცხოთ საკუთარი ცრუ შეხედულებები და ვიცოდეთ, რომ სიმართლე ყველაზე დიდი მეგობარი და ნათესავია. სიმართლის თქმა სირცხვილი კი არა, პირიქით, თითოეული ჩვენგანისთვის სასარგებლოა.

**გია გეგუჩაძე,**
ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი

- მგონი, გამოკითხვა სუბიექტური იქნება.

**- რატომ?**



- შესაძლოა, ამა თუ იმ გულშემატკივრის ფავორიტმა გუნდმა წააგოს და ეს მსაჯს დააბრალოს. უამრავი დეტალია გასათვალისწინებელი. ეს მაინც არ იქნება კომპეტენტური აზრი. არადა, სერიოზული სენი შეგვეყარა და ამას მიხედვა უნდა.

**- როგორ, რაინაირად უნდა მიეხედოს?**

- ელემენტარულად, ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით უნდა ჩამოყალიბდეს კომისია, რომელშიც შევლენ კომპეტენტური ადამიანები და ამ ჯგუფს აბსოლუტურად ყველა კლუბი ნდობას გამოუცხადებს. სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, გარიგებულია თუ არა თამაში და რამდენად ობიექტური იყო მსაჯობა. სხვანაირად ეს ვერ მოხერხდება.

**- ნებიერიძე ამბობს, საქართველო პატარა ქვეყანაა და გულშემატკივართა ჩართვაც იმიტომაა საჭირო, რომ ეს კომპეტენტური ადამიანები ყველას ანგარიშს უწევენ, საბოლოოდ კი თავად ქართული ფეხბურთის ინტერესები ალარავის ახსოვს და რეალურ გადაწყვეტილებებს არავინ იღებს.**

- ესეც ერთ-ერთი პრობლემაა. ქართველებს გვახასიათებს ნათესავის, მეგობრისა და ახლობლის დაფასება და ეს ჩემთვის მისაღებია, მაგრამ საქმეში ეს ყველაფერი მიუღებელია და მით უფრო, პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას. ამაზე ერთხელ და სამუდამოდ უარი უნდა ვთქვათ და მაშინ გვექნება ფეხბურთი. „არა“ ნიშნავს კეთილ ნებას და არა - ვინმესთან მტრობას.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ



## გიორგი მერებაშვილი

# დროულად წავედი, საქართველოში ველარ მოვუმატებდი

სამი მატჩი, თითო გატანილი ბურთი და საგოლე პასი - ასეთია ეროვნული ნაკრებისა და სერბული „ვოევოდინას“ ქართველი თავდამსხმელის, გიორგი მერებაშვილის მონაგარი ახალ გუნდში. შეგახსენებთ, რომ მერებაშვილი თებერვალში გადაბარგდა ბალკანეთში და უკვე შეძლო ახალი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება.

შედეგებს თავი რომ დავანებოთ, გიორგი ჟურნალისტებისთვის მართლაც სასურველი რესპონდენტია. ის გულწრფელად საუბრობს ნებისმიერ საკითხზე და არაერთი დადებითი თვისებით გამოირჩევა.

გასულ უქმეებზე გიორგი მერებაშვილმა „ვოევოდინაში“ გოლთა პირადი აქტივი გახსნა. „ჩიკარიჩკისთან“ გამართულ შეხვედრაში მერებაშვილმა 85-ე წუთზე გატანილი პენალტით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

გიორგის ბოლოს ჩატარებულ შეხვედრაზე, წინა თამაშებზე, ეროვნულ ნაკრებში თემურ ქეცბაიას სადებიუტო მატჩსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გავესაუბრეთ. ერთი სიტყვით, ინტერვიუ ვრცელი, მაგრამ საკმაოდ საინტერესოა და სჯობს თავად გაეცნოთ.

### პრეზიდენტმა მხოლოდ ერთი მითხრა: SUPER!

**- გიორგი, მესამე მატჩში, „ვოევოდინას“ რიგებში პირველი გოლი გაიტანეთ. საუბარიც ამ თემით დავიწყოთ...**

- მართალია „ჩიკარიჩკი“ აუტსაიდერია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 4:0 მოვიგეთ, იოლი მატჩი არ გვქონია - მეტოქე ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის და ხისტ თამაშსაც არ ერიდებოდა... არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მეც შემეძლო გატანა, მაგრამ მხოლოდ პენალტი ვაქციე გოლად.

**- პენალტი დაარტყით, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ გუნდში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობთ...**

- გუნდში ნდობას მართლაც ვგრძნობ, მწვრთნელის ნდობა კი ყველა ფეხბურთელისთვის დიდი სტიმულია.

**- მომავალშიც თქვენ შეასრულებთ გუნდში პენალტებს?**

- გუნდში შტატიან პენალისტად დრაგან მრჯა ითვლება. ეს პენალტიც მას უნდა დაერტყა, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა დაგვიძახა, თერთმეტმეტრიანი გიომ დაარტყასო და მეც ახალ გუნდში პირველი გოლი გავიტანე.

**- მატჩის შემდეგ რა გითხრეს?**

- ყველა გახარებული ვიყავით. კლუბის პრეზიდენტმა მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა: SUPER!

**- ამ მოგების შემდეგ მესამე ადგილზე ხართ, მაგრამ წინა ორ გუნდს დიდად ჩამორჩებით. ამ სეზონში რისთვის იბრძვის „ვოევოდინა“?**

- „პარტიზანს“ 14, „ცრვენა ზვეზდას“ კი 19 ქულით ჩამოვრჩებით. ასე რომ, მესამე ადგილი უნდა შევინარჩუნოთ. ჩვენი მთავარი მიზანი თასის მოპოვებაა. „ვოევოდინა“ სერბეთის ჩემპიონი ადრე კი ყოფილა, მაგრამ თასი არასდროს მოუპოვებია და ამ ტიტულისთვის ვიბრძვით. თასის ნახევარფინალი ერთმატჩიანია, აპრილის დასაწყისში „პარტიზანს“ ვეთამაშებით, ვიმედოვნებ, რომ ამ ბარიერს გადავლახავთ.

### ვოევოდინა ტრამპლინია, უკეთეს ლიგაში უნდა ვითამაშო

**- კულას „ჰაიდუკთან“ 3:2 მოგებულ შეხვედრაში ტანასიავიჩმა თქვენი პასი გოლად აქცია. ეს მატჩი და საგოლე გადაცემაც გავიხსენოთ...**

- მარცხენა მცველისგან მოედნის ცენტრში პასი მივიღე. ორი მეტოქე ჩამოვიცილე და და ტუმბასევიჩს მივეცი. თანაგუნდელი ფაქტობრივად პირისპირ დავტოვე მეტოქესთან. მანაც ერთი შეხებით მიიღო და „ცხრიანში“ ეფექტური ბურთი გაიტანა. ამ გოლით ჩვენმა გუნდმა 2:2 გახადა ანგარიში, მატჩის ბოლო წუთზე ტანასიევიჩმა კიდევ ერთი გაიტანა და 3:2 მოვიგეთ.

**- პირველივე მატჩში გოლის თანაავტორი გახდით. რა გითხრეს ახალი გუნდის მესვეურებმა?**

» მე-4 გვერდზე

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. XXV ტურის მიმოხილვა

# ახლა მარტს დავაბრალოთ?..

...თებერვალს „ვაკრიტიკებდით": თოვლის გამო ჩემპიონატის მატჩების ჩატარება შეუძლებელი გახდაო; სამაგიეროდ, იმედით ველოდით გაზაფხულის შემოსვლას: ბუნება აყვავებას დაიწყებს, ჩვენს მოედნებზე ბალახი აბიბინდება და თვითონ ფეხბურთელები ხომ იფრენენ და იფრენენო! სინამდვილეში კი, რა და როგორ მოხდა, კარგად მოგეხსენებათ: გაზაფხულის პირველი თვის ნახევარი მიილია და ტურიდან - ტურამდე ერთიმეორეზე უბადრუკ ბურთაობას ვუცქერთ; ვითომ, მხოლოდ მარტის ჭირვეულობის ბრალია, ჩვენს ფეხბურთელებს მოედანზე სირბილი რომ ეზარებათ? მერე კიდევ, ხან - თოვლიო, ხან - წვიმაო, მოკლედ, არადა არ გველირსა... „საფეხბურთო ამინდის" დადგომა. ახლაც, გადაულებელმა წვიმამ უკანასკნელი ტურის რამდენიმე მატჩს სერიოზული დალი დაასვა - ზუგდიდსა და სამტრედიაში ჩატარებულ თამაშებში, ატალახებულ გაზონზე ბურთაობა მართლაც რომ ჭირდა. თუმცა, სადაც ხელოვნური საფარია დაგებული, როგორ ფიქრობთ, ფეხბურთელებისათვის იქ რალას უნდა შეეშალა ხელი? მით უფრო, როცა ერთმანეთს გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი და მოქმედი ჩემპიონი ხვდებოდნენ - მაგრამ ისე, როგორც წინა ტურში, ცენტრალურმა დაპირისპირებამ მოლოდინი ამჯერადაც არ გაამართლა. ამას გარდა, ასევე წინა ტურის მსგავსად, გოლები კვლავაც სანთლით საძებნელია - ამჯერადაც ხუთ მატჩში მხოლოდ ხუთი გოლი გავიდა. საერთოდ კი, მარტის დაწყებიდან მართლაც მეტისმეტად „უცნაური" ტენდენცია შეინიშნება - დღეისთვის 13 შეხვედრაა ჩატარებული და 13 გოლია გასული. ოღონდ, არც ისეა საქმე, თითქოს ჩვენი გუნდების მეკარეები და მცველები უშეღავათო პაექრობებში ჯაბნიან მოწინააღმდეგეთა შემტევებს; უბრალოდ, ჩვენს ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას ალბათ, ჰგონია, რომ სწრაფად ან „ერთი შეხებით" თამაში აუცილებელი სულაც არ არის...




## სამსაჯო თემა

უნდა ვაღიაროთ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ სამსაჯო სკანდალებმა აშკარად იკლო. რალა თქმა უნდა, სამსაჯო კომიტეტში განხორციელებული ცვლილებებიც ჯერჯერობით ამართლებს: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კონკრეტული ტურის წინ მატჩებზე განაწილებული არბიტრების ვინაობა მკაცრად გასაიდუმლოებული აღარ არის. ჩვენი არბიტრებიც, ასე თუ ისე, წარმატებით უძღვებიან ჩემპიონატის მატჩებს; მაგრამ, ძნელი სათქმელია, რა ან როგორ იქნება სეზონის ფინიშისკენ, როცა გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყება.

საერთოდ კი, მართლაც იშვიათად შეგვხვედრია ისეთი სიტუაცია, წაგებული გუნდის ხელმძღვანელობას საკუთარ წარუმატებლობაში არბიტრი რომ არ დაედანაშაულებინა. მსაჯების ადვოკატად ნამდვილად ვერ გამოვდგებით, მით უფრო, რომ ხანდახან ისინიც ცდებიან; მაგრამ, ყოველთვის გვინდა, რომ ქართველი არბიტრების ესა თუ ის შეცდომა უფრო შემთხვევითობას დავაბრალოთ, ვიდრე გამიზნულ მიკერძოებასა თუ ტენდენციურობას. მოკლედ, განვლილ ტურში მსაჯების მიმართ პრეტენზია ბლომად იყო: თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ზუგდიდში არბიტრმა არაკვალიფიციურად იმსაჯა. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ „ლელოში" „დინამოს" მმართველმა დირექტორმა **ბუბა ტყავაძემ** ასე შეაფასა ფიფას არბიტრის **გიორგი ვადაჭკორიას** ქმედება. დინამოელების აზრით, პირველ ტაიმში არბიტრი ორჯერ შეცდა: ერთხელ გოლი არ ჩათვალა, მეორედ კი პენალტი არ დანიშნა...

უკმაყოფილონი იყვნენ მსაჯის მოქმედებით (თან - მთელი მატჩის განმავლობაში) „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებიც - „ოლიმპთან" შეხვედრაში „ვეტერინარები" არბიტრ **მამუკა ურუშაძის** თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. ალარაფერს ვამბობთ იმ მართლაც სადავო ეპიზოდზე, როდესაც **გრიგოლ ბედიაშვილის** კარში პენალტი დაინიშნა - გუშინაც ვთქვით და დღესაც გავიმეორებთ, რომ სიტუაცია ერთობ საკამათო იყო. სხვათა შორის, ამავე მატჩში ძალიან ბევრს მოეჩვენა, რომ არბიტრმა ცოტა ადრე დაამთავრა თამაში - ყოველ შემთხვევაში, სამი დამატებული წუთი „უცნაურად" მალე გავიდა...

სამსაჯო თემა კი ტურის ერთადერთი გაძევებით დავასრულოთ: „სამტრედია"-„გაგრას" შეხვედრაში არბიტრმა **ლევან კვარაცხელიამ** სტუმართა მეკარე **ზვიად სტურუას** „უკანასკნელი იმედის ჯარიმისათვის" წითელი ბარათი უჩვენა. თუმცა, სტუმრებს არც ეს ფაქტი გაუპროტესტებიათ და არც მათ კარში დანიშნული პენალტი. უბრალოდ, ეს ფაქტი ალბათ, თვითონ ზვიად სტურუასთვის იქნებოდა მეტად არასასიამოვნო: გამოცდილი მეკარე მშობლიურ ქალაქში ხანგრძლივი შესვენების მერე დაბრუნდა, ოღონდ, ამჯერად მეტოქის რანგში...

## ვადამდელი ჩემპიონი

სამტრედიაში ჩატარებულ თამაშს 1500 გულშემატკივარი დაესწრო, ზუგდიდში 2000-მდე, ხოლო ზესტაფონში - 3000! თან, ნუ დაგვავიწყდება, სამივეგან ისეთი ამინდი იყო, „საფეხბურთო" ნამდვილად რომ არ ეთქმოდა. რა თქმა უნდა, ასეთი ფაქტები ყვლას უნდა გვახარებდეს; ოღონდ, საპირისპირო და მეტად დამაფიქრებელი ტენდენციაა აღმოსავლეთ საქართველოში - თბილისში, გორში, რუსთავსა და ბოლნისში სტადიონები კვლავაც ვერ ივსება. არადა, იმავე რუსთავში, წესითა და რიგით, გულშემატკივრებს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეთ: „ოლიმპი" ტურიდან ტურამდე ზრდის უპირატესობას უახლოეს მდევართან და არ არის შორს ის დღე, ამ გუნდს ჩემპიონობა ვადაზე ადრე მივულოცოთ.

ახლაც, ამ ტურში „ოლიმპმა" მინიმალური სხვაობით გაიმარჯვა და უკვე ცხრა ქულით უსწრებს დროებით კრიზისში მყოფ „ზესტაფონს". ჰო, საჩემპიონო რბოლა, ფაქტობრივად დასრულებულადაც შეგვიძლია გამოვაცხადოთ: „ზესტაფონმა" ბოლო სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი (!) ქულის აღება მოახერხა. სამაგიეროდ, „ოლიმპმა" ამ პერიოდში ბევრად უკეთ (შედეგს ვგულისხმობთ) იასპარეზა და ახლა „დამშვიდებით" შეეძლება მესამე წრის და საერთოდ, ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრისთვის მომზადება.

შეგახსენებთ, რომ მომდევნო ტურში „ოლიმპი" ზესტაფონში ჩადის, მაგრამ ამაზე უშუალოდ მატჩის წინ ვისაუბროთ. ახლა კი განვლილი ტურის მნიშვნელოვან-დასამახსოვრებელ-განსაკუთრებულ (მსგავსი „რამეები" თუ არ იყო, არა უშავს - ჩვენ უნდა „მოვძებნოთ") ასპექტებზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ.

## გემოვნებაზე არ დავობენ

...ზედიზედ მეორე კი არა, უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა ტურის ცენტრალურ მატჩად მიჩნეული ლიდერთა დაპირისპირება ულიმლამოზე და უფერულზე მეტი რომ ჰქვია, აი, ისეთია. სამწუხაროდ, „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას" მატჩიც ასეთი გამოდგა (განსაკუთრებით - პირველი ტაიმი). ძალიან დაბალი ტემპი, უამრავი წუნი ფეხბურთელების მოქმედებებში, აუჩქარებლად და ძუნძულით (?) შეტევების წამოწყების იმიტაცია - როცა ლიდერის მატჩში ასეთ „რალაცებს" დავინახავთ, აუტსაიდერებს რალა უნდა მოვთხოვოთ.

მაგრამ, მოდი, საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ: შესაძლოა, ქომაგთა გარკვეულ კატეგორიას ერთპიროვნული ლიდერის „ფრთხილი" სათამაშო სტილი არ მოსწონდეს; თუმცა, ამ შემთხვევაში უმთავრესი ხომ არ უნდა დავივიწყოთ; „უმთავრესი" კი, რალა თქმა უნდა, სასურველი შედეგის ჩვენებაა და ამ მხრივ „ოლიმპის" გამოცდილ თავკაცს **თემურ მახარაძეს** მართლაც ვერავინ უსაყვედურებს. შორს ნუ წავალთ - სატურნირო ცხრილს გადახედეთ და ყველაფერი ნათელი გახდება; ანუ, ჩემპიონატის დასრულებამდე 12 ტურით ადრე მართლაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოქროს მედლების ბედი გარკვეულია!

სამაგიეროდ, სეზონის ფინიშისკენ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი საპრიზო ადგილებისთვის. „ზესტაფონმა" თუ ასე ანიავა ქულები, შესაძლოა სამეულს მიღმაც აღმოჩნდეს; თუმცა, ამ შემთხვევაშიც გავბედავთ და ვიტყვით: **გია გეგუჩაძის** გუნდი, ალბათ, დასძლევს ამ დროებით კრიზისს და ჩვეულ დონეზე ათამაშდება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ზესტაფონის" ფეხბურთელთა უმრავლესობას ხომ საკმარისზე მეტი პოტენციალი აქვს. ძნელია, ზუსტი მიზეზი მოეძებნოს „ზესტაფონის" ბოლოდროინდელ წარუმატებლობას; შესაძლოა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა თავი შეუცვლელ პერსონად წარმოიდგინა, შესაძლოა სხვა მიზეზიც იყოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ზედიზედ ორი საშინაო მატჩია „ზესტაფონი" თავისი მრავალათასიანი ერთგული ქომაგის გახარებას ვერ ახერხებს.

ისე, ნურც მეტოქეს დავუკარგავთ გარჯას: „სპარტაკმა" მართლაც ღირსეულად ითამაშა ძლიერ მეტოქესთან და ვერავინ იტყვის, რომ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა იმერეთიდან დაუმსახურებელი ქულა წამოიღოო. „სპარტაკის" ასეთი მონდომებული ასპარეზობა იმითაც არის დასაფასებელი, რომ გუნდი ჩემპიონატში, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ ასპარეზობს. ანუ, „სპარტაკს" ეს მატჩი რომ წაეგო, საყვედურს ვერავინ ეტყოდა - ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს სტუმრად ეთამაშებოდა. თუმცა, ვლადიმერ ხაჩიძის შეგირდებმა მოინდომეს და მეორე ეტაპის დაწყებიდან ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარეს. განსაკუთრებით კი **ზურაბ ბათიაშვილის** საიმედო თამაში გვინდა აღვნიშნოთ - გამოცდილმა მეკარემ სეზონში ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი ჩაატარა.

ისიც გვინდა გვჯეროდეს, რომ ბათიაშვილი კვლავაც ასე სტაბილურად გააგრძელებს ასპარეზობას - ყოველ შემთხვევაში ამ მეკარის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შეგვპარვია. ტურის სხვა მატჩებიდან, რალა თქმა უნდა, „ლოკომოტივი"-„სიონის" დაპირისპირება უნდა აღვნიშნოთ. ფაქტობრივად, ექვსქულიანი თამაში იყო: მასპინძლები წარმატების შემთხვევაში სახიფათო ზონასაც თავს დააღწევდნენ და მეტოქესაც უკან ჩამოიტოვებდნენ. თუმცა, ბევრად უფრო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „სიონმა" სრულიად დამსახურებული სამი ქულა მოიპოვა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდი ბოლოდროინდელი ასპარეზობით ცხრილის ფსკერზე ყოფნას ნამდვილად არ იმსახურებდა. და აი, ასე ნანატრი გამარჯვებაც მოვიდა - ხუთთვიანი პაუზის შემდეგ!

სხვათა შორის, ამ მატჩსაც ჰყავდა გამორჩეული ფეხბურთელი - **ირაკლი შენგელია** წინა მატჩებისგან განსხვავებით ამჯერად თავდასხმაში მოქმედებდა და სწორედ მისმა ერთადერთმა გოლმა ბოლნისელებს ასე საჭირო სამი ქულა მოუტანა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 49-13 | 59 |
| 2. ზესტაფონი | 25 | 14 | 8 | 3 | 41-21 | 50 |
| 3. დინამო | 25 | 13 | 7 | 5 | 39-15 | 46 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 9 | 4 | 34-23 | 45 |
| 5. სპარტაკი | 25 | 8 | 8 | 9 | 31-37 | 32 |
| 6. სამტრედია | 25 | 7 | 6 | 12 | 32-47 | 27 |
| 7. სიონი | 25 | 4 | 11 | 10 | 13-28 | 23 |
| 8. ბაია | 25 | 5 | 6 | 14 | 19-32 | 21 |
| 9. ლოკომოტივი | 24 | 3 | 9 | 12 | 12-30 | 18 |
| 10. გაგრა | 25 | 3 | 5 | 17 | 21-45 | 14 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 21 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 15 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 11 |

**მომდევნო ტური**

**19 მარტი, პარასკევი**

ვიტ ჯორჯია-ბაია
სპარტაკი-გაგრა
დინამო-ლოკომოტივი

**20 მარტი, შაბათი**

ზესტაფონი-ოლიმპი
სიონი-სამტრედია

გია ტუხაშვილი



ლოკომოტივი-სიონი 0:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ინტერვიუ

# დროულად წავედი, საქართველოში ველარ მოვუმატებდი

« მე-2 გვერდიდან

სერბეთში რომ ჩავედი, დიდი თოვლი იყო. გუნდი უცხოეთში იყო მოსამზადებელ შეკრებაზე და მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშით ვკმაყოფილდებოდი. სერბეთში დებიუტამდე, მხოლოდ 4-5 დღის განმავლობაში მომიწია გუნდთან ერთად ვარჯიშმა. ერთი სიტყვით, სათანადოდ არ ვიყავი მომზადებული. გარდა ამისა, სადებიუტო მატჩამდე მთელი კვირის განმავლობაში წვიმდა, მოედანი რბილი იყო და მოძრაობა, ბურთის გაგორება ჭირდა. ეს თამაშის ხარისხსაც დაეტყო. არაერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. სათანადოდ მომზადებული არ ვიყავი და ცოტა არ იყოს გამიჭირდა, მაგრამ მაინც შევძელით და ეს მატჩი მოვიგეთ. თამაშის შემდეგ ყველა კმაყოფილი იყო და მწვრთნელებმა მადლობა გადაგვიხადეს.

**- ამ შეხვედრაში მარცხენა ფრთაზე მოგიწიათ თამაშმა. საინტერესოა ამ პოზიციისთვის დაგიმატეს თუ შუაში გათამაშებენ?**

- „ვოევოდინას" ხელმძღვანელებმა თავიდანვე მკითხეს, რომელ პოზიციაზე მერჩივნა თამაში. ორივე ფეხით ვთამაშობ და რა თქმა უნდა, შუაში უფრო სარგებლიანი ვარ. ეს ახალი გუნდის მესვეურებისთვისაც არ დამიმალავს. ჩემს სადებიუტო მატჩში კი მარცხენა ნახევარმცველად ვითამაშე, რადგან ამ პოზიციაზე მოასპარეზე დისკვალიფიცირებული იყო. ერთი სიტყვით, მითხრეს, რომ შუაში მომიწევს თამაში, ჩემს პოზიციაზე და ეს კიდევ უფრო მეტ სტიმულს მმატებს.

**- თბილისის „დინამოს" დარად, „ვოევოდინაშიც" 17-ნომრიანი მაისურით თამაშობთ... ალბათ თავიდანვე კარგად დაცადეთ ეს ნომერი...**

- ყველასათვის ცნობილია, რომ სამწუხაროდ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, მიხეილ ხუციშვილი „ვოევოდინაში" ველარ ითამაშებს. სერბეთში ჩემი ჩასვლისას ეს საკითხი უკვე გარკვეული იყო და მისი 9-ნომრიანი მაისურა შემომთავაზეს. თუმცა 17 ნომერი თავისუფალი იყო და ვამჯობინე. „დინამოში" სწორედ ამ ნომრით დავიწყე კარიერა. მიმაჩნია, რომ ეს ნომერი ჩემთვის იღბლიანია, თავიდანვე კარგად დავცადე, „დინამოში" არაერთი კარგი სეზონი ჩავატარე. იმედი მაქვს, 17 ნომრით „ვოევოდინაშიც" წარმატებული კარიერა მექნება.

**- „ვოევოდინასთან" 2.5-წლიანი კონტრაქტი გაკავშირებთ. ამ პერიოდის გატარებას სერბეთში აპირებთ თუ უფრო ადრე გადახვალთ უკეთეს ლიგაში?**

- როგორც გავიგე, ბოლო წლინახევრის განმავლობაში „ვოევოდინამ" არაერთი ფეხბურთელი გაუშვა უკეთეს ლიგაში სათამაშოდ. ბოლოს დანიელ ალექსიჩი „ვოევოდინადან" სერია A-ში მოასპარეზე „ჯენოვაში" გადავიდა. ხუციშვილმა და სხვა თანაგუნდელებმა მაცნობეს, რომ ჩვენი გუნდის თითქმის ყველა მატჩს გერმანელი, იტალიელი ან ესპანელი აგენტი თუ სკაუტი ესწრება. კლუბის პრეზიდენტმა საუბარში მითხრა, რომ 6 თვეში თუ არა, ერთი წლის შემდეგ მაინც მინდა კარგ ლიგასა და კლუბში გაგიშვა, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. ვიცი საქართველოში როგორც თამაშობდი და ცოტას თუ მოუმატებ, კარგ გუნდში გაგიშვებო. ერთი სიტყვით, სერბეთი და „ვოევოდინა" მინდა ტრამპლინად გამოვიყენო და იტალიაში, ესპანეთში ან გერმანიაში გავაგრძელო კარიერა. იმედი მაქვს, ამ ჩანაფიქრს განვახორციელებ.

## სერბეთში მოტყუებას ვერ იტანენ...

**- გუნდში როგორ მიგიღეს და იოლად გაიარეთ ადაპტაციის პერიოდი?**

- ჩინებულად მიმიღეს, ძალიან თბილი ხალხია. სულ 4 კვირაა რაც ახალ გუნდში ვარ და თანაგუნდელებთან ისეთი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, თითქოს წელიწადზე მეტია ერთად ვთამაშობთ... ჩვენს გუნდში ფიზიკურ კონდიციებს ძალიან დიდი ყურადღება ექცევა. ტექნიკაში მოიკოჭლებენ, მაგრამ მატჩის მსვლელობისას ძალზე ბევრს მოძრაობენ. სხვათა შორის, „ვოევოდინა" თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. ფეხბურთელები უბურთოდ ბევრს მოძრაობენ. მატჩის მსვლელობისას ბურთს რომ მივიღებ ხოლმე, არაერთი თანაუნდელია გახსნილი და შეტევის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი მაქვს.

**- სერბეთში ალბათ ხისტი ფეხბურთიც თვალში საცემია...**

- დიახ, მიიღე ბურთი და მიეცი პასი, ბურთს დიდხანს არავინ გათრევინებს. ფეხბურთელები ვერ იტანენ, როცა მეტოქე მათ ფინტებით ატყუებს. მოატყუებ, გამოგეკიდება და მანამ არ მოგეშვება სანამ ბურთს არ წაგართმევს და ან არ წაგაქცევს.

**- გუნდში რას გეძახიან?**

- ზოგი ჯიოს, ზოგიც გიოს. თანაგუნდელებისგან სითბო და პატივისცემა პირველივე დღესვე ვიგრძენი. თავისუფალ დროს, ყველანი ერთად ვატარებთ.

**- თავდაპირველად სასტუმროში ცხოვრობდით. ბინა უკვე მოგცეს?**

- კი მომცეს კარგი ბინა. მანამდე სამოთახიანი ლუქსნომერი მქონდა, ისეთ კარგ სასტუმროში ვცხოვრობდი, რომ ხუციშვილს ვეხუმრებოდი, აღარ მინდა ბინა, აქ დავრჩები-მეთქი.

**- მანქანაც მოგცეს?**

- ჩვენს კლუბს „ფოლკსვაგენთან" ჰქონდა გაფორმებული კონტრაქტი, რომელსაც ვადა ამოეწურა. იმავე კომპანიასთან კვლავ მზადდება კონტრაქტი და ახალი ხელშეკრულება რომ გაფორმდება, მანქანასაც მომცემენ.

**- ნოვი სადში კარგად მოწყობილხართ. ქალაქი და ხალხი რამდენად მოგწონთ?**

- სერბეთი პატარა ქვეყანაა და ქალაქებიც ახლოსაა ერთმანეთთან. ნოვი სადიდან ბელგრადამდე 40 წუთის სავალია. ქალაქი ძალიან მომეწონა, ხალხიც თბილი და კონტაქტურია... სერბეთიც საქართველოს დარად მართლმადიდებლური ქვეყანაა. წყნარი და მოწესრიგებული, კანონმორჩილი ხალხია.

## დროულად წავედი, საქართველოში ველარ მოვუმატებდი

**- ბევრს მიაჩნია, რომ საქართველოდან დროულად წახვედით, ეროვნულ ჩემპიონატში მეტს ველარ მოუმატებდით, პირიქით, რეგრესი დაგეწყებოდათ. თქვენ რა აზრისა ხართ?**

- ვინც მიცნობს, ყველა დამეთანხმება, რომ თბილისის „დინამო" ჩემი ოჯახი იყო, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატის დონიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ამოვწურე, მეტს მართლაც ველარ მოვუმატებდი, დრო იყო, ძალები უკეთეს ლიგაში მომესინჯა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე კლასის ასამაღლებლად და ტრამპლინის თვალსაზრისით, „ვოევოდინა" ჩინებული არჩევანია.

**- მიხეილ ხუციშვილზე მინდა გკითხოთ. გულზე პრობლემები აქვს და „ვოევოდინადან" ამიტომ მიდისო... იქნებ უფრო მეტი გვითხრათ ამ საკითხის შესახებ...**

- ვარჯიშისა და თამაშის დროს მიშას გული არ აწუხებს, სამწუხაროა, მაგრამ დადგინდა რომ კარდიოლოგიური პრობლემა აქვს. ჩვენს კლუბში წელიწადში ორჯერაა სამედიცინო შემოწმება. ხუციშვილის გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ გულის მუშაობის რიტმი დარღვეულია. ეს კლუბის ექიმმა საკუთარ თავზე ვერ აიღო, მომავალში შესაძლოა პრობლემა შეექმნასო. მიშა კიდევ აპირებს საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების გავლას და ვნახოთ, რას ეტყვიან.

**- სერბულ ლიგას რომელი ქვეყნის პირველობას შეადარებდით?**

- ვფიქრობ, ავსტრიისა და შვეიცარიის დონის პირველობაა. კიევის „დინამოსა" და „შახტიორის" დონის გუნდები არ ჰყავთ, თორემ უკრაინულ ვიშა ლიგასაც არ ჩამოუვარდებიან.

## მინდა, გოლების აქტივი მალე ნაკრებშიც გავხსნა

**- ახლა სანაკრებო თემაზე ვისაუბროთ. ესტონეთთან თემურ ქეცბაიას სადებიუტო მატჩს დღეს როგორ იხსენებთ?**

- დიახ, ნაკრების ახალი მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით ეს პირველი მატჩი იყო. რა თქმა უნდა, თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმუმი გავიღეთ წარმატებისთვის. ჩვენმა გარჯამ შედეგი გამოიღო და მოვიგეთ. ბოლო წუთებზე გატანილი გოლის გამო ეს მოგება უფრო ტკბილი აღმოჩნდა... ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, მოგებას ვიმსახურებდით. 2 კი არა კიდევ ორი გოლი მაინც უნდა გაგვეტანა, მაგრამ, ალბათ ჩვენც, ფეხბურთელებიც ვნერვიულობდით. მართალია ესტონეთთან ამხანაგური თამაში გვქონდა, მაგრამ ჩვენთვის შესარჩევი ციკლის მატჩივით იყო. ნაკრებს აქამდე თითქმის ორი წელი არ ჰქონდა მოგებული და ჩვენთვის ეს გამარჯვება, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, ჰაერივით საჭირო იყო.

**- თამაში აშკარად გაამწვავეთ და გულშემატკივრებმაც აღნიშნეს, რომ სამომავლოდ თქვენზე დიდ იმედს ამყარებენ. თავად რას ფიქრობთ?**

- მოედანზე შევედი თუ არა, მოკლე ხანში, მარჯვენა ფეხის ზედა კუნთის უკანა მხარეს ტკივილი ვიგრძენი. ტკივილი ხელს მიშლიდა, მაგრამ მაინც გავაგრძელე თამაში, მინდოდა მოგვეგო და ამ წარმატებაში ჩემი მცირედი წვლილი მაინც შემეტანა... მარჯვენა ფრთაზე უკმაყოფილო ვარ ჩემი თამაშით. ამ ფრთაზე სულ 4-5 ჯერ მაქვს ნათამაშები და ჩემთვის ჩვეული პოზიცია ნამდვილად არაა. ალბათ ამიტომაც არ წამივიდა თამაში. მარცხნივ რომ გადავედი, უკეთ ავთამაშდი... თუმცა პოზიცია მეორეხარისხოვანია, ჩემთვის ისიც დიდი სტიმულია, რომ ეროვნული ნაკრების მაისურას ვირგებ. უმთავრესია ნაკრებში ვითამაშო და გუნდს გამოვადგე.

**- გატანა თქვენც შეგეძლოთ, მაგრამ...**

- კი, ძლიერად დავარტყი, მაგრამ მცირე მანძილით ასცდა კარს. მთავარია, ეს მატჩი მოვიგეთ. ეს გამარჯვება ჩვენს ნაკრებს რწმენას შემატებს და იმედი მაქვს, მომავალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

**- ამ მატჩამდე მაინც რა გითხრათ ნაკრების თავკაცმა თემურ ქეცბაიამ?**

- მისი სიტყვები მომეწონა. გვითხრა, მე მჭირდება გუნდი, რომელიც საწყისიდან ბოლო წუთამდე იბრძვის. შეიძლება ყოველთვის ვერ მოვიგოთ, წავაგოთ, მაგრამ ისე უნდა ვითამაშოთ და ვიბრძოლოთ, რომ გულშემატკივარმა ტაში დაგვიკრასო.

**- მატჩამდე თეორიული მეცადინეობებიც გქონდათ და საინტერესოა, ქეცბაიას მიერ ახსნილი და მიცემული დავალება ფეხბურთელებისთვის რამდენად იოლად გასაგებია?**

- ბოლო ორი შესარჩევი ციკლია, რაც ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ჰყავდა, ქართველის მიერ ახსნილი მაინც სხვაა, უფრო გასაგებია ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის. მახსოვს ქეცბაიას თამაშები ნაკრებში და მართალი გითხრათ, ჩემი კერპი იყო. მისი თამაში ყველას ახსოვს, სამაგალითო ფეხბურთელი იყო და ჩვენც მას უნდა მივბაძოთ... „დინამოში" წარმატებული კარიერა მქონდა, ეროვნულ ნაკრებში ჯერჯერობით დიდი არაფერი გამიკეთებია. გულშემატკივრის მხარდაჭერასა და სიყვარულს მართლა ვგრძნობ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მათი იმედები გავამართლო. „ვოევოდინაში" მეტად მოვუმატებ, ახალ გუნდში უკვე გავხსენი გოლების აქტივი და მინდა ნაკრებშიც მალე გავიტანო პირველი გოლი.

**დავით ცაბაძე**

გამოკითხვა



# ქეცბაიას პირველი რეიტინგი

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის პრესსამსახურმა განახლებულ ვებგვერდზე გამოკითხვაც დაამატა. პირველი გამოკითხვის მიზანი გახლდათ იმის გარკვევა, თუ როგორ აფასებენ გულშემატკივრები საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის **თემურ ქეცბაიას** პირველ ნაბიჯებს.

მოგეხსენებათ, 3 მარტს საქართველოს მთავარმა გუნდმა ურთულეს თბილისურ მატჩში კაცნაკლული ესტონეთი 2:1 დაამარცხა. ნაკრებმა გამარჯვება **დავით სირაძის** მიერ ბოლო წუთზე გატანილი თავურის წყალობით მოიპოვა. რაც შეეხება ინტერაქტიულ გამოკითხვას, ის 3-დან14 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა. ვებგვერდის მომხმარებელთა 72-მა პროცენტმა ქეცბაიას დებიუტი დადებითად შეაფასა, 22 პროცენტმა დამაკმაყოფილებლად, 5.9-მა კი - უარყოფითად.

ქეცბაიას მიმართ გულშემატკივართა კეთილგანწყობა ისედაც იგრძნობოდა. მანამდე უცხოეთში მოღვაწე ქართველმა სპეციალისტმა ეს განვლილი კარიერით, საბერძნეთსა და კვიპროსში სამწვრთნელო საქმიანობით მოიპოვა. „ჯვაროსნების" თავკაცად დანიშვნის შემდეგ ქეცბაიამ სატრანსფერო ინტერესებზე მაღლა, წმინდა სპორტული ინტერესი დააყენა და მაქსიმალურად საუკეთესო შემადგენლობა მიიწვია. იმედია, ეს პრინციპი მომავალშიც პრიორიტეტული იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

U 16

# ვაშინგტონი მალე გაირკვევა

27 მარტს იწყება და 4 აპრილს სრულდება საერთაშორისო ტურნირი ვაშინგტონში, სადაც საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებიცაა მიწვეული. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდის აშშ-ში გამგზავრება ჯერ გადაწყვეტილი არაა, მაგრამ ამის შანსი საკმაოდ დიდია. მთავარია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ეს ტურნე დააფინანსოს, რაზეც ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** წინასწარი თანხმობა უკვე ნათქვამი აქვს.

რაც შეეხება თვით ტურნირს, მასში ექვსი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. იქ იასპარეზებენ ამერიკული და მექსიკური გუნდები, ასევე ინგლისური „ვესტ ჰემის" 16-წლამდელები. *„საკმაოდ ცნობილი და ძლიერი ტურნირია, სადაც მადრიდის „რეალის" ასაკობრივ გუნდებსაც უთამაშიათ. იმედია, ვაშინგტონში ჩასვლას შევძლებთ. ჩვენი გუნდისთვის იქ თამაში დიდი გამოცდილება იქნება"*, - ამბობს კობა ჟორჟიკაშვილი.

27 მარტამდე ცოტა დროა დარჩენილი და იმედია, მომავალი 17-წლამდელების ვაშინგტონში წასვლას ხელს ვერაფერი შეუშლის. შეგახსენებთ, ეს გუნდი სულ ახლახან შეიკრიბა და ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შემოდგომაზე ჩაერთვება. სათამაშო პრაქტიკა მას ჰაერივით ესაჭიროება. ირანთან ამხანაგურ მატჩებში ხარვეზები მრავლად შეინიშნებოდა და მათ გამოსასწორებლად ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა ძალიან წაადგება. ჟორჟიკაშვილმა გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები უკვე შეიტანა. თუ ამერიკაში წასვლის საკითხი დადებითად გადაწყდება, ნაკრების განაცხადს მაშინვე შემოგთავაზებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გამოხმაურება

# აფციაური: ეს ადამიანები ჩვენი ქომაგები არ არიან!

ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ზესტაფონმა" ცხინვალის „სპარტაკს" შინ ვერ მოუგო - 0:0. რეპორტაჟშიც ვწერდით, რომ პირველი ტაიმის ბოლოს თავისიანთა თამაშით უკმაყოფილო გულშემატკივართა ნაწილმა ფეხბურთელებსა და მთავარ მწვრთნელს ლანძღვა-გინება დაუწყო.

ჩვენთვის უცნობია, რა გახდა მათი აგრესიის მიზეზი. გასაგებია, რომ ბოლო სამ ტურში „ზესტაფონმა" ვერ მოიგო, ლიდერ „ოლიმპს" მთელი 9 ქულით ჩამორჩა და ჩემპიონობის შანსს დაემშვიდობა. თუმცა ეს არ იყო მხოლოდ უკმაყოფილება, მასში უფრო ღრმა და ფარული დინებები ჩანდა, რადგან ამ ჯგუფისადმი არანაკლები აგრესია თავად ფეხბურთელებმაც გამოავლინეს. გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **თორნიკე აფციაურმა** მომხდარით უკმაყოფილება არ დამალა:

*„გულშემატკივართა მცირე ნაწილი გვლანძღავდა, რამდენიმე ადამიანი და არა - ყველა. ახლა ემოციები მალაპარაკებს. ასეთი ქომაგობა არ შეიძლება. პირიქით, გულშემატკივარი მე-12 ფეხბურთელი უნდა იყოს და ზესტაფონში ყოველთვის ასე ხდებოდა. ჩემთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა, თუ რა მოხდა „სპარტაკთან" შეხვედრისას. ვერავინ იტყვის, რომ არ მოვინდომეთ, პირიქით, ბოლომდე დავიხარჯეთ, მეორე ტაიმში ლამის ყველაფერი გამოგვდიოდა, მაგრამ ბურთის გატანა ვერ მოვახერხეთ. ყოველთვის ვერც მოიგებ. ჩავარდნა ყველა გუნდს ჰქონია და ჩვენც არ ვართ გამონაკლისი. თუმცა უნდა გითხრათ, რომ 30 წლის გავხდი და ასეთ მეგობრულ, შეკრულ და ერთსულოვან გუნდში არასდროს მითამაშია. მხოლოდ ფეხბურთელებს არ ვგულისხმობ, მწვრთნელთა გუნდსა და ხელმძღვანელობაზეც იმავეს ვიტყვი. ეს მაიმედებს, ჯერ არ შეიძლება ხელის ჩაქნევა და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ძლიერი გუნდის ჩამოსაყალიბებლად დრო არის საჭირო და მგონი, ამ მდგომარეობიდან გამოვალთ"*, - გვითხრა აფციაურმა.

**მერაბ მამულაშვილი**



თორნიკე აფციაური

# ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი — I ლიგა. XVIII ტური

### IBSU-ბათუმი 1:3

0:1 ზვ. ლობჟანიძე (6), 1:1 ძაგანია (32), 1:2 ბერიძე (49), 1:3 მ. ჯორბენაძე (77)

IBSU: ა. ბილიხოძე, პირველი, თავბერიძე, ტეტუნაშვილი, მაჩალაძე, ბართია, ა. ნოზაძე (74. თვალავაძე), არახამია, ლ. ნორაკიძე (64. ბენდიანაშვილი, 71. გიორგობიანი), ჯიშკარიანი, ძაგანია.

*სათადარიგოები:* მეფარიძე, თ კვარაცხელია, გვიჩია.

*მთავარი მწვრთნელი:* გოჩა ყორყოლიანი

ბათუმი: მამინაშვილი, ლ. კალანდაძე, ხუხია, ლ. მახარაძე, ბაჯელიძე, გოგიტიძე, ზვ. ლობჟანიძე, ე. გრიგალაშვილი (66. მალაზონია), ბერიძე, ბოხუა (55. მ. ჯორბენაძე), ი. ტუღუში (82. გ. ხარაბაძე).

*სათადარიგოები:* დემურაძე, ლ. რამიშვილი, ჭკუასელი, თ. კაკალაძე.

მთავარი მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

გაფრთხილება: ბაჯელიძე, ლ. მახარაძე

გაძევება: ჯიშკარიანი, ა. კანტიძე (მწვრთნელი, ბათუმი)

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

### ჩიხურა-ეერეთი 1:0

1:0 გ. ენუქიძე (36)

ჩიხურა: დოლაძე, მაჭარაშვილი (46. ბ. პეტრიაშვილი), ზივზივაძე, გვეტაძე, ჩიკვაიძე, ზაბახიძე, ა. ივანიშვილი, ქამუშაძე (77. ჭილლაძე), როგავა, გ. ენუქიძე (78. მიქაძე), სტეფანიშვილი.

*სათადარიგოები:* მნყერაშვილი, გიორბელიძე, ძინძიბაძე, ტყებუჩავა.

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

ჰერეთი: ხურციძე, დონდოლაძე, ფარულავა (46. ბარბაქაძე, 90. შ. ლობჟანიძე), ოქრუაშვილი, ვაჩიბერიძე (61. გ. პაპუაშვილი), კახნიაშვილი, ფაილოძე, მ. მესხი, ნათენაძე, ჩადუნელი, ლ. დათუნაშვილი.

*სათადარიგოები:* ტუხაშვილი, სამხარაძე, ლაბაძე, კ. წვერავა.

*მოთამაშე-მწვრთნელი:* კარლო წვერავა.

გაფრთხილება: ნათენაძე

არბიტრი: ხ. გაგნიძე

### კოლხეთი (ხ)-მესხეთი 3:0

1:0 დ. კუტალია (5), 2:0 ო. ფიფია (14), 3:0 ო. ფიფია (19)

კოლხეთი (ხ): ჯალალონია, ჩაჩიბაია (82. ჯაბურია), ო. ფიფია, მ. ჟვანია, მ. შონია, პ. ქომეთიანი, სართანია, ბესარაშვილი, გ. გოგენია (85. ფარფალია), დ. კუტალია, გაგუა (53. გელა ლომაია).

*სათადარიგოები:* ფირცხალავა, კ. გოგენია, ი. კუტალია, ზ. გელაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ლატარია

მესხეთი: ძამუნაშვილი, დ. ლეკიშვილი, თელიაშვილი, გვირჯიშვილი, თ. გრიგალაშვილი, ინასარიძე (46. პარუნაშვილი), სუდაძე (87. ალხიძე), მ. ლეკიშვილი, აფრიამაშვილი, ქარძიმაძე (71. დარჩია).

*სათადარიგოები:* რეხვიაშვილი, სარაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* პაატა გოგოლაძე

გაფრთხილება: ინასარიძე, სართანია, თ. გრიგალაშვილი

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

### მერცხალი-მეშახტე 3:0

1:0 ს. გ. ჩიგოგიძე (59), 2:0 ცეცხლაძე (86), 3:0 რ. ჭეიშვილი (88)

მერცხალი: ლატარია, აკობია, მ. ქობულაძე, ხამაშურიძე, ტულუში (23. ნაკაიძე), ნაჭყებია, ჯაყელი (53. თ. ჩხატარაშვილი), სიამაშვილი, რ. ჭეიშვილი, ხინთიბიძე (57. ცეცხლაძე), ს.გ. ჩიგოგიძე.

*სათადარიგოები:* ქათამაძე, ლომჯარია, ვ.. რამიშვილი, ლ. ძაგანია

*მთავარი მწვრთნელი:* ხარიტონ ჩხატარაშვილი

მეშახტე: ქალდანი, გ. ტორაძე, ვაჩიბერაძე, გ. სიჭინავა, გუბელაძე (73. ბაბუნიძე), გ. შველიძე, ჯიშიაშვილი, მეტონიძე, რაჟამაშვილი, გ. თურმანიძე, შათირიშვილი.

*სათადარიგოები:* კეჩხუაშვილი, რ. კალანდაძე, ბოჭორიშვილი, კობახიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით გვენეტაძე

გაფრთხილება: გ. ტორაძე, ჯიშიაშვილი

არბიტრი: თ. ხუჭუა

### ნ/დინამოელი-ჭიათურა 2:1

1:0 ხვთისავრიშვილი (33), 2:0 ზვ. კავარაცხელია (36), 2:1 დ. შეყილაძე (61)

ნ/დინამოელი: ცინცაბაძე, მაპმარდაშვილი (55. თანიაშვილი), დაბრუნდაშვილი, ჯორჯიკია, მერეჩკო, ფირანიშვილი, ხვთისავრიშვილი, მაჭავარიანი (75. გაგნიძე), ზვ. კვარაცხელია, ლაბარტყავა (87. ი. გვალია), ქავთარაძე.

*სათადარიგოები:* ნ. გვარამაძე, მახარობლიძე, მაჭარაძე, ბრეგვაძე.

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერი გაგუა

ჭიათურა: ბადურაშვილი, ტყემალაძე, ჭუმბურიძე, დ. შეყილაძე, ცუცქირიძე (65. კახნიაშვილი), გაფრინდაშვილი, აბესაძე, გიორგაძე, ასანიძე, ზ. ნოზაძე, ვაშაძე (55. ბარათაშვილი).

*სათადარიგოები:* თ. შეყილაძე, მეცხოვრიშვილი, დარბაიძე.

*მთავარი მწვრთნელი:* დავით იობაშვილი

გაფრთხილება: მამარდაშვილი, ტყემალაძე, დ. შეყილაძე, მაჭავარიანი, ხვთისავრიშვილი, ზ. ნოზაძე, ქავთარაძე, ჯორჯიკია.

არბიტრი: თ. გვანცელაძე

### კოლხეთი (ფ)-35-ე სკ 3:1

1:0 ლ. თედიაშვილი (25), 2:0 ლ. თედიაშვილი (31), 2:1 ქირია (27-საკ. კარ), 3:1 ცხვიტარია (80)

კოლხეთი (ფ): გ. შენგელია, ჭითანავა, თედიაშვილი, ცხვიტარია, ფარცვანია, ჯოჯუა, გუჩუა, დ. ქირია, დ. სიჭინავა (87. გულუა), ციცხვაია (85. ნიქარიშვილი), გ. თოდუა (70. ლ. გვალია).

*სათადარიგოები:* გორდეზიანი, გელაჭეიშვილი, ლემონჯავა, გოგონაია.

*მთავარი მწვრთნელი:* ბესიკ შეროზია

35-ე სკ: ხომერიკი, გუჯარაიძე (65. სილაგავა), ჭაფოძე, ნათაძე ბელთაძე, ჭრელაშვილი (ბაგაშვილი 70), ლ. ქურდაძე (46. ი. არველაძე), კალანდარიშვილი, ლომსაძე, როსტომბაია.

*სათადარიგოები:* მანია, ჯელაძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა გოგიჩაიშვილი

გაფრთხილება: ჯოჯუა, გვალია, ნათაძე.

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

### ტორპედო-მარტვილი 3:1

1:0 ჩხარტიშვილი (35), 2:0 ცნობილაძე (63), 2:1 ლ. ლარკი (70), 3:1 ქარქუზაშვილი (78)

ტორპედო: მიგინეიშვილი, ფარულავა, ქარქუზაშვილი, გურული, ხანიშვილი, გ. ჩხეტიანი, ბ. ჩხეტიანი (46. ხუციძე), ვაშაკიძე, რ. კვერნაძე (64. კირკიტაძე), ცნობილაძე, ჩხარტიშვილი (46. ჭანკვეტაძე).

*სათადარიგოები:* ი. კუჭუხიძე, ბიბილაშვილი, ცაგარეიშვილი, ხარებავა.

*მწვრთნელი:* იასონ ბზიკაძე

მარტვილი: ჯ. შეროზია, ვ. იობაშვილი, პაპადოპულოსი, დიარბასოუბა, ჩხიკვაძე, ნონორია (37. ო. ტორაძე), სუხიაშვილი (62. მელიავა), ც. ბუკია, გიორგობიანი, ამბროლაძე, ტაპე (54. ლარკი).

*სათადარიგოები:* ფაცაცია, თ. თურმანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

გაფრთხილება: ი. ცნობილაძე, ქარქუზაშვილი, პაპადოპულოსი, დიარბასოუბა.

გაძევება: დიარბასოუბა

არბიტრი: ვ. გუმბერიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო | 17 | 13 | 2 | 2 | 48-10 | 41 |
| 2. ბათუმი | 17 | 12 | 3 | 2 | 31-9 | 39 |
| 3. კოლხეთი (ფ) | 17 | 12 | 2 | 3 | 42-16 | 38 |
| 4. ჩიხურა | 17 | 10 | 2 | 5 | 38-31 | 32 |
| 5. ნ/დინამოელი | 16 | 9 | 4 | 3 | 42-36 | 31 |
| 6. გურია | 16 | 8 | 3 | 5 | 34-33 | 27 |
| 7. მარტვილი | 17 | 7 | 2 | 8 | 36-34 | 23 |
| 8. მერცხალი | 17 | 7 | 2 | 8 | 43-36 | 23 |
| 9. IBSU | 17 | 6 | 4 | 7 | 44-43 | 22 |
| 10. ჰერეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 36-34 | 18 |
| 11. მეშახტე | 17 | 5 | 2 | 10 | 26-27 | 17 |
| 12. კოლხეთი (ხ) | 17 | 5 | 1 | 11 | 32-34 | 16 |
| 13. მესხეთი | 17 | 5 | 1 | 11 | 32-37 | 13* |
| 14. ჭიათურა | 17 | 4 | 0 | 13 | 28-37 | 12 |
| 15. 35-ე სკ | 16 | 1 | 3 | 12 | 32-34 | 6 |

** - მესხეთს დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ამბები

### ანანიძე მსუბუქად დაშავდა

**ჯანო ანანიძემ** რუსული პრემიერლიგის პირველ ტურში თამაშის ჩამთავრება ველარ შეძლო. ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი „სპარტაკი"-"დინამოს" მოსკოვური დერბის მიწურულს შეცვალეს, მაგრამ საბედნიეროდ, სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ ტრავმა სერიოზული არაა და ჯანო რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურში მოედანზე აუცილებლად გავა. გუშინ მან ინდივიდუალურად ივარჯიშა, „სპარტაკთან" ერთად სრული დატვირთვით წვრთნას კი სავარაუდოდ, დღეიდან შეუდგება.

### ჯიქიას ჰეთ-თრიქი

ერევნის „ულისისა" და „კილიკიას" საკონტროლო მატჩის გმირი ქართველი თავდამსხმელი **შოთა ჯიქია** გახდა, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა, შეხვედრა კი მისი გუნდის გამარჯვებით, 4:1 დასრულდა.

### დავით ხარიტონაშვილის ელიტრაუნდშია

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების გარდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ელიტრაუნდში ქართველი მსაჯებიც მოხვდნენ. **დავით ხარიტონაშვილი** და მისი ბრიგადა უეფამ ბოსნიაში, ელიტრაუნდის მე-2 ჯგუფში გაამწესა, სადაც მასპინძელთა გარდა, პორტუგალიის, ხორვატიისა და რუმინეთის ნაკრებები ითამაშებენ. ელიტრაუნდში ხარიტონაშვილი და ორი ქართველი თანამსაჯი ორ მატჩს განსჯიან - 19 მარტს პირველ ტურში ბოსნია-ხორვატიას, ხოლო 21 მარტს მეორე ტურში ბოსნია-პორტუგალიას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ლეგიონი

# ჩხეტიანის გოლი, მენთეშაშვილის ექვსიანი




გიორგი ნავალოვსკი (მარჯვნივ)

ისრაელის უმაღლეს დივიზიონ ლიგატ ჰაალში თელ ავივის დერბი გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელმა", ქართველი ლეგიონერის გუნდმა „ბნეი იეჰუდას" 4 უპასუხო გოლი გაუტანა. ზურამ სასტარტოში დაიწყო და ის 71-ე წუთზე შეცვალეს, როცა მისი გუნდი 3:0-ს იგებდა. 29 წლის ნახევარმცველისთვის ეს მე-20 მატჩი იყო „ჰაპოელის" რიგებში ჩემპიონატში, თუმცა სულ მე-5 შემთხვევაა, როცა მენთეშაშვილმა თამაში სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო. საოცარია, მაგრამ ფაქტია - მენთეშაშვილმა სეზონში სულ 2-ჯერ მიიღო ყვითელი ბარათი. „ჰაპოელის" ცნობილმა ფან საიტმა „რედ ფანსმა" მენთეშაშვილს 10-ბალიანი სისტემით 6-იანი დაუწერა. „ჰაპოელი" 59 ქულით მე-2 ადგილზეა.

ლეუმითლიგაში ტურში მეოთხე ქართული გოლი გავიდა. ნეს ციონაში ადგილობრივმა „სეკციამ" 2:0 მოუგო აშკელონის „ჰაპოელს", 47-ე წუთზე კი ანგარიში მასპინძელთა ფორვარდმა **გაგა ჩხეტიანმა** გაიტანა. 26 წლის ქუთაისელისთვის ეს მე-10 გოლია სეზონში. სამწუხაროდ, „სეკციაში" სხვა ქართველებს არ ულხინთ, **გიორგი ჭელიძემ** 81-ე წუთზე შეცვალა თანამემამულე, ხოლო **შოთა ბაბუნაშვილი** სათადარიგო დარჩა. „სეკცია" 41 ქულით უმაღლესი დივიზიონის საგზურისთვის მებრძოლთა სიას შეუერთდა.

უნგრეთის მეორე დივიზიონის დასავლეთის ზონაში მოასპარეზე „დიორი ეტოს" სარეზერვო გუნდმა სტუმრად 1:3 წააგო „აიკასთან". ძირითად გუნდში ჯერჯერობით მხოლოდ **რატი ალექსიძე** თამაშობს სტაბილურად ქართული ლეგიონიდან. ამჯერად, პირველ გუნდში ითამაშა **გიორგი განუგრავამაც**. დანარჩენები კი სწორედ „ეტო II"-ში გამოდიან. 1:3 წაგებულ მატჩში კარს **გიორგი ბახტაძე** იცავდა, დაცვაში **ლაშა თოთაძემ** ითამაშა, შეტევაში კი - **ვახტანგ ფანცხავამ. თემურ შარაშენიძე** 19-წლამდელთა ნაკრებშია გამოძახებული. „ეტო II" 20 ქულით მე-8 ადგილზეა.

კვიპროსში „ეთნიკოსისა" და „ერმისის" შეხვედრაში ქართული დუელი შედგა, **ლევან ქებაძის** შეტევების ჩაშლა სწორედ ჩვენებურს, **ლევან მაღრაძეს** ევალებოდა, მატჩი 0:0 დასრულდა. **კლიმენტი ნიტაიშვილის** „ნეა სალამინამ" სტუმრად 1:0 მოუგო აეპ-ს, ქართველი ფორვარდი თამაშში 68-ე წუთზე ჩაერთო. „ეთნიკოსი" 30 ქულით მე-7 ადგილზეა, „ერმისი" 26 ქულით მეათეა, ხოლო „ნეა სალამინა" 14 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა.

მოლდოვაში **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფმა" 21-ე ტურში სტუმრად „ვიიტორული" 3:0 გაანადგურა. ქართველმა კაპიტანმა შეუცვლელად ითამაშა. აი, რას წერს 38 წლის ქართველზე „შერიფის" ოფიციალური საიტი: *„რომ არ ავღნიშნოთ კაპიტნის კარგი თამაში არ შეიძლება ვაჟა ხომ ათბალიანი სისტემით ათიანზე თამაშობს. როცა ის არ არის მოედანზე, ეგრევე ჩნდება საფრთხე ჩვენს კართან"*. ზამთრის პაუზის შემდეგ **ვასილ ლუჭაშვილმა** (რომელიც ლატვიაში დასჯილ „დინაბურგში" თამაშობდა) კარიერა კიშინოვის „დაჩიაში" გააგრძელა. „დაჩიამ" 1:1 ითამაშა „ოლიმპიასთან", ქართველი ფორვარდი 72-ე წუთზე შევიდა. „შერიფი" 50 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, „დაჩია" 44 ქულით მეორე ადგილზეა.

აზერბაიჯანში ბაქოს „ინტერმა" 1:1 ითამაშა „ნეფთჩისთან". **კახა ცხადაძის** გუნდს 18 ქულა დაუგროვდა, იმდენივე, რამდენიც „ხაზარს". **გიორგი ლომაიამ, გიორგი ნავალოვსკიმ** და **დავით ოდიკაძემ** შეუცვლელად ითამაშეს. სტუმართა შორის 90 წუთი იყო მოედანზე **ვალერი აბრამიძე**. ლომაიას გარდა ყველა ჩვენებურმა ყვითელი ბარათი მიიღო. „ნეფთჩი" 12 ქულით მე-5 ადგილზეა. ქვედა ექვსეულში **დავით სვანიძის** „მუღანმა" სტუმრად 2:1 მოუგო „თურანს". სვანიძემ შეუცვლელად ითამაშა, „მუღანი" 13 ქულით მე-10 ადგილზეა. უკვე მოგიყევით ჩხუბის შესახებ, რომელიც „ოლიმპიკისა" და „სტანდარდის" მატჩის შემდეგატყდა, აფფა-მ სასჯელი ჩხუბის ქართველ მონაწილეებსაც გამოუტანა, **დავით ქიქვეიშვილი, გიორგი სეთურიძე** და **სერგი ორბელაძე** 2-2 მატჩს გამოტოვებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ამბები

### ალბელდა დაისვენებს

„ბარსელონასთან" მატჩის პირველ ტაიმში „ვალენსიას" საყრდენმა ნახევარმცველმა **დავიდ ალბელდამ ჩავისთამ** შეჯახებისას ტრავმა მიიღო. მან თამაში ველარ გააგრძელა, თუმცა მარცხენა ფეხის კუნთის ტრავმა იმაზე სერიოზული გამოდგა, ვიდრე ერთი თამაშის ვერჩამთავრებაა. „ლოს ჩეს" ექიმთა თქმით, ალბელდა სამიდან ოთხ კვირამდე პერიოდს გამოტოვებს. ის ვერ დაეხმარება გუნდს ბრემენში „ვერდერის" წინააღმდეგ, და არ იქნება ლა ლიგის, სულ მცირე, სამ უახლოეს ტურში.

### ველინგტონი სეზონის ბოლომდე

„ალმერიასთან" მატჩში აქილევსის ქუსლის უმძიმესი ტრავმა მიიღო „მალაგას" ბრაზილიელმა მცველმა **აიტორ ოსიო დე ოლივეირამ (ველინგტონი)**. ექიმების დასკვნა სამწუხარო გამოდგა ველინგტონისთვის - ის ამ სეზონში ველარაფრით დაეხმარება პრიმერაში დასარჩენად მებრძოლ გუნდს. ის კი არა, ექიმები დამატებითი სკანირების შემდეგ დაასკვნიან, მოასწრებს კი მომავალი სეზონისთვის ველინგტონი გამოჯანმრთელებას?

### სოლდადო მუხლმა დაამწუხრა

„ხეტაფეს" ბომბარდირი **რობერტო სოლდადო** მუხლის ტრავმის გამო ვერ ვარჯიშობს. გუშინ ის ვარჯიშზე გამოცხადდა, მაგრამ მუხლში სერიოზული ტკივილი იგრძნო და ექიმებს მიაკითხა. ახლა სოლდადოს თამაში „სან მამესზე" „ბილბაოს" წინააღმდეგ თითქმის გამორიცხულია. ამ უქმეებზე საეჭვოა **ფაბიო სელესტინისა** და **კეპას** თამაშიც.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ტრავმა

# ბექჰემის ოცნებათა სასაფლაო

**დევიდ ბექჰემის** ოცნება, გამხდარიყო პირველი ინგლისელი ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატზე ექნებოდა ნათამაშები, კვირა საღამოს მილანში დასამარდა. შეხვედრაში, რომელშიც „მილანმა“ „კიევოს“ 1:0 სძლია, ინგლისელი ვეტერანი დაშავდა, დაშავდა სრულიად უწყინარ სიტუაციაში, როცა მის ახლოს მეტოქის ერთი ფეხბურთელიც არ იდგა. ამბობენ, რომ მას აქილევსის მყესი აქვს გაშავებული. ამბობენ იმასაც, რომ ვარსკვლავმა თავად იგრძნო ტრავმის სერიოზულობა. მოედნიდან გასვლისას იგი თურმე იმეორებდა - „გატეხილია, გატეხილი“. გუშინ ბექჰემისთვის ოპერაცია ფინეთში უნდა გაეკეთებინათ. ქირურგი **საკარი ორავა** გახლდათ. ტრავმა რომ მეტად სერიოზულია, იმთავითვე ნათელი იყო.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლა „ლოს ანჯელეს გელექსიდან“ „მილანში“ გაქირავებულ ვარსკვლავს, რომელსაც ეროვნულ გუნდში 115 მატჩი აქვს ჩატარებული, საშუალებას მისცემდა ინგლისელი მეკარის **პიტერ შილტონის** რეკორდი მოეხსნა. შილტონის სანაკრებო მონაგარი 125 მატჩია.

დევიდ ბექჰემის ჯანმრთელობის შესახებ პირველი კომენტარი თამაშის საღამოს მილანელთა ექიმმა გააკეთა. მან თქვა, რომ 34 წლის ვარსკვლავი დაახლოებით 5-8 თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. თუ ეს მართლაც ასეა, გამოდის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობა რა მოსატანია, შესაძლოა მისი მთელი კარიერა დასრულდეს. „სან სიროდან“ გავრცელებული უსიამოვნო ცნობა დიდი დარტყმა იქნება ინგლისის ნაკრების მწვრთნელ **ფაბიო კაპელოსთვისაც**, რომელსაც ძალიან სურდა ბექჰემი 23-კაციან გუნდში შეეყვანა. მართალია, „მობერებული“ შუახაზელი კაპელოს გუნდის ძირითადი შემადგენლობის უკონკურენციო წევრი აღარ იყო, მაგრამ იტალიელი მწვრთნელი იმედოვნებდა, რომ მას გუნდში იყოლიებდა, როგორც სწრაფი ახალგაზრდა ჰაფბეკების ტაქტიკურ ალტერნატივასა და ადამიანს, რომელსაც გასახდელში წონიანი სიტყვა ეთქმის.

ინგლისური პრესა წერს, რომ ბექჰემმა გასულ კვირას მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზეც“ დაამტკიცა თავისი ძალა და უნარი. მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ვეტერანის ახლანდელი გუნდი „მილანი“ მისი ცხოვრების მთავარმა გუნდმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაამარცხა. ორი მატჩის ჯამში ინგლისის ჩემპიონმა 7:2 მოიგო, „ოლდ ტრეფორდზე“ ჩატარებულ შეხვედრაში კი ანგარიში 4:0 გახლდათ. ერთი სიტყვით, როგორც ინგლისური გაზეთები წერენ, მილანელები განბილდნენ და მათ გუნდში ყველაზე მეტად სწორად ბექჰემი გამოირჩეოდაო.

„დეილი მეილი“ ხაზს უსვამს იმ შემართებას, რომლითაც ნახევარმცველი მსოფლიოს ჩემპიონატზე ცდილობდა მოხვედრას. როგორც კი შეატყო, რომ „ლოს ანჯელეს გელექსის“ ამარა დარჩენა ინგლისის ნაკრებში მოხვედრის შანსებს უმცირებდა, ზედიზედ ორჯერ „მილანში“ იჯარით გადავიდა, რათა კაპელოს თვალწინ და ევროპულ ფეხბურთში ეტრიალა. ის, რომ ბექჰემმა „მილანში“ ადგილი დაიმკვიდრა, მასზე, რასაკვირველია, კარგს მეტყველებს, მაგრამ ხსენებული გაზეთის მიმომხილველთა აზრით, მისი ტრავმა შესაძლოა ზედმეტად გახანგრძლივებული სეზონით იყოს გამოწვეული.



დევიდ ბექჰემის გასაჭირი

ბექჰემის თანაგუნდელი **ინაციო აბატე**: *„ის ტიროდა და ბევრი არაფერი უთქვამს“.*

მწვრთნელმა **ლეონარდომ** დასძინა: *„მას ზუსტად ის შეგრძნებები ჰქონდა, აქილევსის მყესის გაწყვეტისას რომ იცის“.*

ყველაზე იმედიანი სიტყვა ბექჰემის ტრანსფერის ბატონ-პატრონმა და მილანში ჩამყვანმა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ** თქვა: *„მე დავინახე, რომ ის ნამდვილად იტანჯებოდა. გასახდელში მოვეხვიე და ვუთხარი, რომ თუ მისი სურვილი იქნება, შეუძლია, გაისადაც ჩვენთან გადმოვიდეს“.*

ბოლოს კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისის ნაკრების უილბლობათა სერია გრძელდება. ჯერ იყო და კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** თავი სასიყვარულო სკანდალში გაყო, რაც მას და მთელ ინგლისელ საზოგადოებას დიდ, რამდენიმეკვირიან შფოთვად დაუჯდა. საბოლოოდ ტერი კაპელომ ნაკრების კაპიტნობიდან გადააყენა. შემდეგ ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა **უეინ ბრიჯმა**, ფეხბურთელმა, რომლის ცოლთანაც ტერის ფარული რომანი ჰქონია გაბმული. ამას **ეშლი კოულის** სერიოზული ტრავმა დაემატა, რასაც **ვეს ბრაუნის** ტრავმაც მოჰყვა. გაუგებარია **რიო ფერდინანდის** ქრონიკულად მტკივანი ზურგის საქმეც.



ლივერპულს რაფა ბენიტესის გაშვება ძვირი დაუჯდება

ლივერპული

# 16 მილიონი რაფაზე

ᲗᲣ „ლივერპული“ ამ ზაფხულს **რაფა ბენიტესს** თანამდებობიდან დაითხოვს, ესპანელი მწვრთნელის პირადი საბანკო ანგარიში უმალ 16 მილიონი გირვანქით შეივსება. საქმე ის არის, რომ მერსისაიდულ კლუბთან 2009 წელს გაფორმებულ ხუთწლიან კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის თანახმადაც მწვრთნელის თანამდებობიდან გაშვების შემთხვევაში „ლივერპული“ ვალდებულია სრული თანხა, რაც მას უნდა აელო, 24 საათში დასვას ბენიტესის ანგარიშზე. „წითლების“ თავკაცის გასამრჯელო წელიწადში 4 მილიონი გირვანქაა.

ბენიტესმა და მისმა აგენტებმა ლივერპულელებს ასეთი პირობა მაშინ დაადებინეს, როდესაც ესპანელის ხელში გუნდი ძალიან ძლიერად გამოდიოდა. მაშინ მწვრთნელმა კლუბის აღმასრულებელ შეფს **რიკ პერის** ძალაუფლებისთვის ბრძოლაში აჯობა და ტრანსფერების გაჩარხვის უფლება მთლიანად თავად იგდო ხელთ. შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში „ლივერპული“ პრემიერლიგაში მეორე ადგილზე გავიდა. ახალ სეზონში კი კოშმარულად გამოდის და მიუხედავად იმისა, რომ ბენიტესი თანამდებობიდან ჯერ არ გაუშვიათ, მის მოხსნაზე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. უამრავი ჭორია აგრეთვე **ფერნანდო ტორესისა** და **სტივენ ჯერარდის** სხვა გუნდში გადასვლაზეც. მიზეზი „წითლების“ ჩემპიონთა ლიგიდან ადრეული გავარდნა გახლავთ. თუ გუნდი პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზეც ვერ გავიდა, ესე იგი მომავალ სეზონში ლიგის გარეშე დარჩება, ტორესს და ჯერარდს კი კარიერაში წლის გაცდენა არ მოუნდებათ.

თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ „ლივერპულის“ ამერიკელი მეპატრონეები **ტომ ჰიკსი** და **ჯორჯ ჯილეტი** ბენიტესთან განშორებას არ ჩქარობენ. სინამდვილეში მათ 16 მილიონის ერთბაშად გადახდა არ უნდათ, ხმამაღლა კი აცხადებენ, რომ ბენიტესს ენდობიან და სწამთ, რომ ის გუნდს კრიზისიდან გამოიყვანს.

ზემოთ ფერნანდო ტორესი ვახსენეთ. ესპანელმა ფორვარდმა კატეგორიულად განაცხადა, რომ თუ ზაფხულზე კლუბი სატრანსფერო აქტიურობას არ დაიწყებს და თავიდანვე დიდძალ ფულს არ დახარჯავს, მართლაც გადავა სხვაგან. ამასთან, დაირხა ხმა, რომ მერსისაიდელთა ყიდვა ექვს მძლავრ კომპანიას სურს. ერთ-ერთი მათგანია მსოფლიოში ცნობილი ბრენდი Rhone Group, რომლის კაპიტალიც 3 მილიარდი ფუნტია. ეს კორპორაცია მზადაა „ლივერპულში“ 100 მილიონი გადაიხადოს.

ტორესმა თქვა: *„გულწრფელად მჯერა, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია პრემიერლიგაში მეოთხე ადგილზე გასვლა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მეოთხე ადგილზე გასვლის შემთხვევაში ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოვიპოვებთ. და კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება სატრანსფერო აქტიურობა. თუ კლუბი საუკეთესო ფეხბურთელებს შეიძენს, ჩვენ მომავალი სეზონისთვის სულ სხვა იმედი და ძალა გვექნება. ვფიქრობ, ოთხი ან ხუთი უმაღლესი დონის ფეხბურთელი უნდა შევიძინოთ. ეს ფეხბურთელები დღევანდელ ლივერპულელებს უნდა სჯობდნენ და მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლას.*

*მე „ლივერპულში“ რომ გადმოვედი, სახლ-კარი დავტოვე. რასაკვირველია, მერსისაიდელების წინაშე ვალშიც ვარ, ფანებიც დიდ პატივს მცემენ, მაგრამ თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, მომავალზე დავიწყებ ფიქრს“.*

ტიტულისთვის ბრძოლაში

# ფერგი: ჩელსი არა, უფრო არსენალი...

ᲔᲠᲗᲘ შეხედვით უცნაურ რამეს ამბობს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი**. ის ბრძანებს, რომ მისი გუნდისთვის ტიტულისკენ მიმავალ გზაზე „არსენალი“ უფრო დიდი დაბრკოლება იქნება, ვიდრე „ჩელსი“. მოგეხსენებათ, კვირას „იუნაიტედმა“ „ფულჰემს“ 3:0 მოუგო და დღეისათვის პრემიერლიგის ცხრილში პირველ ადგილზეა. ახლა, ფერგიუსონს სურს, მისმა ბიჭებმა გაზს მთელი ძალით მიაჭირონ ფეხი და სარეკორდო, მე-19 ჩემპიონობა მოიგონ.

სერ ალექსი ამბობს: *„ამიერიდან ყველა შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ისე ჩანს, რომ ახლანდელი პრემიერლიგა ყველა უწინდელ სეზონთან შედარებით დაძაბულია. ასეთი კონკურენცია ადრე არ ყოფილა. ჩვენ ცხრილის სათავეში დავბრუნდით, მაგრამ „ჩელსის“ თამაშით ნაკლები აქვს. ძალიან დიდი წინააღმდეგობა გველის „არსენალისგანაც“. „მეთოფეები“ ბოლოხანს ძალიან გაძლიერდნენ. და, მართალი გითხრათ, ეჭვი მაქვს, რომ ყველაზე დიდი ხიფათი მათგან გველის.*

*თუ კალენდარს დავაკვირდებით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ ტიტულის ბედი უპირველეს ყოვლისა ჩვენს ხელთაა. საქმე ის გახლავთ, რომ „ჩელსი“ „ოლდ ტრეფორდზე“ ჩამოდის (ეს შეხვედრა 3 აპრილსაა). რასაკვირველია, ეს დიდი მატჩი იქნება, მაგრამ მინდა გავიმეორო, რაც ვთქვი: ძალიან ვუფრთხი „არსენალსაც“, რომელსაც წამყვანი ფეხბურთელები კიდევ თუ არ დაუშავდა, რეალურად იბრძოლებს ჩემპიონობისთვის“.*

დღევანდელი მდგომარეობით, „იუნაიტედი“ „ჩელსისა“ და „არსენალს“ ორი ქულით უსწრებს. „მეთოფეებმა“ შაბათს დრამატულ შეხვედრაში, ბოლო წამს გატანილი გოლის წყალობით „ჰალი“ დაამარცხეს 2:1, „ჩელსიმ“ კი „ვესტ ჰემს“ 4:1 აჯობა. ფერგი ამბობს, რომ მისმა ფეხბურთელებმა ახლა უნდა მოახერხონ და გამარჯვება გამარჯვებას მიაყოლონ, რათა ტიტული ზედიზედ მეოთხედ მოიპოვონ, რაც, აგრეთვე რეკორდია. კერძოდ ის ბრძანებს:

*„ამიერიდან, სულ ბოლო ტურამდე, ყოველ შეხვედრას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ. რასაკვირველია, ყველა შეხვედრაში გამარჯვება მეტისმეტად რთული მოთხოვნაა, მაგრამ თუ ჩემპიონობა გვინდა, სხვა მიზანი არც უნდა დავისახოთ. ჩვენ მშვენიერ ფორმაში ვართ, ტურიდან ტურამდე კარგად მივდივართ, მაგრამ მეტოქეებიც ჩინებულად თამაშობენ. ერთი სიტყვით, ყველას კარგად ესმის, რომ ახლა ჩემპიონატის გადამწყვეტი მომენტი დგას. ერთი სიტყვით, გეგმები აშკარა და მკაფიოა“.*

„იუნაიტედს“ ფეხი თებერვალში დაუცდა, როდესაც „ევერტონთან“ დამარცხდა და ეს მისი მეექვსე წაგება გახლდათ მიმდინარე ჩემპიონატში. თუმცა, ამის შემდეგ, ფერგიუსონის შეგირდებმა ძალები მოიკრიბეს და ზედიზედ ხუთი გამარჯვება მოიპოვეს. ამ ხუთ შეხვედრას რომ ვამბობთ, „მილანთან“ გამარჯვებებსაც ვგულისხმობთ. საბოლოოდ, ამ თამაშებში მანჩესტერელებმა 13 გოლი გაიტანეს და მხოლოდ ერთი გაუშვეს. ფერგიუსონი ამბობს: *„დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი სტაბილურობაა. მართალი რომ გითხრათ, ჩვენ უფრო მეტი დასვენების დღე გვქონდა, ვიდრე ვისურვებდი. „ევერტონთან“ შეხვედრა ნამდვილი ხელის მოცარვა გახლდათ, მაგრამ სამი დღის შემდეგ „ვესტ ჰემს“ მოვუგეთ და ეს უკვე ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებას ნიშნავდა“.*



ფერგის ყველაზე მეტად არსენის არსენალის ეშინია

ტრებლი - ეს ინგლისური სიტყვა საფეხბურთო ლექსიკონში სეზონში სამი ტიტულის მოგებას ნიშნავს. ფერგიუსონი არ მალავს, რომ ამ სეზონშიც ტრებლს გეგმავს: ლიგის ანუ „ქარლინგის“ თასი მანჩესტერელებს უკვე მოგებული აქვთ, პრემიერლიგის ტიტულისთვის გუნდი ტრადიციულად იბრძვის და ჩემპიონთა ლიგაშიც მეოთხედფინალშია გასული. ის ამბობს: *„მე შევქმენი გუნდი, რომელსაც ყველა ფრონტზე შეუძლია ბრძოლა და თან, არ მინდა ვთქვა, რომელი შეჯიბრებაა ჩვენთვის პრიორიტეტული. ჩვენ ყველა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.*

*რასაკვირველია, ჩვენ „ქარლინგის“ თასის ფინალში დიდი დანაკლისი განვიცადეთ, მაკლ ოუენი დაგვიშავდა და ანდერსონიც სეზონის ბოლომდე აღარ გვეყოლება - მას მყესები აქვს საოპერაციო და ბრაზილიაში დაბრუნდა. გარდა ამისა, კიდევ გვყავს ერთი-ორი ფეხბურთელი დაშავებული, მაგრამ დასახულ ამოცანებს თავი რომ გავართვათ, ამისათვის საკმარისი რაოდენობის ხალხი მაინც გვყავს. ის ფეხბურთელები, რომლებიც სეზონის დასაწყისში წუწუნებდნენ, რომ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან, ახლა მოედანზე არიან. მათი პრობლემაც გადაჭრილია“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხაელ ბალაკი


ჟოზე მოურინიო

# ბალაკი: შენ უკვე წარსული ხარ, ჟოზე!

## იტალიას ინტერის იმედი აქვს, რუსები ესპანეთში სენსაციას გეგმავენ

### ჩელსი-ინტერი

*პირველი მატჩი 1:2*

„ფიორენტინა" გავარდა და ფლორენციულ კლუბს „მილანიც" მიჰყვა. „იუვენტუსმა" კი უფრო ადრე შეირცხვინა თავი და ჩემპიონთა ლიგას ჯგუფური ეტაპიდანვე გამოეთიშა - დარჩა „ინტერი". როგორც მიხვდით, იტალიური კლუბების საჩემპიონთალიგო ამბებზე ვამახვილებთ ყურადღებას. დარჩა „ინტერი" და პრინციპში, ეს ლოგიკურიცაა, რადგან „ნერაძური" იტალიაში ყველაზე ძლიერი კლუბია, რასაც ბოლო წლებში რეგულარულად ამტკიცებს. ამრიგად, იტალიური საკლუბო ფეხბურთის იმიჯი სრული კრახისგან სწორედ **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა უნდა იხსნას. ერთი კია: „ინტერი" ბოლო დროს იტალიაში ნომერ პირველ ფავორიტად ჩამოყალიბდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში ღმერთს არ უქნია და „ნერაძური" დღეს კიდევ ერთხელ შეეცდება ამ სტერეოტიპის დამსხვრევას. რაც უნდა იყოს, მოურინიოს გუნდმა ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტ „ჩელსის"შინ 2:1 მოუგო და ბრწყინვალე შანსი აქვს, ითამაშოს მეოთხედფინალში. ესეც მთავარი ინტრიგა და კიდევ უფრო მთავარი ამბავი მოურინიოს „სტემფორდ ბრიჯზე" დაბრუნებაა.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი მატჩის მოგება „ინტერმა" შეძლო, სტუმრად გატანილი გოლის წყალობით, „ჩელსის" მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არ არის. ახლა არ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, თუ რომელი ანგარიშები აძლევს ხელს ლონდონურ კლუბს და ამრიგად, მოდი, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.

მოურინიო „ჩელსის" იდეალურად რომ იცნობს, ამას წყალი არ გაუვა. პორტუგალიელმა სპეციალისტმა „არისტოკრატების" ყველა პლუსი და მინუსი იცის - მით უმეტეს, რომ მისი წასვლის შემდეგ „ჩელსის" შემადგენლობა ფაქტობრივად არ შეცვლილა. მაგრამ ეს „ინტერისთვის" დიდი ვერაფერი შეღავათია, რადგან ლონდონელთა თავკაცი **კარლო ანჩელოტიც** საკმაოდ კარგად იცნობს „ინტერს". მართალია, ანჩელოტი „ნერაძურის" არ წვრთნიდა, მაგრამ დაგვერწმუნეთ, იდეალურად ჰყავს შესწავლილი - განსაკუთრებით მილანური დერბების წინ, როცა „მილანს" წვრთნიდა.

მილანელებს კვლავ არ ეყოლებათ მცველი **კრისტიან კივუ** და ეჭვი არც იმაში გვეპარება, რომ მოურინიო თავის შეგირდებს „ჩელსისთან" საბრძოლველად იდეალურად განაწყობს, რადგან ლონდონური კლუბის გაგდება მისი პირადი პრესტიჟის ამბავია. მოურინიო ველოსიპედის გამოგონებას არ დაიწყებს და არ გვგონია, რომ ტაქტიკა შეცვალოს: ჟოზე გუნდს ისევ ფლეიმეიკერით ათამაშებს და ფორვარდების, **სამუელ ეტოოსა** და **დიეგო მილიტოს** უკან კვლავ **ვესლი სნეიდერს** ვიხილავთ, რომელსაც მწვრთნელისგან სრული თავისუფლება ექნება მინიჭებული. კივუს ადგილს **ხავიერ ძანეტი** დაიკავებს, მარჯვენა მცველი კი **მაიკონი** იქნება.

ანჩელოტის მეკარის პოზიციაზე უჭირს და თანაც ძალიან. კარლეტო იძულებულია, კარში რიგით მესამე კიპერი, **როს ტერნბული** ჩააყენოს. აღარაფერს ვამბობთ **ეშლი კოულისა** და **ბოსინგვას** არყოფნაზე, რომლებიც დიდი ხანია, ლაზარეთში იმყოფებიან.

ეროვნულ ჩემპიონატებში საქმეები ორივე გუნდს კარგად აქვს. „ჩელსი" ინგლისის ჩემპიონობისთვის იბრძვის და ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება, მაგრამ ლონდონური კლუბი პოტენციურად პრემიერლიგის ლიდერია, რადგან „მანჩესტერზე" ერთით ნაკლები მატჩი აქვს ჩატარებული. ამ უქმეებზე ანჩელოტის შეგირდებმა „ვესტ ჰემს" 4:1 მოუგეს. პოტენციური კი არა, სერია A-ში „ინტერი" ნაღდი ლიდერია, მაგრამ მოურინიოს გუნდმა ბოლო დროს ქულების განიავება დაიწყო და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ახლა „მილანი" „ინტერს" სულ რაღაც ერთი ქულითღა ჩამორჩება. პარასკევს „ნერაძური" „კატანიასთან" 1:3 დამარცხდა. ერთი სიტყვით, იტალიის ჩემპიონს ბოლო დროს ძალიან გაუჭირდა და თუ „ინტერი" „ჩელსისთან" გავარდა, ჟოზეს და მის ბიჭებს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. აღსანიშნავია, რომ მილანში გამართული მატჩი, რომელიც „ინტერმა" 2:1 მოიგო, ამ გუნდების პირველი დაპირისპირება გახლდათ, რადგან მანამდე ერთმანეთს ოფიციალურად არასდროს შეხვედროდნენ.

ისევე, როგორც „სან სიროზე" იყო, „სტემფორდ ბრიჯზეც" თანაბარ ბრძოლას ველით, რადგან ორივე გუნდს უმაღლესი კლასის ოსტატები ჰყავს. „ინტერში" მთავარი როლი სნეიდერს აქვს, რომელიც პასებით ამარაგებს მილიტოსა და ეტოოს, უკან კი, სტაბილურობისთვის **სამუელისა და ლუსიოს** ტანდემი ილვწის. ამავდროულად, „ინტერს" ჰყავს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საყრდენი ნახევარმცველი **ესტებან კამბიასო** და ერთ-ერთი საუკეთესო ფლანგის მცველი და ნახევარმცველი ხავიერ ძანეტი. „ჩელსის" ცენტრალურ მცველებს, **ტერისა** და **კარვალიოს** ევროსარბიელზე უდიდესი გამოცდილება აქვთ. ნახევარდაცვაში კი ანჩელოტის ბრძოლისუნარიანობისა და კრეატიულობის საუკეთესო სინთეზი აქვს: **ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი** და **ჯო კოული**. შესანიშნავ ფორმაშია თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა**...

მაგრამ „ჩელსის" წინა ხაზში მთავარ როლს **დიდიე დროგბა** ასრულებს, „ინტერისაში" კი სამუელ ეტოო. ისინი არა მარტო აფრიკის კონტინენტის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდები არიან და არ იქნება გასაკვირი, ამ მატჩისა და ზოგადად ამ დუელის ბედი ერთ-ერთმა მათგანმა რომ გადაწყვიტოს.

*„ინტერთან" მატჩში გამარჯვების იმედი მაქვს. განსაკუთრებით მეკარე მეიმედება. ვინც ფიქრობს, რომ როსი ჩვენი სუსტი წერტილია, ძალიან ცდება. დარწმუნებული ვარ, ის მატჩს უმაღლეს დონეზე ჩაატარებს,"* - ეს სიტყვები ანჩელოტის ეკუთვნის.

საინტერესო კომენტარი გააკეთა ბალაკმა: *„ჟოზე მოურინიო ძალიან მაგარი მწვრთნელია და მე მას ვაფასებ, როგორც უნიჭიერეს სპეციალისტს. მაგრამ მოურინიო ჩელსისთვის უკვე წარსულია! წარსულზე კი ბევრი არ უნდა ილაპარაკო. მე ის ვიცი, რომ „ინტერი" ძლიერი გუნდია, მაგრამ ეს გუნდი უნდა დავამარცხოთ."*

„ინტერს" მხოლოდ ის უპირატესობა აქვს, რომ არ არის ვალდებული, მოიგოს. სამაგიეროდ, „ჩელსი" საკუთარ კედლებში თამაშობს და თანაც, სტუმრად გოლი აქვს გატანილი. დიდი შანსია, რომ ამ დუელში საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო ან პენალტების სერია გახდება საჭირო.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი (4-2-3-1):** ტერნბული - ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ჟირკოვი - ობი მიკელი, ბალაკი - კალუ, ლემპარდი, მალუდა - დროგბა.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ხ. ძანეტი - კამბიასო, მარიგა, სტანკოვიჩი - სნეიდერი - ეტოო, მილიტო.

**არბიტრი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

### სევილია-ცსკა

*პირველი მატჩი 1:1*

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვში მატჩი 1:1 დასრულდა, ცსკა-ს სამწვრთნელო შტაბი, ფეხბურთელები და გულშემატკივრები ოპტიმისტურად არიან განწყობილები და სჯერათ, რომ მათ გუნდს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა შეუძლია. არადა, პირველი მატჩის შემდეგ ფავორიტად „სევილია" მიიჩნევა, რადგან გარდა იმისა, რომ როხიბლანკოებმა მოსკოვში ფრეს მიაღწიეს, სტუმრად გოლის გატანაც შეძლეს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საპასუხო შეხვედრას სერიოზული დანაკლისის გარეშე ხვდებიან. **სებასტიენ სკილაჩი** გამოჯანმრთელდა და ლაზარეთიდან დაბრუნდნენ როგორც მთავარი გოლეადორი **ლუიშ ფაბიანო**, ისე **რენატოც**. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც ესპანური კლუბი დღეს ვერ გამოიყენებს, **აბდულაი კონკო** გახლავთ, რომელიც მადრიდის „რეალთან" მატჩში დაშავდა. კონკომ კვირასაც ვერ ივარჯიშა და დღეს მისი ასპარეზობა გამორიცხულია.

სერიოზული საკადრო პრობლემები არც ცსკა-ს აქვს. მართალია, გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **ალან ძაგოევმა** რუსეთის ჩემპიონატის პირველი ტური (ამკართან 1:0) გამოტოვა, მაგრამ დღეს საღამოს მწყობრში იქნება და აუცილებლად ითამაშებს.

*„პირველი მატჩის შედეგი, ჩემი აზრით, ლოგიკურია,* - განაცხადა მატჩის წინ ლუიშ ფაბიანომ, - *არ ველოდი, იმას, რომ ცსკა-ს სტუმრად მოვუგებდით, რადგან რუსულმა კლუბმა შემოდგომაზე, „მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩებშიც დაამტკიცა, რომ დიდი პოტენციალი აქვს. მეტიც, ცსკა-ს „ოლდ ტრეფორზე" უნდა მოეგო კიდეც. ცსკა-ს საკმაოდ სწრაფი და ფიზიკურად კარგად მომზადებული ფეხბურთელები ჰყავს. ასე რომ, მართალია, სტუმრად საჭირო გოლის გატანა შევძელით და სასურველ ფრეს მივაღწიეთ, მაგრამ დიდი სიფრთხილე გვმართებს, რადგან ცსკა-ს დასაკარგი არაფერი აქვს. ზუსტად ვიცი, რომ ურთულესი მატჩი გველის და ეს მატჩი „სევილიასთვის" უდიდესი პასუხისმგებლობაა. ლოგიკურად, მეოთხედფინალში ჩვენ უნდა გავიდეთ, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ ამისათვის მაქსიმალური კონცენტრაციაა საჭირო."*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სევილია (4-4-2):** პალოპი - სტანკევიჩიუსი, დრაგუტინოვიჩი, ესკუდე, ნავარო - ნავასი, ზოკორა, რომარიჩი, პეროტი - ნეგრედო, ლუიშ ფაბიანო.

**ცსკა (4-5-1):** აკინფეევი - ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენნიკოვი - ალდონინი, შემბერასი, კრაშიჩი, ჰონდა, ძაგოევი - ნეციდი.

**არბიტრი:** ვიქტორ კოშაი (უნგრეთი)

**გოტფრიდ ლენცი**

Heineken
უყურე UEFA CHAMPIONS LEAGUE ჰეინეკენთან ერთად
შეიძინე ჰეინეკენის 6 ბოთლიანი შეფუთვა და მოიგე UEFA CHAMPIONS LEAGUE დასასწრები ბილეთები:
მხოლოდ გაზეთი ალიას მკითხველისთვის:
○ ამოჭერი ჰეინეკენის 6 ბოთლიან ყუთზე დატანილი კუპონი.
○ შეაგროვე 3 ცალი ამოსაჭრელი კუპონი დაამატე გაზეთ "ალია"-ში დატანილი "ალიას ბილეთი" და გადაცვალე ფილარმონიის სალაროებში 1 მწვანე ბილეთზე.
○ მხოლოდ მწვანე ბილეთის მფლობელს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ჰეინეკენის გათამაშებაში.
UEFA თამაშებზე დასასწრები ბილეთები გათამაშდება 2 ჯერ:
9 მარტს და 31 მარტს TBILISI EVENT HALL"-ში
მხოლოდ გაზეთი ალიას მკითხველისთვის:
ამოჭერი ალიას ბილეთი და დაესწარი UEFA CHAMPIONS LEAGUE პირდაპირ ჩვენებებს "თბილისის ივენთ ჰოლში", სადაც გათამაშდება UEFA თამაშებზე დასასწრები ბილეთები და სხვა მრავალი პრიზი.
გათამაშებული ბილეთები 2 კაციანია. გამარჯვებულთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს კომპანია "აირზენა"
UEFA CHAMPIONS LEAGUE
ალიას ბილეთი
ტელ: 31 32 48;
მობ: 877 95 55 06
heineken@telianitrading.com
www.FCI.ge

# ევროთასების შიშით

## ჩემპიონობისთვის ექვსი იბრძოლებს

უნდა ეს „ბორდოს“ ხელმძღვანელობას თუ არა, უკვე ჩამოყალიბდა ის ექვსეული, რომელიც ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. ზამთარში ერთობ დაწინაურებული ჩემპიონის უპირატესობისაგან თითქმის არაფერი შემორჩა. თავად განსაჯეთ - ჟირონდელები მე-6 ადგილზე მყოფ მარსელელებს სულ რაღაც 3 ქულით უსწრებენ, თანაც ალარავითარი უპირატესობა გამართული მატჩების მხრივ „ბორდოს“ უშუალო კონკურენტთან არ აქვს. ბოლო ტურში ამ ექვსეულიდან მხოლოდ „ლილმა“ იმარჯვა, დანარჩენები კი ფრეს დასჯერდნენ. ასევე გამოიკვეთა იმ გუნდთა სია, რომელთაც სავარაუდოდ, ლიგა 1-ის დატოვება მოუწევთ. სამწუხაროდ, მათ რიცხვშია ქართველთა „ლე მანიც“.

ფავორიტთა წაფორხილებას ერთი მიზეზი აქვს - ევროთასები. მიუხედავად იმისა, რომ „ბორდოს“ ჰაერივით სჭირდება ქულები ჩემპიონატში **ლორან ბლანმა** „ლუი II“-ზე მაინც გაბედა როტაცია, კარს ხომ ჩემპიონთა ლიგის მატჩია მომდგარი ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ წინ. ბლანმა სკამზე დასვა გუნდის აშკარა ლიდერები **იოან გურკუფი** და **მარუან შამახი** და ისინი მხოლოდ გაჭირვების ჟამს, მეორე ტაიმში შეიყვანა, მაგრამ მონეგასკებს ქულაზე მეტი ველარ დასტყუა - 0:0.

„მონაკოსთან“ მატჩის შემდეგ ჟირონდელებმა სამ საჩემპიონატო შეხვედრაში სულ რაღაც 2 ქულას მოუყარეს თავი. ბლანმა მართლაც უცნაური სქემით სცადა შეტევა, სეზონში მწვრთნელს ეს სქემა აქამდე არ გამოუყენებია: ცენტრფორვარდად **დავიდ ბელიონმა** ითამაშა, ფლანგებიდან კი **ვენდელი** და **იოან გუფრანი** უტევდნენ. კინაღამ ამ ტაქტიკამ მე-5 წუთზევე გაამართლა, „კაენის“ ყოფილმა ფორვარდმა გუფრანმა ბურთი კარს ოდნავ გადააცილა. საპასუხო შეტევაც სახიფათო გამოვიდა, მაგრამ „მონაკოს“ ახალგაზრდა ფორვარდმა **იანიკ საგბომ** ვერ ივარგა.

ბოლო 25 წუთში ბლანმა საქმეში ლიდერები: **შამახი, გურკუფი** და **ჟუსიე** ჩართო. გურკუფის კუთხურის შემდეგ **ლუდოვიკ სანეს** შეეძლო გატანა, რომ არა **სტეფან რუფიეს** ბრწყინვალე რეაქცია. **გი ლაკომბმა**, თავის მხრივ, მოედანზე ახალშეძენილი ნიგერიელი ფორვარდი **მუსა მააზუ** შეუშვა. კარასოს ერთხელ დასჭირდა ოსტატობის გამოვლენა მააზუს დარტყმულის მოსაგერიებლად. სულ ეს იყო - გუნდებმა ქულები გაიყვეს.

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„დღევანდელი ფორმის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ ტიტულისთვის ბრძოლაში ისევ წინ ვართ. დღეს ჩვენ ქულა დავიმსახურეთ, მაგრამ მეტი ნამდვილად არა. ჩვენ არ შეგვეძლო მხოლოდ „მონაკოსთან“ მატჩზე გვეფიქრა, როცა რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა გველის“.*

მოწინავე ექვსეულის ორი წევრის მატჩშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, მეორეადგილოსანმა „მონპელიემ“ მესამეადგილოსან „ოსერს“ უმასპინძლა და 1:1 დაუზავდა. უმართლებს ბლანის გუნდს - საკმარისი იყო ერთ-ერთ გუნდს მოეგო და „ბორდო“ ლიდერობას დაკარგავდა. გამარჯვებასთან ახლოს „ოსერი“, რომელიც კენიელი **დენის ოლიეჩის** გოლის წყალობით იგებდა. „მონპელიეს“ მხსნელად კვლავ არგენტინელი **ალბერტო კოსტა** მოევლინა.

ბურგუნდიული კლუბი ბრწყინვალედ თამაშობს ლიგის ლიდერების წინააღმდეგ, „ოსერის“ კონტრშეტევებზე აგებული ტაქტიკა ფავორიტებთან აშკარად ამართლებს. პირველ ტაიმში მასპინძლებს ორი სახიფათო მომენტი შეექმნათ, **მონტანიოს** დარტყმა **სორენმა** მოიგერია, ხოლო **სირილ ჟენშამმა** ბურთი ხარიხას გაარტყა. სტუმართაგან ბევრი მომენტი გააფუჭა წინა ტურის გმირმა **ირენეუშ ჟელენმა**, სამაგიეროდ კენიელმა ოლიეჩმა იყოჩაღა, მას შემდეგ, რაც მისი ასისტენტობა რუმინელმა **ნიკულაემ** იკისრა. ალბერტო კოსტამ ჯერ ძელს გაარტყა ბურთი, შემდეგ კი ჩინებული აკურატულობით 66-ე წუთზე გაათანაბრა - 1:1. დარჩენილ დროში ისევ სტუმრებს შეეძლოთ გამარჯვება, საგოლე მომენტები ჟელენს და ნიკულაეს შეექმნათ. „მონპელიეს“ 53 ქულა აქვს, იმდენივე, რამდენიც „ბორდოს“, „ოსერი“ ორ ლიდერს ქულით ჩამორჩება. თუმცა აღსანიშნავია, რომ „ბორდოს“ ამ დუეტზე თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

**რენე ჟირარი** (მონპელიე): *„ჩვენ ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც შეგვიძლია, მაგრამ არ წაგვიგია. მეტიც, საკმაოდ მნიშვნელოვანი ქულა მოვიპოვეთ“.*

**ჟან ფერნანდესი** (ოსერი): *„შეგვეძლო მეტის მიღწევაც მართლაც ბრწყინვალე დაცვის მქონე „მონპელიეს“ წინააღმდეგ. კვირის განმავლობაში მესამედ ვითამაშეთ, ამის გამო ვწუხდი კიდეც, მაგრამ გუნდმა შესანიშნავად გაართვა თავი ზედმეტ დატვირთვას. მეორე ტაიმში იყო ეპიზოდი, როცა შეგვეძლო 2:0 დაწინაურება“.*

მადრიდის ტრიუმფატორ „ლიონს“ სათანადოდ დაუხვდნენ გულშემატკივრები „სტად დე ჟერლანზე“. 33-მა ათასმა ადამიანმა ოვაციები მოუწყო გუნდს, რომელსაც გამარჯვებით „ბორდოს“ დაწევა შეეძლო, მაგრამ ტიტულოვან, თუმცა ამჟამად დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლ „სენტ ეტიენთან“ „ლიონმა“ კინაღამ წააგო - 1:1. ქალაქი სენტ ეტიენი ლიონიდან 60 კილომეტრში მდებარეობს სამხრეთით, ამიტომ ამ გუნდების დუელს ლიონურ დერბის უძახიან და სტადიონებზე მუდამ დერბის შესაფერისი ატმოსფეროა.

თამაში დაიწყო და მონდომებულმა „ლეს ვერტსმა“ (მწვანეები) სიურპრიზი შესთავაზა ფავორიტს, განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მათი ფორვარდის, საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრის, **ემანუელ რივიერის** ცოცხალი თამაში. მან ჯერ მასპინძელთა ძელს გაარტყა ბურთი, 39-ე წუთზე კი **ბერხესიოს** პასის შემდეგ თავურით ანგარიში გახსნა.

მასპინძელთა თავკაცმა საქმეში **პიანიჩის** ნაცვლად **ლისანდრო** ჩართო და სწორედ არგენტინელმა ფორვარდმა გაიტანა ქულის მომტანი გოლი - მან **ტულალანის** შორეული პასი მიიღო და თავით შორეული კუთხე დალაშქრა, თამაშის დასრულებამდე 10 წუთი რჩებოდა...

შაბათის მატჩებიდან აღსანიშნავია „პარი სენ ჟერმენის“ გამარჯვება „სოშოზე“ - 4:1. 4-დან სამი გოლი თურქი ფორვარდის, **მევლუთ ერდინგის** ანგარიშზეა: *„ეს გამარჯვება საკუთარი ძალების რწმენას განგვიმტკიცებს, მე კი ლიგა 1-ში პირველი ჰეთ თრიკი შევასრულე და უზომოდ გახარებული ვარ“,* - განაცხადა პარიზელთა ფორვარდმა მატჩის შემდეგ.

კვირას „ბორდოს“ კიდევ ერთმა კონკურენტმა წაიფორხილა - მარსელის „ოლიმპიკი“ „ტულუზს“ ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. **დიდიე დეშამმა** ჩემპიონატის ბომბარდირი **მამადუ ნიანგი** დაასვენა, ცენტრფორვარდად კი **ბრანდაო** ათამაშა. სწორედ ბრაზილიელმა გახსნა ანგარიში **ვალბუენას** მოწოდებული კუთხურის შემდეგ. ბრანდაომ სეზონში მე-7 გოლი გაიტანა. „ტულუზს“ ქულა პორტუგალიელი **მაშადოს** სუპერგასროლამ მოუტანა.

**დიდიე დეშამი** (მარსელი): *„ბენფიკასთან“ სამი დღის წინათ ვითამაშეთ, რაც ჩვენს შესაძლებლობებზე აისახა. პირველ ტაიმში კარგად ვაკონტროლებდით ბურთს, მეორეში კი ძალა აღარ გვეყო“.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

20 მარტი. ოსერი-ლე მანი, ბულონი-ლორიანი, გრენობლი-მონაკო, ნიცა-პსჟ, რენი-ტულუზი, სენტ ეტიენი-ნანსი, ლანსი-სოშო. 21 მარტი. ბორდო-ლილი, მონპელიე-ვალანსიენი, მარსელი-ლიონი.



მევლუთ ერდინგის ჰეთ-თერიკი

### ლე მანი-ნიცა 0:1

**ლე მანი (4-4-2):** ოვონო - კორჩია, ჟედერი, სერდანი, ბაალი - დოსევი, ნარი, გულონი (85. უალი), ლამა (77. სისე) - აბდი (63. ჰელსტადი), ლე ტალეკი.

**ნიცა (4-3-3):** ოსპინა - დიაკიტე, აპამი, სიველი, გასე - კულიბალი, დიგარი (26. ეშუაფნი), ფაე - რემი (90. პოტე), ბაგაიოკო, ბენ საადა (79. მუნიე).

**გოლი:** 0:1 რემი (77)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 7-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 11 114

### ლორიანი-ლანსი 1:0

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, ბურილიონი, მორელი - ამალფიტანო, მვუემბა, დიუკასი, დიარა (64. დიუბარბიე) - გამეირო, ვაირუა (83. მანსური).

**ლანსი (4-2-3-1):** რუნიე - დემონი, იაჰია, შელი, რამოსი - ერმახი, კოვაჩევიჩი (84. მაულიდა) - მონე-პაკე, რუდე, ბედიმო (78. აკალე) - ჟემაა (66. ედუარდო).

**გოლი:** 1:0 მარშალი (78)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 0-7; **კარში დარტყმა:** 10-13 (3-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 11 650

### მონაკო-ბორდო 0:0

**მონაკო (4-2-3-1):** რუფიე - მოდესტო, მონგონგუ, პიუგრენიე, მურატორი - ნკულუ ნდუბენა, მანგანი - ალონსო, ჰარუნა (74. კუტადო), ნენე - საგბო (73. მააზუ).

**ბორდო (4-2-3-1):** კარასო - სანე, ფერნანდო, სიანი, ტრემულინასი - პლაშილი, დიარა - გუფრანი, სერტიჩი (68. ჟუსიე), ვენდელი (69. გურკუფი) - ბელიონი (69. შამახი).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 19-20; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 12-8 (2-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 9 535

### მონპელიე-ოსერი 1:1

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - იანგამბივა (63. ბელჰანდა), სპაჰიჩი, ელ-კაუტარი, ჟენშამი - მარვო (81. ბოკალი), პიტო, კოსტა - კამარა (89. კოიტა), მონტანიო, აიტ-ფანა.

**ოსერი (4-4-1-1):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო, ბერტო - ოლიეჩი (74. კონტუტი), პედრეტი, ნდინგა, ბირსა (79. კაპუე) - ნიკულაე - ჟელენი (89. კვერსია).

**გოლები:** 0:1 ოლიეჩი (45), 1:1 კოსტა (66)

**გაძევება:** ბერტო (92. ოსერი)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 15-10 (4-4); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 19 320

### ნანსი-ბულონი 1:3

**ნანსი (4-2-3-1):** ბრასილიანო - შრეტიე, უადუ, სამი, ლემაიტრი - ნდიაიე, ტრაორე (62. ჰაჯი) - მალონგა, ფერე, ბრიზონი - ბაკარი.

**ბულონი (4-4-2):** ბედენიკი - ლეკოინტი, ბელაი, სუმარე, ლევექი - მარკი, აგუაზი, კაპო 81. დემბელე), დიუკატელი (81. კარიურუ) - იატაბარე (68. მუსილუ), კუვილიე.

**გოლები:** 0:1 აგუაზი (33), 1:1 მალონგა (41), 1:2 მუსილუ (71), 1:3 კუვილიე (77)

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 7-0; **კარში დარტყმა:** 15-11 (6-4); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 045

### პსჟ-სოშო 4:1

**პსჟ (4-4-2):** ედელი - ჟალე, კამარა, სახო, სეარა - ჟიული (79. კეჟმანი), მაკელელე (72. სანხარე), კლემანი, სესენიონი - ერდინგი (85. ნგოი), ოარო.

**სოშო (4-2-3-1):** დრეიე - ფატი, პერკისი, ბრეშე, დრამე (46. მარტინი) - ბუდებუზი, დალმა (71. პუჟოლი) - მორის-ბელაი, სვერკოში, მიკარი - ბრაუნი (46. გავანონი).

**გოლები:** 1:0 ოარო (17), 2:0 ერდინგი (18), 3:0 ერდინგი (35), 3:1 ბუდებუზი (64-პენ), 4:1 ერდინგი (70)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 19-11 (8-4); **ბურთის ფლობა:** 48%-58%.

**მაყურებელი:** 29 249

### ლიონი-სენტ ეტიენი 1:1

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ლოვრენი, სისოხო - ტულალანი, კალსტრიომი - გოვუ (77. ტაფერი), პიანიჩი (46. ლოპესი), ედერსონი (60. დელგადო) - გომისი.

**სენტ ეტიენი (4-4-2):** ჟანო - პერენი (78. ნდავი), დიახატე, ბენალუანი, დაბო - საკო, ფერნანდესი, მატუიდი, პაიე (72. მონსორო) - ბერხესიო (81. მირალიაში), რივიერი.

**გოლები:** 0:1 რივიერი (39), 1:1 ლოპესი (79)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 23-9 (9-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 36 199

### ვალანსიენი-რენი 0:2

**ვალანსიენი (4-3-2-1):** პენეტო - მატერი, ბიზევაცი, ანგუა, ტიენე - საე (67. სებო), სანჩესი, გომისი (46. კოადი) - ბენ ხალფალაპი, დანიჩი (57. ოდელი) - პუჟოლი.

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, ბოკანეგრა - ლემოანი, მვილა, ტეტეი - ბრიანი (90. კემბო-ეკოკო), ასამოა გიანი (71. დანზე), მარვო (84. ბანგურა).

**გოლები:** 0:1 მარვო (26), 0:2 ასამოა გიანი (39)

**გაძევება:** ტიენე (77. ვალანსიენი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 4-1; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 16-10 (1-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 11 116

### ტულუზი-მარსელი 1:1

**ტულუზი (4-2-3-1):** პელე - ებონდო, სეტო, კონგრე, მბენგე - დიდო (80. ბერსონი), მაშადო - ბრაატენი (66. დუპუა), სისოკო, ტაბანუ (83. ლუანი) - კაზიმ-რიჩარდსი.

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, მბია, ტაივო - გონსალესი (71. აბრიელი), კაბორე, შეირუ - ვალბუენა (68. ნიანგი), ბრანდაო, ბენ არფა (77. კონე).

**გოლები:** 0:1 ბრანდაო (30), 1:1 მაშადო (39)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 20-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-13 (6-4); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 27 249

### ლილი-გრენობლი 1:0

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - ბერია, რამი, ჩედჯუ, რ. კოშტა (30. ემერსონი) - ბალმონი, მავუბა, დიუმონი - აუბამეიანგი (68. ტურე), ფრო (81. კაბაიე), ჰაზარდი.

**გრენობლი (4-2-3-1):** ვივიანი - კალვე, სესარი, ვიტაკიჩი, რობენი - რომაო, დიოზი - ბატლე (60. რავე), აკრური (85. მარკი), მაცუი (68. ლიუბოია).

**გოლი:** 1:0 სესარი (46-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-23; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 8-12 (3-3); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 13 941

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 27 | 16 | 5 | 6 | 43-22 | 53 |
| 2. მონპელიე | 28 | 16 | 5 | 7 | 38-29 | 53 |
| 3. ოსერი | 28 | 15 | 7 | 6 | 28-23 | 52 |
| 4. ლილი | 28 | 15 | 6 | 7 | 51-28 | 51 |
| 5. ლიონი | 28 | 14 | 9 | 5 | 46-29 | 51 |
| 6. მარსელი | 27 | 14 | 8 | 5 | 48-29 | 50 |
| 7. ლორიანი | 28 | 12 | 7 | 9 | 40-29 | 43 |
| 8. რენი | 28 | 12 | 7 | 9 | 38-27 | 43 |
| 9. მონაკო | 28 | 13 | 4 | 11 | 32-33 | 43 |
| 10. ვალანსიენი | 28 | 12 | 5 | 11 | 39-39 | 41 |
| 11. ტულუზი | 28 | 10 | 8 | 10 | 28-22 | 38 |
| 12. პსჟ | 28 | 10 | 7 | 11 | 39-32 | 37 |
| 13. ნანსი | 28 | 10 | 5 | 13 | 33-42 | 35 |
| 14. სოშო | 27 | 10 | 5 | 12 | 23-35 | 35 |
| 15. ლანსი | 28 | 9 | 7 | 12 | 26-32 | 34 |
| 16. ნიცა | 28 | 8 | 5 | 15 | 28-45 | 29 |
| 17. სტ. ეტიენი | 28 | 7 | 7 | 14 | 20-34 | 28 |
| 18. ლე მანი | 27 | 5 | 6 | 16 | 24-41 | 21 |
| 19. ბულონი | 28 | 4 | 8 | 16 | 20-47 | 20 |
| 20. გრენობლი | 28 | 3 | 5 | 20 | 20-46 | 14 |

**ბომბარდირები:** 15 - ნიანგი (მარსელი); 13 - ნენე (მონაკო); 12 - ერდინგი (პსჟ), ლოპესი (ლიონი); 11 - ჟერვინიო (ლილი); 10 - გამეირო (ლორიანი), ფრო (ლილი), რემი (ნიცა), ასამოა გიანი (რენი); 9 - შამახი (ბორდო), მონტანიო (მონპელიე), ჟელენი (ოსერი).

### ლიგა 2

### XXVIII ტური

**ვანი-სტრასბური** 1:1
გოლები: 1:0 ევრი (33), 1:1 ლედი (70)

**ტური-სედანი** 1:3
გოლები: 0:1 ალარტი (15), 0:2 ბაისე (33), 0:3 ალარტი (53), 1:3 ტურე (89)

**ისტრი-ანჟერი** 1:1
გოლები: 0:1 მოდესტე (8-პენ), 1:1 საიფი (43)

**დიჟონი-გენგამი** 1:0
გოლი: 1:0 ზარუ (80)

**ბრესტი-აიაჩო** 0:1
გოლი: 0:1 კინკელა (2)

**ბასტია-არლი** 3:0
გოლები: 1:0 პენტეკო (14), 2:0 პენტეკო (52), 3:0 ანდრე (65)

**ნიმი-შატორუ** 1:4
გოლები: 0:1 ადადი (8), 1:1 მუკანჯო (14), 1:2 ბუენგო (34), 1:3 ბუენგო (88), 1:4 ლაიე (90)

**ლავალი-ლე ავრი** 4:0
გოლები: 1:0 ლამატინა (20), 2:0 შაპუა (25-პენ), 3:0 ჟენესი (54), 4:0 ჰამუმა (70)

**კაენი-კლერმონი** 2:1
გოლები: 1:0 ტრაორე (10), 1:1 ბენატია (35), 2:1 ტრაორე (57)

**მეცი-ნანტი** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 28 | 15 | 10 | 3 | 39-20 | 55 |
| 2. ბრესტი | 28 | 15 | 7 | 6 | 40-25 | 52 |
| 3. მეცი | 28 | 12 | 10 | 6 | 35-29 | 46 |
| 4. ლავალი | 28 | 9 | 14 | 5 | 40-29 | 41 |
| 5. ანჟერი | 28 | 11 | 8 | 9 | 34-31 | 41 |
| 6. ნიმი | 28 | 11 | 8 | 9 | 31-35 | 41 |
| 7. აიაჩო | 27 | 11 | 7 | 9 | 32-25 | 40 |
| 8. არლი | 28 | 10 | 9 | 9 | 31-32 | 39 |
| 9. სედანი | 28 | 9 | 11 | 8 | 38-35 | 38 |
| 10. ლე ავრი | 28 | 10 | 8 | 10 | 30-32 | 38 |
| 11. ტური | 28 | 8 | 11 | 9 | 37-39 | 35 |
| 12. ნანტი | 28 | 9 | 8 | 11 | 33-39 | 35 |
| 13. დიჟონი | 28 | 7 | 13 | 8 | 32-33 | 34 |
| 14. სტრასბური | 28 | 7 | 12 | 9 | 34-36 | 33 |
| 15. ვანი | 28 | 7 | 12 | 9 | 31-36 | 33 |
| 16. კლერმონი | 27 | 8 | 7 | 12 | 31-34 | 31 |
| 17. შატორუ | 28 | 7 | 10 | 11 | 38-42 | 31 |
| 18. გენგამი | 28 | 5 | 13 | 10 | 23-30 | 28 |
| 19. ისტრი | 28 | 6 | 9 | 13 | 22-40 | 27 |
| 20. ბასტია | 28 | 5 | 7 | 16 | 29-38 | 22 |

**ბომბარდირები:** 18 - მოდესტე (ანჟერი); 17 - ჟირუ (ტური); 12 - რუ (ბრესტი); 11 - ფოვერჟი (სტრასბური), რიბასი (დიჟონი), ანდრე (ბასტია); 10 - ალარტი (სედანი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

# ტვენტე მთავარი ფავორიტია

კვირას მთელი ჰოლანდიური საფეხბურთო სამყაროს ყურადღება „ამსტერდამ-არენასკენ“ იყო მიპყრობილი, სადაც ქვეყნის ორი გრანდის - „აიაქსისა“ და „ეინდჰოვენის“ მატჩი იყო დანიშნული.

ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ თამაში უხვგოლიანი გამოვიდოდა - ბოლო სამ მატჩში ამ გუნდებმა ჯამში 21 გოლი გაიტანეს. ასევე თამამად შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ორივე გუნდი მხოლოდ მოგებაზე ითამაშებდა. „აიაქსი“ ლიდერთა დანევას ცდილობს, „ეინდჰოვენს“ კი წინა ტურში წაგების შემდეგ რეაბილიტაცია სურდა, თანაც დამარცხების შემთხვევაში შეიძლება „ტვენტე“ საბოლოოდ გაქცეოდა.

არსებობდა ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი, რომელიც „აიაქსის“ სასარგებლოდ ნამდვილად არ მეტყველებდა - „ამსტერდამ-არენას“ 13-წლიანი არსებობის ისტორიაში ადგილობრივ კლუბს მხოლოდ ორჯერ დაემარცხებინა შინ თავისი მთავარი მტერი, იმ დროს, როცა ამ მშვენიერ არენაზე „ეინდჰოვენს“ ცხრა (!) გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

მაგრამ ამჯერად „ეინდჰოვენს“ სტატისტიკამ ვერ უშველა. პირიქით, საკუთარმა არენამ მასპინძლებს დიდი სამსახური გაუწია - ტრიბუნების გიჟური ენერგია „აიაქსის“ ფეხბურთელებსაც გადაედოთ. მთელი მატჩის განმავლობაში მინდორზე არ ყოფილა არც ერთი დუელი, რომლისთვისაც შეიძლებოდა კომპრომისული გვეწოდებინა. პირველივე წუთებზე **დე ზეეუვის** სახიფათო ვარდნა **ისაქსონის** წინააღმდეგ ამის დამადასტურებელი გახლდათ. მაგრამ ამასთან, გუნდებმა უმეტეს შემთხვევაში უხეში თამაში თავიდან აიცილეს, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

„აიაქსი“ ამ მატჩს უფრო მობილიზებული შეხვდა, ვიდრე ეს შემოდგომაზე „ეინდჰოვენთან“ სტუმრად ჩატარებულ შეხვედრაში (3:4) იყო. მაშინ ამსტერდამელები ლიად და უდიერად თამაშობდნენ, ახლა კი მათ მოქმედებაში ყველაფერი კარგად იყო გათვლილი.

ცუდი განწყობა არც „ეინდჰოვენს“ ჰქონია და სტუმრებმა პირველივე წუთებზე რამდენიმე ნახევარმომენტი შექმნეს **მარტინ სტეკელენბურგის** კართან. მაგრამ „აიაქსმა“ თანდათან კონტროლი დაანესა შეხვედრაზე და პირველი ტაიმის შუაში ანგარიშიც გახსნა.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ **სიმ დე იონგის** თამაში. ჰოლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი პრაქტიკულად უგოლოდ არ ტოვებს მოედანს. ახლაც მან გაიტანა პირველი გოლი ისაქსონის კარში. შვედმა მეკარემ **სუარესის** ურთულესი დარტყმა მოიგერია და დამატებაზე სწორედ დე იონგმა დაასწრო ყველას.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მატჩის ნამდვილი მშვენება გახდა „აიაქსის“ მეორე გოლი. **ანიტამ** წინ გაჭრილ **პანტელიჩს** ცენტრიდან გაუკეთა პასი, მაგრამ ოდნავ ძლიერი გადაცემა მოუვიდა და სერბმა ზედ პირითი ხაზიდან ქუსლით მისცა უკან გადაცემა **ურბი ემანუელსონს**. ამ უკანასკნელმა ერთი მეურვე ჩამოიცილა, ცენტრისკენ დაიძრა და მოულოდნელად საჯარიმოს ხაზიდან შორეულ ცხრიანში გაუშვა ბურთი!

ასეთი შედევრის შემდეგ მეორე ტაიმი ბანალურ ბრძოლას დაემგვანა, რომელშიც „აიაქსმა“ უბრალოდ დაადასტურა თავისი უპირატესობა. ამსტერდამელებმა კიდევ ერთელ დაამტკიცეს, რომ ჰოლანდიაში ყველაზე კარგად თამაშობენ კონტრშეტევაზე. რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მასპინძელთა მორიგი გაქცევა პანტელიჩის გოლით დასრულდა - 3:0.

რას აკეთებდა ამ დროს „ეინდჰოვენი“? სტუმრები ბურთს აკონტროლებდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ გამოეყენებინათ ეს უპირატესობა. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მხოლოდ **ენგელაარის** თავურის გახსენება შეიძლება - ბურთი კარის ხაზიდან ანიტამ გამოიტანა. და კიდევ პენალტი, რომელიც **ჯუჯაკმა** გამოიყენა. ამ გოლით შეწყდა სტეკელენბურგის ბრწყინვალე სერია - „აიაქსის“ მეკარეს ერედივიზიონში 31 იანვრის (!) შემდეგ არ ჰქონდა გოლი გაშვებული.

ჯუჯაკის გოლი „აიაქსისთვის“ მორიგი საგოლე შეტევის საბაბი გახდა. საფინალო სასტვენამდე ცოტა ხნით ადრე **ენომ** საჯარიმოში **ლუის სუარესი** მონახა და ურუგვაელმა სეზონში 27-ე გოლი გაიტანა.

„აიაქსმა“ ზედიზედ მეშვიდე გამარჯვება მოიპოვა და ერთი ქულით მიუახლოვდა „ეინდჰოვენს“, თუმცა მის მთავარ ორიენტირად „ტვენტე“ ითვლება, რომელიც ექვსი ქულით უსწრებს **მარტინ იოლის** გუნდს და ხუთით - **ფრედი რუტენის** შეგირდებს.

შინ „დენ ჰააგთან“ გამარჯვების შემდეგ „ტვენტე“ ჩემპიონობის მთავარ ფავორიტად იქცა. თუმცა ეს შეხვედრა ლიდერისთვის კოშმარულად დაიწყო. სტუმრებმა ცენტრიდან დაიწყეს თამაში და უკვე მეათე (!) წამზე გოლს ზეიმობდნენ - **ვერშუკი** დროულად შევიდა მეკარის საჯარიმოში და **ბოშკერის** კარში შეაგორა ბურთი. ეს იყო ამ სეზონის ყველაზე სწრაფი გოლი.

მაგრამ ამის შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. „ტვენტემ“ ინიციატივა მოიპოვა და დიდი ფრონტით შეუტია ჰააგელთა დაცვის ხაზს, რომელიც სიმყარით არასოდეს გამოირჩეოდა.

ჯერ კიდევ შესვენებამდე **მაკლარენის** შეგირდებმა მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება - **რუისმა პერესის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. მანვე მეორე ტაიმის დასაწყისში წინ გაიყვანა თავისი გუნდი, როცა მეკარესთან პირისპირ გასვლა მოახერხა.

ამის შემდეგ ენსჰედელებს დიდად არ მოუკლავთ თავი, თუმცა „დენ ჰააგის“ კარში მესამე გოლი მაინც გავიდა. ეს სტუმრების მეკარის - **დიტევიგის** დამსახურება იყო, რომელმაც პერესის ჩაწოდებული ბურთი დაიჭირა და შემდეგ საკუთარ კარში შეაგდო.

„ტვენტემ“ მე-13 საშინაო მატჩი მოიგო და 1969 წლის რეკორდი გაიმეორა. ახლა გუნდს კიდევ უფრო შთამბეჭდავი წარმატების შანსი გაუჩნდა - 1924 წლის შემდეგ პირველად მოიგოს ქვეყნის ჩემპიონატი.


ემანუელსონის შედევრი

**XXVII ტური**

| | |
|---|---|
| ტვენტე-დენ ჰააგი | 3:1 |
| ბრედა-გრონინგენი | 0:3 |
| ალკმაარი-ვაალვიკი | 6:2 |
| ვენლო-უტრეხტი | 0:1 |
| ნიიმეგენი-როდა | 0:2 |
| ფეიენოორდი-ჰერაკლესი | 1:1 |
| ვიტესი-ჰერენვეენი | 0:1 |
| ვილემი-სპარტა | 3:1 |
| აიაქსი-ეინდჰოვენი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 27 | 22 | 4 | 1 | 51-21 | 70 |
| 2. ეინდჰოვენი | 27 | 20 | 5 | 2 | 60-22 | 65 |
| 3. აიაქსი | 27 | 20 | 4 | 3 | 80-18 | 64 |
| 4. ფეიენოორდი | 27 | 14 | 9 | 4 | 43-26 | 51 |
| 5. ალკმაარი | 27 | 14 | 3 | 10 | 53-31 | 45 |
| 6. ჰერაკლესი | 27 | 13 | 4 | 10 | 38-38 | 43 |
| 7. უტრეხტი | 27 | 11 | 9 | 7 | 28-26 | 42 |
| 8. გრონინგენი | 27 | 11 | 6 | 10 | 38-36 | 39 |
| 9. ბრედა | 27 | 10 | 7 | 10 | 37-43 | 37 |
| 10. როდა | 27 | 9 | 5 | 13 | 35-49 | 32 |
| 11. ჰერენვეენი | 27 | 9 | 2 | 16 | 30-48 | 29 |
| 12. ვენლო | 27 | 6 | 10 | 11 | 35-39 | 28 |
| 13. ნიიმეგენი | 27 | 7 | 7 | 13 | 30-45 | 28 |
| 14. სპარტა | 27 | 6 | 7 | 14 | 27-48 | 25 |
| 15. ვიტესი | 27 | 6 | 6 | 15 | 26-47 | 24 |
| 16. ვილემი | 27 | 7 | 2 | 18 | 33-52 | 23 |
| 17. დენ ჰააგი | 27 | 5 | 8 | 14 | 28-48 | 23 |
| 18. ვაალვიკი | 27 | 4 | 0 | 23 | 22-57 | 12 |

ბომბარდირები: 27 - სუარესი (აიაქსი); 19 - რუისი (ტვენტე); 16 - ელ ჰამდაუი (ალკმაარი); 13 - ტოივონენი (ეინდჰოვენი); 11 - დოსტი (ჰერაკლესი), იუნკერი (როდა).

პორტუგალია


ნასიონალმა კარდოსო ვერ შეაჩერა

# 27 მარტს დაველოდოთ

23-ე ტურის შემდეგ პორტუგალიაში ყველაფერი უცვლელი დარჩა - ოთხივე ლიდერმა გამარჯვებას მიაღწია და კიდევ უფრო დაშორდა დანარჩენ ჯგუფს.

„ბენფიკამ“ რთულ ბრძოლაში მოუგო სტუმრად „ნასიონალს“, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დიდი ნაწილი შეტევებში გაატარა. თუმცა იერიშებს სიმწვავე აკლდა და ამ სიტუაციაში ლიდერი კვლავ პარაგვაელმა **ოსკარ კარდოსომ** გადაარჩინა, რომელმაც სეზონში მე-19 გოლი გაიტანა და მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს. თუმცა ეს გამარჯვება არ იქნებოდა, რომ არა სტუმრების მეკარის - **კუიმის** ოსტატობა, რომელმაც ბოლო წუთებზე **ფელიპე ლოპესის** რთული თავური მოიგერია.

„ბენფიკამ“ შეინარჩუნა სამქულიანი უპირატესობა და ახლა წინ რთული სამმატჩიანი სერია ელის. ხუთშაბათს ლისაბონელები ევროპის ლიგაზე სტუმრად ეთამაშებიან „მარსელს“, კვირას პორტუგალიის ლიგის თასის ფინალი ელით „პორტუსთან“, 27 მარტს კი ჩემპიონატის მთავარი მატჩია დანიშნული - „და ლუჟზე“ „ბენფიკა“ მთავარ კონკურენტ „ბრაგას“ უმასპინძლებს.

ასევე მინიმალური ანგარიშით მოიგო თავისი შეხვედრა „ბრაგამ“. მან **ანდრეს მადრიდის** ერთადერთი გოლი იკმარა „რიუ ავესთან“ შეხვედრაში, არადა, უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეეძლო, უბრალოდ, 1:0 მოგება ჩემპიონატის მეორე ლიდერის სტილია.

ბრწყინვალე ფორმაში შევიდა ლისაბონის „სპორტინგი“. ამ გუნდმა ზედიზედ მესამე გამარჯვებას მიაღწია და სეზონის სტარტიდანვე ასეთ სტილში რომ ეთამაშა, ისიც განაცხადებდა პრეტენზიას ჩემპიონობაზე. ახლა კი ეს გუნდი ლოკალური მიზნების მიღწევაზე ზრუნავს. მაგალითად, ერთი ამოცანა უკვე შეასრულა - „სპორტინგს“ მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში „გიმარაეში“ ავიწროებდა. სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს კვირას და ლისაბონელებმა ჭკუა ასწავლეს კონკურენტს. მატჩის ბედი მე-20 წუთისთვის გადაწყვეტილი იყო - ამ დროისთვის მასპინძლებს უკვე სამი გოლი ჰქონდათ გატანილი.

**XXIII ტური**

| | |
|---|---|
| ნავალი-ლეირია | 1:0 |
| ბრაგა-რიუ ავე | 1:0 |
| აკადემიკა-პორტუ | 1:2 |
| ოლანენსე-ბელენენსეში | 1:3 |
| ლეიქსოეში-სეტუბალი | 1:2 |
| ნასიონალი-ბენფიკა | 0:1 |
| სპორტინგი-გიმარაეში | 3:1 |
| ფერეირა-მარიტიმუ | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 23 | 18 | 4 | 1 | 60-12 | 58 |
| 2. ბრაგა | 23 | 17 | 4 | 2 | 34-14 | 55 |
| 3. პორტუ | 23 | 14 | 5 | 4 | 47-21 | 47 |
| 4. სპორტინგი | 23 | 10 | 8 | 5 | 30-17 | 38 |
| 5. გიმარაეში | 23 | 9 | 6 | 8 | 24-25 | 33 |
| 6. ფერეირა | 23 | 8 | 8 | 7 | 27-26 | 32 |
| 7. ლეირია | 23 | 8 | 6 | 9 | 28-26 | 30 |
| 8. ნავალი | 23 | 8 | 5 | 10 | 14-24 | 29 |
| 9. ნასიონალი | 23 | 8 | 5 | 10 | 27-39 | 29 |
| 10. რიუ ავე | 23 | 6 | 10 | 7 | 20-20 | 28 |
| 11. მარიტიმუ | 23 | 7 | 6 | 10 | 29-32 | 27 |
| 12. აკადემიკა | 23 | 6 | 6 | 11 | 27-33 | 24 |
| 13. ოლანენსე | 23 | 3 | 11 | 9 | 19-33 | 20 |
| 14. სეტუბალი | 23 | 4 | 8 | 11 | 20-42 | 20 |
| 15. ლეიქსოეში | 23 | 3 | 6 | 14 | 19-41 | 15 |
| 16. ბელენენსეში | 23 | 2 | 8 | 13 | 13-33 | 14 |

ბომბარდირები: 19 - კარდოსო (ბენფიკა); 17 - ფალკაო გარსია (პორტუ); 11 - ლიედსონი (სპორტინგი), სავიოლა (ბენფიკა); 10 - ვილიამი (ფერეირა), ედგარი (ნასიონალი).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ბელგია

# ვისია ბოლო საგზური?

ბელგიის ჩემპიონატის ბოლოს წინა ტურში ყველაზე დიდ ინტერესს არა ლიდერების - „ანდერლეხტისა“ და „ბრიუგეს“ მატჩები, არამედ „ვარეგემისა“ და მოქმედი ჩემპიონის „სტანდარდის“ დაპირისპირება იწვევდა. როგორც ცნობილია, წელს ბელგიის ლიგაში გამარჯვებული ახალი წესით ვლინდება - ტრადიციული ორწრიანი ტურნირის შემდეგ საუკეთესო ექვსი გუნდი პლეი ოფში გაითამაშებს პირველობას.

სწორედ პლეი ოფის მეექვსე ვაკანტური ადგილისთვის იბრძვიან ნახსენები გუნდები. „სტანდარდი“ ჯერჯერობით მეშვიდეა და ტიტულის შესანარჩუნებელ შანსს კარგავს. ლიეჟელები საბოლოოდ დაკარგავდნენ ამ შესაძლებლობას, „ვარეგემთან“ მატჩი რომ არ გადაერჩინათ. მასპინძლებმა მეორე წუთზე გახსნეს ანგარიში - **ტედი შევალიემ ბარტ ბუისეს** პასით სეზონში მე-12 გოლი მიითვალა.

ამის შემდეგ თამაშმა ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. მეორე ტაიმში „ვარეგემმა“ უპირატესობის განვრცობის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან - **სინან ბოლატმა კევინ როელანდტსის** ურთულესი დარტყმა მოიგერია.

„სტანდარდი“ **აქსელ ვიტსელმა** გადაარჩინა - მისმა უნაკლო ჯარიმამ სტუმრებს ქულა მოუტანა და ბოლო ტურის წინ ჩემპიონი კონკურენტს ორი ქულით ჩამორჩება.

დასკვნით ტურში „ვარეგემი“ უმოტივაციო „მეხელენს“ სტუმრობს, ხოლო „სტანდარდი“ შინ მიიღებს „გენტს“, რომელსაც გარანტირებული აქვს პლეი ოფში თამაში.

**XXIX ტური**

| | |
|---|---|
| გენტი-შარლერუა | 2:1 |
| ანდერლეხტი-გენკი | 2:0 |
| ბრიუგე-რუზელარე | 1:0 |
| კორტრიიკი-ლოკერენი | 3:1 |
| სტ. ტრუიდენი-ბეერსხოტი | 2:0 |
| ვესტერლო-სერკლი | 2:1 |
| ვარეგემი-სტანდარდი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 27 | 21 | 3 | 3 | 58-20 | 66 |
| 2. ბრიუგე | 27 | 16 | 6 | 5 | 48-32 | 54 |
| 3. გენტი | 27 | 13 | 7 | 7 | 47-30 | 46 |
| 4. კორტრიიკი | 27 | 12 | 8 | 7 | 38-29 | 44 |
| 5. სტ. ტრუიდენი | 27 | 12 | 6 | 9 | 34-32 | 42 |
| 6. ვარეგემი | 27 | 10 | 11 | 6 | 38-30 | 41 |
| 7. სტანდარდი | 27 | 10 | 9 | 8 | 38-32 | 39 |
| 8. მეხელენი | 27 | 11 | 3 | 13 | 34-45 | 36 |
| 9. სერკლი | 27 | 10 | 5 | 12 | 42-39 | 35 |
| 10. ბეერსხოტი | 27 | 9 | 8 | 10 | 29-39 | 35 |
| 11. გენკი | 27 | 8 | 9 | 10 | 32-30 | 33 |
| 12. ვესტერლო | 27 | 8 | 7 | 12 | 28-34 | 31 |
| 13. შარლერუა | 28 | 5 | 8 | 15 | 28-45 | 23 |
| 14. ლოკერენი | 27 | 5 | 3 | 19 | 22-50 | 18 |
| 15. რუზელარე | 27 | 4 | 5 | 18 | 29-58 | 17 |

ბომბარდირები: 14 - ლუკაკუ (ანდერლეხტი); 13 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი); 12 - შევალიე (ვარეგემი), კუემაა (ბრიუგე); 11 - იანჩუკი (ლოკერენი); 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი).


ვარეგემი ანგარიშს ხსნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი



მანჩესტერთან მარცხის შემდეგ მილანში რეფორმებზე დაფიქრდნენ

# უფროსობა შფოთავს: ახალი გეგმები ზაფხულისთვის

იტალიური მედია მეტად საინტერესო ინფორმაციებს ავრცელებს. როგორც ამბობენ, „მანჩესტერთან“ განადგურებამ „მილანის“ მესვეურები მომავალზე დააფიქრა და უახლოეს დღეებში ახალ სამოქმედო გეგმას დაამტკიცებენო. ის, რომ კაკას გაყიდვა შეცდომა იყო, სილვიო ბერლუსკონიმ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ აღიარა - შეცდომას გამოსწორება სჭირდება და ამის შანსი „მილანის“ მეპატრონეს ზაფხულში მიეცემა. ამ ეტაპზე, ჟურნალისტებთან საუბარი მხოლოდ კლუბის სატრანსფერო კონსულტანტმა ერნესტო ბრონძეტიმ მოისურვა და მეტად საინტერესო განცხადებები გააკეთა. ჟურნალისტებთან დიალოგს კითხვა-პასუხის ფორმატით გთავაზობთ:

**- მართალია, რომ „მილანის“ მესვეურები ზაფხულში ხმაურიანი ტრანსფერების გაჩარხვას აპირებენ?**

- „მანჩესტერთან“ ნაწვნევმა მწარე მარცხმა ნათლად დაგვანახვა, რომ გუნდში გარკვეული რეფორმებია გასატარებელი. ბუნებრივია, ასეთ საკითხებზე მთავარი სიტყვა ლეონარდოს ეთქმის და სწორედ მისი აზრია, რომ ცვლილებები აუცილებელია. ფაქტია, რომ ახალი სისხლია საჭირო, წინაალმდეგ შემთხვევაში, ევროპული ფეხბურთის გრანდებს კონკურენციას ვერ გავუწევთ.

**- უკვე ცნობილია, ვის გადაბირებას შეეცდებით ზაფხულში?**

- არა, ასეთ დეტალებზე ჯერ არ გვისაუბრია. შევთანხმდით, რომ ცვლილებები აუცილებელია და დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ სატრანსფერო საკითხებში მთავარი სიტყვა ლეონარდოს ეთქმის.

**- ტრანსფერების საკითხში მთავარი მწვრთნელის კონსულტანტი ხართ, ვის შეძენას ურჩევთ ლეოს?**

- პირველ რიგში, სესკ ფაბრეგასის, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელად მიმაჩნია. ძალიან სწრაფია, ტექნიკური და უზადო დარტყმას ფლობს. სწორედ ასეთი მოთამაშე აკლია „მილანს“ მოედნის ცენტრში.

**- კიდევ ვის დაადგით თვალი?**

- ლეონარდოს ხელში „მილანი“ სამი შემტევით თამაშობს და ჩემი აზრით, ერთი კვალიფიციური გარემარბი არ გვაწყენდა. ჩემი ნება რომ იყოს, აუცილებლად ფრანკ რიბერის გადაბირებაზე დავიწყებდი მუშაობას. ფრანგი თავის ამპლუაში საუკეთესოდ მიმაჩნია და წესით, მისი შეძენის წინააღმდეგი არც ლეონარდო უნდა იყოს. აქვე ვიტყვი, რომ ედინ ჯეკოს ტრანსფერსაც ვუჭერ მხარს და იმედია, ბოსნიელს ამ ზაფხულს მაინც დავიმატებთ. გერმანელები მასში კოლოსალურ თანხას ითხოვენ და თუ დასწიეს თამასა, ედინი აუცილებლად ჩვენთან გადმოვა.

**- ეს ის სამეულია, რომელსაც ლეონარდოს შესთავაზებთ?**

- დიახ, ჩემი აზრით, ზაფხულში სწორედ ამ ფეხბურთელების გადმობირებაზე უნდა ვიზრუნოთ. რეზერვისთვის კიდევ ორ ფეხბურთელს გამოვარჩევდი: სიმონ კიაერს „პალერმოდან“ და ალექსანდრ კოლაროვს „ლაციოდან“. ძალიან ძლიერი ფეხბურთელები არიან და უფრო მაღალ დონეზეც შეუძლიათ თამაში.

**ლაშა ნიკლაური**

## წარმატებული ოპერაცია

**ალესანდრო ნესტას** მუხლზე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა, - ასეთია შეფასება, რომელიც რომის „ვილა სტიუარტის“ კლინიკის პროფესორმა, სახელგანთქმულმა დასტაქარმა **პიერ პაოლო მარიანიმ** გააკეთა. თუკი თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ 33 წლის მცველს ორი თვე გაუცდებოდა, გუშინდელი ინფორმაციით ის უკვე 30 დღეში შეძლებს ვარჯიშის განახლებას.

ინტერი

# ბრანკა: შეცდომა აღარ უნდა დავუშვათ

იტალიის სერია A-ში საჩემპიონო ორთაბრძოლა მაქსიმალურად დაიძაბა. „ინტერის“ ნაფორხილებით „მილანმა“ კარგად ისარგებლა, „კიევო“ დაამარცხა და ლიდერთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა. არადა, სულ რამდენიმე ხნის წინ „ნერაძური“ თანაქალაქელს ათ ქულაზე მეტს უგებდა. „კატანიასთან“ მარცხი „ინტერის“ ბანაკში მძიმედ მიიღეს, ცდილობენ გაერკვნენ ვითარებაში და იმ მიზეზებში, რამაც გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობა განაპირობა. მოვუსმინოთ „ნერაძურის“ ტექნიკურ დირექტორს **მარკო ბრანკას:**

*„სანამ გოლს გავიტანდით, მთლიანობაში კარგად ვთამაშობდით, აი შემდეგ კი თითქოს დავიბენით და მეტოქეს თამაშის სადავეები გადავეცით. ბევრი ამბობს, რომ ფეხბურთელები ფიქრებით უკვე „სტემფორდ ბრიჯზე“ იყვნენ, მაგრამ არა მგონია ასე იყოს საქმე. კარგად ვიცნობ თითოეულ მოთამაშეს და მათ პროფესიონალიზმში დარწმუნებული ვარ. უბრალოდ, შეხვედრის დასკვნით ნაწილში კონცენტრაცია დავკარგეთ და მწარედაც დავისაჯეთ. მომავალში, ასეთი რამ აღარ უნდა გავიმეოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემპიონობის შენარჩუნება გაგვიჭირდება“.*

**ლაშა ნიკლაური**



კატანიური მარცხის შემდეგ ინტერმა მილანი ერთ ქულაზე დაიახლოვა

თავდამსხმელი

# ბარიოსს პარაგვაი უხმობს!

## ხომ ხედავ, რომ მარადონას არ სჭირდები, ჩვენ კი მუნდიალზე წაგიყვანთო...

დორტმუნდის „ბორუსიას“ თავდამსხმელი **ლუკას ბარიოსი** ძალიან კარგ სეზონს ატარებს. ეს მისი პირველი წელია ევროპაში და 25 წლის ფორვარდის ანგარიშზე 13 გოლია, რითაც ის ბომბარდირთა დავაში მოწინავე პოზიციაზეა და პირველ ადგილზე მყოფ **შტეფან კისლინგს** (ლევერკუზენი) მხოლოდ 3 გოლით ჩამორჩება. ბარიოსს ზედიზედ სამ თამაშში გოლი არ გაუტანია და გასულ უქმეებზე მეტოქის კარის ბადის შერხევის გემო გაიხსენა - მან „ბოხუმთან“ მატჩში, რომელიც „შავ-ყვითლებმა“ 4:1 მოიგეს, დუბლი შეასრულა.

მიუხედავად წარმატებული სეზონისა, მას სამშობლოში ყურადღებას არ აქცევენ. ბარიოსი არგენტინელია, მაგრამ არგენტინის ნაკრებში ჯერ არც ერთი თამაში ჩაუტარებია. არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **დიეგო მარადონა** კი დორტმუნდელს „ალბისელესტეში“ არ იძახებს და ფაქტია, რომ დიეგო ბარიოსის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანაზე არ ფიქრობს. სწორედ ამიტომ ეპატიჟებიან „დორტმუნდის“ გოლეადორს პარაგვაელები. რაც ყველაზე მთავარია, პარაგვაი ლუკასს მუნდიალზე წაყვანის გარანტიას აძლევს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რამდენიმე დღის წინ მარადონას თანაშტაბელებისთვის უთქვამს, ბარიოსი ჩემს გეგმებში არ ჯდება, მუნდიალზე წაყვანაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო. სამაგიეროდ, ბარიოსი პარაგვაის ნაკრების მწვრთნელის, **ხერარდო მარტინოს** გეგმებში ზის. 47 წლის სპეციალისტი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლუკასმა პარაგვაის ნაკრებისთვის შეუტიოს და წინა ხაზში **ნელსონ ვალდესთან** ერთად ძალიან საინტერესო ტანდემი შექმნას. მოგეხსენებათ, ვალდესიც დორტმუნდელია და „ბორუსიაში“ ბარიოსი და ვალდესი ერთმანეთს ჩინებულად უგებენ. იმისათვის, რომ ბარიოსი დაითანხმოს, მარტინო „ბორუსიას“ ფორვარდს არა მარტო მუნდიალზე წაყვანის, არამედ ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიასაც აძლევს.

აღსანიშნავია, რომ მარტინოს ბარიოსის გადაბირება ჯერ კიდევ ამ სეზონის წინ სურდა, მაგრამ ლუკასმა მაშინ თქვა, ჩემი გული არგენტინისთვის ძგერსო. თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, - მაშინ მას იმედი ჰქონდა, რომ მარადონა ყურადღებას მიაქცევდა და არგენტინის ნაკრებში გამოიძახებდა. ახლა კი შეუძლია, არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშზე ხელი ჩაიქნიოს და პარაგვაელებს დათანხმდეს.

ნელსონ ვალდესი ბარიოსის გაპარაგვაელების იდეით აღფრთოვანებულია. *„ლუკას ბარიოსი შესანიშნავი გოლეადორია და ბედნიერი ვიქნები, თუ პარაგვაის ნაკრებში ითამაშებს. დარწმუნებული ვარ, რომ იდეალურ ტანდემს შევქმნით,“* - აცხადებს „დორტმუნდის“ ფორვარდი.

**გოტფრიდ ლენცი**



ნელსონ ვალდესი და ლუკას ბარიოსი დორტმუნდში ერთად თამაშობენ და დიდი შანსია, რომ პარაგვაის ნაკრებშიც ერთად იასპარეზონ

კაიზერის აზრი

# ბეკენბაუერი: შალკე ჩემპიონი არ უნდა გახდეს!

## ფრანცმა ადლერიც გააკრიტიკა და სამაგიეროდ, ნოიერი შეაქო

გერმანული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას და მიუნხენის „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** არ უნდა და არ ფიქრობს, რომ გელზენკირხენის „შალკე“ გერმანიის ჩემპიონი გახდება. მას მერე, რაც **ლევან ყენიას** გუნდი მეორე ადგილზეა, გერმანიაში დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო იმის შესახებ, რომ დიდია შანსი, **ფელიქს მაგათმა** „ვოლფსბურგის“ შემდეგ „შალკეც“ გააჩემპიონოს. კაიზერს „ხუმარების“ გაჩემპიონება იმიტომ არ სურს, რომ მაგათის გუნდის თამაშის სტილი არ მოსწონს.

*„შალკე“ მეორე ადგილზეა, მაგრამ ისეთ ფეხბურთს თამაშობს, როგორითაც ჩემპიონები არ ხდებიან ხოლმე. არ შემიძლია იმის წარმოდგენა, რომ გელზენკირხენელები ასეთი ფეხბურთით ჩემპიონები გახდებიან და თუ ეს მაინც მოხდა, ჩემთვის ეს ფაქტი აუხსნელი და გაუგებარი იქნება. შარშან „ვოლფსბურგმა“ რომ იჩემპიონა, ის სხვა შემთხვევა იყო, რადგან ვოლფსბურგელები ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობენ,“* - განუცხადა ბეკენბაუერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

ჩემპიონობის თემის შემდეგ კაიზერი ბერლინში მომხდარ ამბებსაც გამოეხმაურა. როგორც იცით, „ნიურნბერგთან“ მარცხის შემდეგ „ჰერტას“ ფანები მოედანზე შეიჭრნენ და ფეხბურთელებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სურდათ, რაც არ გამოუვიდათ, სამაგიეროდ, რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი დაამტვრიეს. *„შესაძლოა, ეს ამბავი კარგიც იყოს, რადგან ჭკუას ვისწავლით და მომავალში ასეთი რამ აღარ განმეორდება,“* - თქვა ფრანცმა.

ყველაფერთან ერთად, ბეკენბაუერმა გერმანიის ნაკრების და „ლევერკუზენის“ მეკარე **რენე ადლერიც** გააკრიტიკა. ამ უკანასკნელმა კვირას, „ჰამბურგთან“ მატჩში (4:2 „ლევერკუზენის“ სასარგებლოდ) მორიგი შეცდომა დაუშვა, რის გამოც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

*„როდესაც სკოლის გუნდში მეკარე ასეთ შეცდომას დაუშვებს, მასწავლებელი აუცილებლად ეტყვის, რომ მან ფეხბურთს თავი უნდა დაანებოს და სპორტის სხვა სახეობაში სცადოს ბედი. რენე ადლერი ძალიან კარგი მეკარეა, მაგრამ მას მერე, რაც შეიტყო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი მეკარე იქნება, თავის თავს აღარ ჰგავს და ყველა შეხვედრაში შეცდომას უშვებს - გერმანიის ნაკრების მეკარის კვალობაზე ზედმეტად ბევრ შეცდომას, - თქვა კაიზერმა და იქვე დასძინა, - სამაგიეროდ, „შალკეს“ მეკარე მანუელ ნოიერი უნდა შევაქო. ადლერის პირველ ნომრად გამოცხადების შემდეგ ნოიერი უფრო სტაბილური გახდა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო უკეთ გამოიყურება.“*

ადლერს დამცველად გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** გამოუჩნდა, რომელმაც თქვა, რენეს გამო არ ვნერვიულობ, ის ახალგაზრდაა და ამიტომაცაა, მასზე ფსიქოლოგიური წნეხი რომ მოქმედებს, მჯერა, მუნდიალზე ძალიან კარგად ითამაშებსო.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატი



ბაადურ ჯობავა

## უიღბლო ტური

ევროპის ჩემპიონატის მე-9 ტური ხორვატულ რიეკაში უიღბლო აღმოჩნდა დიდოსტატ **ბაადურ ჯობავასთვის**, რომელიც გათამაშების ცხრილის სათავეში იმყოფებოდა. ქართველი მოჭადრაკე გუშინ რუს **ივან ნეპომნიაშჩისთან** დამარცხდა და მეწინავეობაც მას გადაულოცა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **ივან სოკოლოვი** (ბოსნია)-**ზახარ ეფიმენკო** (უკრაინა) 0.5:0.5, **ვლადიმირ აკოფიანი** (სომხეთი)-**ბოიან ვუკოვიჩი** (სერბეთი) 1:0, **იგორ ლისი** (რუსეთი)-**ლოურენ ფრესინე** (საფრანგეთი) 0.5:0.5, **ფერენც ბერკეში** (უნგრეთი)-**ბართლომეი მაჩეია** (პოლონეთი) 0.5:0.5, **დენის ხისმატულინი** (რუსეთი)-**ვალერი პოპოვი** (რუსეთი) 1:0, **არტიომ ტიმოფეევი** (რუსეთი)-**ჰრანტ მელქუმიანი** (სომხეთი) 1:0, **მაქსიმ როდშტეინი** (ისრაელი)-**რაუფ მამედოვი** (აზერბაიჯანი) 0:1, **ვლადიმირ პოტკინი** (რუსეთი)-**ალექსანდრ მოტილევი** (რუსეთი) 0.5:0.5, **ალექსანდრ არეშჩენკო** (უკრაინა)-**მერაბ გაგუნაშვილი** 0:1, **თორნიკე სანიკიძე**-**ევგენი ბარეევი** (რუსეთი) 0.5:0.5, **ათანასიოს მასტროვასილისი** (საბერძნეთი)-**თამაზ გელაშვილი** 0.5:0.5, **მალხაზ სულაშვილი**-**ზავენ ანდრიასიანი** (სომხეთი) 0:1, **ლევან ფანცულაია**-**თამირ ნაბათი** (ისრაელი) 1:0, **დავით არუთინიანი**-**უვე-იენს მაივალდი** (გერმანია) 0.5:0.5, **გაიოზ ნიგალიძე**-**შარუნას სულსკისი** (ლიტვა) 0.5:0.5, **ალექსანდრ შიმანოვი** (რუსეთი)-**ბაჩანა მორჩიაშვილი** 1:0, **შოთა აზალაძე**-**ალოიზიე იანკოვიჩი** (ხორვატია) 0:1, **ალესიო ვალსეჩი** (იტალია)-**დავით ბენიძე** 0:1.

9 ტურის შემდეგ: **ნეპომნიაშჩი - 7.5, ეფიმენკო, ჯობავა, სოკოლოვი, მამედოვი, ტიმოფეევი, ხისმატულინი, აკოფიანი - 7-7... გაგუნაშვილი - 6, ფანცულაია, გელაშვილი, სანიკიძე - 5.5-5.5, არუთინიანი, ბენიძე, ნიგალიძე - 5-5, სულაშვილი, მორჩიაშვილი - 4.5-4.5, აზალაძე - 4 ქულა.**

ერთპიროვნული ლიდერი ქალებშიც შეიცვალა - ლიტველმა **ვიქტორია ჩმილიტემ** პოლონელი **მონიკა სოჩკო** დაამარცხა და 7.5 ქულით დაწინაურდა. ორი ევროპის ჩემპიონის - ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვას** და უკრაინელი **ნატალია ჟუკოვას** დაპირისპირება ბალკანელის გამარჯვებით დამთავრდა.

**ჰოან თან თრანგი** (უნგრეთი)-**ანა მუზიჩუკი** (სლოვენია) 0:1, **ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი)-**ელენა დემბო** (საბერძნეთი) 0.5-0.5, **ნინო ხურციძე**-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 0:1, **ლელა ჯავახიშვილი**-**მარია მუზიჩუკი** (უკრაინა) 0.5:0.5, **ნანა ძაგნიძე**-**მარიამ რომანკო** (რუსეთი) 0:1, **სალომე მელია**-**იოლანტა ზავადსკა** (პოლონეთი) 0:1, **სოფიო გვეტაძე**-**ელმირა სკრიპჩენკო** (საფრანგეთი) 0:1, **ინგა ჭარხალაშვილი**-**ბელა ხოტენაშვილი** 0.5:0.5, **ეკატერინა კოვალევსკაია** (რუსეთი)-**მაკა ფურცელაძე** 1:0, **სოფიო გურამიშვილი**-**ალინა კაშლინსკაია** (რუსეთი) 1:0, **მარია ბუტუსი** (რუსეთი)-**ქეთი ნანალაშვილი** 1:0, **ნაზი პაიკიძე**-**ოლგა სიკოროვა** (ჩეხეთი) 0:1, **მერი არაბიძე**-**სანდრა დუკიჩი** (სერბეთი) 1:0, **მაია ლომინეიშვილი**-**მარია კუვაცუ** (საბერძნეთი) 1:0, **მარიამ დანელია**-**სვეტლანა ჩერედნიჩენკო** (უკრაინა) 1:0.

მონაწილეთა შედეგები 9 ტურის შემდეგ: **ჩმილიტე - 7.5, ანა მუზიჩუკი, სტეფანოვა, კრამლინგი - 7-7... ხურციძე, ჯავახიშვილი - 6-6, გურამიშვილი, ძაგნიძე, მელია, ჭარხალაშვილი, ხოტენაშვილი - 5.5-5.5, გვეტაძე, არაბიძე, ფურცელაძე - 5-5, დანელია, ლომინეიშვილი - 4.5-4.5, პაიკიძე, ნანალაშვილი - 4-4 ქულა.**

ადამიანი დროში

# პატარა ქვეყნის დიდი ოსტატი

პირველად მის შესახებ 1966 წელს გაზეთ „ლელოში" დაიბეჭდა ინფორმაცია სათაურით „6 წლის დიდოსტატი", რომელშიც მოთხრობილია, რომ 6 წლის ზურაბ აზმაიფარაშვილი ჭადრაკის საიდუმლოებას ორი წლის წინათ ეზიარა შოთა ინწკირველის ხელმძღვანელობით. დროის ამ მცირე მონაკვეთში დებიუტებით, საათითა და პარტიის ჩაწერით თამაშს ისე კარგად დაეუფლა, რომ საკვალიფიკაციო ტურნირში, სადაც მესამე-მეხუთე კლასების მოსწავლეები მონაწილეობდნენ, ზურაბმა პირველი-მეორე ადგილები გაიყო და მესამე თანრიგი მოიპოვა. მომდევნო წელს კი გაზეთმა „კომუნისტმა" ამცნო გულშემატკივრებს, ცეროდენა ბიჭმა ვერის ბაღში 13 დაფაზე ერთდროული თამაშისას როგორ დაამარცხა 9 მეტოქე, სამთან ყაიმით დაამთავრა პარტია და მხოლოდ ერთი შეხვედრა დათმო, ისიც იმიტომ, რომ პატარა ვუნდერკინდის მწვრთნელმა შოთა ინწკირველმა მოწინაალმდეგეს კრიტიკულ სიტუაციაში სვლის დაბრუნების უფლება მისცა.

მომთხოვნი პიროვნება იყო. ზოგჯერ ზედმეტად მკაცრიც, თუმცა ბუნებით - მოსიყვარულე. შეგირდებს დღეში ორჯერ გვავარჯიშებდა. ხელფასს, ფაქტობრივად, მოსწავლეებზე ხარჯავდა, რადგან, შესვენებებისას ერთად დაგვსხამდა და გვასადილებდა. გულახდილად შემიძლია ვთქვა — შოთა მასწავლებელმა შემაყვარა ჭადრაკი, მაგრძნობინა მისი არსი და შთამაგონა, რომ გაზუთხული დებიუტებით შორს ვერ წავიდოდი. სამწუხაროდ, მისი ხელი მაშინ მომაკლდა, როცა გარდატეხის წლები მქონდა. ბატონი შოთას საქართველოს ჭადრაკის მაშინდელ მესვეურებთან დაძაბული ურთიერთობის გამო, უმწვრთნელოდ რომ დავრჩი, ჩემი ბედით არავინ დაინტერესებულა. ავადმყოფობით დაუძლურებულმა ინწკირველმა თეიმურაზ ლომაიასთან გამგზავნა. ამ შესანიშნავმა თეორეტიკოსმა ძირფესვიანად გადააწყო ჩემი სადებიუტო რეპერტუარი და 1973 წელს ბათუმში მოსწავლეთა შორის პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი.

— **საკავშირო ნაკრებში, რატომღაც, გვიან დაინტერესდნენ თქვენით...**



საძარბაზო ბარათი

## ზურაბ აზმაიფარაშვილი

### დაიბადა 1960 წლის 16 მარტს თბილისში.

**ჭადრაკის თამაში ისწავლა 4 წლისამ.**

**ახალგაზრდებში საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონმა (1976, 1978) 1980 წელს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გაიმარჯვა. საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" პირველობების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საკავშირო გუნდურ ჩემპიონატებში ორჯერ ვერცხლსა და ერთხელ ბრინჯაოს მედალს დაეუფლა. მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ორგზის ჩემპიონია გუნდურ ჩათვლაში. 1994 წელს „ბოსნას" (სარაევო) შემადგენლობაში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში გაიმარჯვა. მომდევნო წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში დაიკავა პირველი ადგილი. 1992-2004 წლებში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრების უცვლელმა ლიდერმა 1998 წელს ელისტაში პერფორმანსით ყველას აჯობა, ხოლო პირველ დაფაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. საქართველოს ჭადრაკის ისტორიაში ვაჟთა შორის ევროპის პირველი ჩემპიონი (2003) და მესამე პრიზიორია (2001). 2003 წელს პლოვდივში ჩვენი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის გუნდურ ჩემპიონატში ბრინჯაო ხვდა. ასევე ორჯერ მესამე იყო „კასილიაკთან" ერთად კონტინენტის გუნდურ ჩემპიონატზე. ოცზე მეტი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულისა და პრიზიორის რეიტინგმა 2003 წელს 2700-ს გადააჭარბა. ნოკაუტ-სისტემით 5 მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 2009 წელს ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებულ აზერბაიჯანის ნაკრებს კაპიტნობდა.**

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დაჯილდოებულია ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით, მინიჭებული აქვს „სპორტის რაინდის" წოდება.**

— დიახ, ასე იყო. მოგეხსენებათ, საბჭოეთში მაშინ ნიჭიერებით ბევრი მოჭადრაკე გამოირჩეოდა. მოსკოვში ყველას თავისი „საყვარელი" მოსწავლე ჰყავდა და პერიფერიებით მხოლოდ მაშინ ინტერესდებოდნენ, გამორჩეულ შედეგს თუ აჩვენებდი. ამ მხრივ, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1978 წელი. ლიტვაში ახალგაზრდების საკავშირო პირველობაზე 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით, თანაც წაუგებლად, ჩემპიონობა მოვიპოვე. მომდევნო წელს კი გრონინგენში ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დავიკავე.

ჰპოვა. მართალი გითხრათ, ძალიან გახარებული ვიყავი.

დაუვიწყარია, ცხადია, 2003 წლის ევროპის ჩემპიონატი სტამბოლში. 13 შესაძლებლიდან 9,5 ქულა მოვაგროვე და ქართული ჭადრაკის ისტორიაში ვაჟთა შორის პირველად ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე. ბედნიერი ვარ, რომ ჭადრაკის უკიდეგანო სამყაროს ერთ-ერთ მწვერვალზე მეც დავდგი ფეხი. დღესაც, დაჯილდოების ცერემონიალს ვიდეოფირზე რომ ვუყურებ და საქართველოს ჰიმნს ვუსმენ, ჟრუანტელი მივლის და თვალები ცრემლით მევსება. მეამაყება, რომ ქართველი ერისა და ქვეყნის გასახარებლად მეც რაღაც გამიკეთებია.

— **ჩემპიონობამდე ორი წლით ადრე მსგავს შეჯიბრებაზე ბრინჯაო გერგოთ...**

— დიახ. ასე იყო. 2001 წელს ოხრიდში ევროპის ჩემპიონატი, ასე ვთქვათ, სუსტად დავიწყე — ექვს ტურში მხოლოდ 3 ქულა მოვაგროვე. მერე, თითქოს, მეორე სუნთქვა გამეხსნა - 7 შესაძლებლიდან 6 ქულას მოვუყარე თავი და საბოლოოდ 9-9 ქულით მე და უნგრელმა იუდით პოლგარმა მესამე-მეოთხე ადგილები გავიყავით. ტაიბრეიკებში ყოფილი შეგირდი დავამარცხე და ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

როცა გარიმ თავის გუნდში მიმიწვია, ეს ჩემთვის საოცრება იყო...

აქ დროებით შევწყვიტოთ რესპონდენტთან საუბარი და **გარი კასპაროვს** დავუგდოთ ყური: *„ზურაბი საკმაოდ წარმატებულად მოერგო ჩვენს კოლექტივს და ზედიზედ სამ თამაშზე მედგა გვერდით: სევილიაში (1987), ნიუ-იორკი-ლიონისა (1990) და ლონდონის (1993) მატჩებში. ზურაბი მუდამ ასხივებდა უსაზღვრო ოპტიმიზმს და მებრძოლ განწყობას განამტკიცებდა გუნდში... ასეთი ადამიანი ჩემთვის დიდი ფსიქოლოგიური საყრდენი იყო... ჩემი და ზურაბის გზები ხან დაცილდა, ხან გადაიკვეთა, ის, ალბათ, ერთადერთია იმ რანგის მოჭადრაკეთაგან, ვინც წარმატებით შეუთავსა სატურნირო თამაში საორგანიზაციო საქმიანობას".*

**იუდით პოლგარი:** *„იმ დროიდან, რაც ზურაბი მწვრთნელად მოვიწვიე, ჩემი საჭადრაკო ოსტატობა დაიხვეწა და რეპერტუარი გამრავალფეროვნდა. ბლიც-პარტიებისა და დებიუტების ანალიზისას განსაკუთრებით გამოჩნდა მისი მებრძოლი სული, რომლის შეცნობის საშუალებაც მომეცა"...*

— დღემდე ამ პუბლიკაციების მადლიერი ვარ, რადგან სწორედ მათ მომცეს დიდი ბიძგი საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად, — მითხრა ზურაბ აზმაიფარაშვილმა. — ერთი შემთხვევაც მინდა გავიხსენო: 9 წლისამ თბილისის მე-15 სკოლის მოსწავლეებთან ერთად მოსკოვში პიონერთა ტურნირში ვიასპარეზე ჟურნალ „მურზილკის" პრიზზე. ჩვენმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. მეორე დაფაზე ვერცხლის მედალი და ჟურნალის სპეციალური პრიზი — კინოპროექტორი მხვდა. მთავარი კი ის არის, რომ ერთ-ერთ ტურზე მსოფლიოს ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი გვესტუმრა. იგი კარგა ხანს ყურადღებით დასცქეროდა ჩემს პარტიას. წასვლისას მოფერებით აღუნიშნავს, ზურაბი იქნებ 2000 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდესო! ამის თაობაზე გაზეთ „პიონერსკაია პრავდის" რედაქტორის მოადგილემ ფურინმა წერილიც კი დაბეჭდა „მურზილკაში".

— **როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ გაამართლეთ დიდი ჩემპიონის სიტყვები?**

— უმაღლეს მიზანს ის ადამიანები აღწევენ, რომლებშიც ნიჭი და შრომისმოყვარეობა თანაბრად არის შერწყმული. მე კი ბუნებით მუყაითი არ ვარ. წარმატებისთვის, ასე ვთქვათ, „ძლიერი ხელი" მჭირდებოდა. ჩემი პირველი მწვრთნელი შოთა ინწკირველი სწორედ

— **სპორტული კარიერის განმავლობაში მრავალი წარმატებისთვის მიგიღწევიათ. განსაკუთრებით რომელს გამოარჩევდით?**

— რამდენიმე ტურნირს გავიხსენებ. 1983 წელს საბჭოთა კავშირის 50-ე საიუბილეო ჩემპიონატში ვიასპარეზე. შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპიონი ანატოლი კარპოვიც მონაწილეობდა, რომელიც მსოფლიოში დაუმარცხებლად მიაჩნდათ. მასთან შესახვედრად ბატონი იური ჩიქოვანთან ერთად დებიუტი მოვამზადე „ახალი" სვლით. კარპოვი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ თეთრი ფიგურებით რიგით ოსტატთან წარმატებას ვერ მიაღწევდა. მაშინ ჩემმა გამარჯვებამ საჭადრაკო სამყაროში დიდი გამოხმაურება

ყველაზე დიდ წარმატებად მაინც 1998 წელს ელისტის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მიღწეული შედეგი მიმაჩნია. იცით, რომ ოლიმპიადებზე უძლიერესი დიდოსტატები მონაწილეობენ. 12 წლის წინათ ჩვენმა ნაკრებმა ყალმუხეთის დედაქალაქში გუნდური მეხუთე-მეშვიდე ადგილები გაინაწილა, პირველ დაფაზე ბრინჯაოს მედალი მხვდა, ხოლო ელოს პერფორმანს-რეიტინგით ყველას ვაჯობე. საუკეთესო ათეულში ჩემ შემდეგ მოდიოდნენ ვესელინ ტოპალოვი, ალექსეი მოროზევიჩი, პიოტრ სვიდლერი, ალექსეი შიროვი და სხვა სახელოვანი მოჭადრაკეები.

— **ბრძანეთ, რომ 2001 წელს იუდით პოლგარს ტაიბრეიკებში ვაჯობეთ. ეტყობა, ყოფილი შეგირდისთვის ხეზე ცოცვა არ გისწავლებიათ?**

— მწვრთნელობა რომ დავიწყე, მოქმედი მოჭადრაკე ვიყავი. ბევრ ქალ-ვაჟს დავხმარებივარ მნიშვნელოვანი ტურნირებისთვის მოსამზადებლად. მათ შორის ნანა იოსელიანს, მაია ჩიბურდანიძეს, ეტიენ ბაკროს, თეიმურ რაჯაბოვს, იუდით პოლგარს. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონ გარი კასპაროვთან ერთობლივი მუშაობაა დაუვიწყარი. 1987 წელს,

ახლა ისევ ზურაბ აზმაიფარაშვილს მოვუსმინოთ:

— ჩემს სპორტულ კარიერაში მნიშვნელოვანი იყო შარშან აზერბაიჯანის ვაჟთა ნაკრებთან კაპიტნის რანგში თანამშრომლობაც. ევროპის გუნდურ ჩემპიონატში პირველი ადგილი დავიკავეთ.

— **სინგაპურში მუშაობაზე რას იტყვით?**

— ფიდეს პროგრამის მიხედვით, ბევრ ქვეყანაში ვატარებთ ღონისძიებებს ჭადრაკის გასავითარებლად. სინგაპურშიც ამ მიზანს ვემსახურები, თუმცა, არა მგონია, იქ განსაკუთრებულ შედეგებს მივაღწიოთ, რადგან 18 წლის ასაკიდან ახალგაზრდები სხვა ცხოვრებას იწყებენ. იშვიათად, რომ ვინმემ ჭადრაკი პროფესიად გაიხადოს, ყოველ შემთხვევაში, 13 წლისა დიდოსტატი თუ არ გახდება.

— **განვლილი გზით კმაყოფილი ხართ?**

— უკან მოხედვისა არ მეშინია. ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ სპორტული კარიერის დასასრულს გზა დავულოცე ბაადურ ჯობავას, რომელიც, მჯერა, საქართველოს ვაჟთა ჭადრაკს ახალ სიმაღლეზე აიყვანს...

პატარა ქვეყნის დიდ ოსტატს - ზურაბ აზმაიფარაშვილს დღეს დაბადებიდან 50 წელი უსრულდება.

ვულოცავთ!

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი — ლეგიონერები

# 61 ქართული ქულა

ესპანეთის ჩემპიონატის 25-ე ტური წარუმატებელი გამოდგა **ნიკა ცქიტიშვილის** „ფუენლაბრადასთვის“. მადრიდელებმა სტუმრად „ხუვენტუდთან“ პირველი პერიოდიდან ბოლომდე თამაში ვერააწყეს და ახუტულ-ჩახუტული ანგარიშით წააგეს - 69:96.

ნიკა სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, თუმცა, სხვა თანაგუნდელების მსგავსად, ღირებული ვერც მან გააკეთა - 13 წუთში 3 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. შეტევისას ჩვეულად აქტიური ვერ იყო - ერთადერთი ორქულიანი ისროლა და ისიც ააცილა.

**თორნიკე შენგელიასა და გიორგი შარაბიძის** „ვალენსიამ“ შინ მადრიდის „რეალთან“ 67:78 წააგო. ქართველებს არ უთამაშიათ.

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მსროლელმა **ტაირონ ელისმა** კი „ვალიადოლიდის“ დამარცხებაში 10-ქულიანი წვლილი შეიტანა.

„კახასოლმა“ ვალიადოლიდელები სევილიაში 69:64 დაამარცხა.

25 ტურის შემდეგ „კახასოლი“ მეხუთე ადგილზეა (15 მოგება), „ფუენლაბრადა“ მეთოთხმეტეა (10 გამარჯვება), ხოლო „ვალენსია“ - მეოთხე (16 მოგება).

■ ■ ■

შენგელიამ და შარაბიძემ გასულ უქმეებზე „ვალენსიას“ დუბლშემადგენლობაში ება-ს ლიგაზე ითამაშეს. ამ ეშელონში გუნდები ჯგუფებადაა დაყოფილი. „ვალენსია“ E ჯგუფში მეათე ადგილზეა - 10 მოგება, 11 წაგება.

21-ე ტურში ვალენსიელები გასვლით მატჩში „ლირიასთან“ 70:73 დამარცხდნენ.

თორნიკე შენგელიამ 32 წუთში 14 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა; გიორგი შარაბიძემ 22 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

■ ■ ■

ება-ს B ჯგუფში **გრიგოლ შვანგირაძემ და მიხეილ ბერიშვილმა** თითქმის ერთნაირად ითამაშეს: ორივე სასტარტო ხუთეულში იყო, 6-6 ქულა ჩააგდეს... მიშამ 6 ქულის გარდა 4 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. შვანგირაძემ 20 წუთი ითამაშა, ორივე სამქულიანი ზუსტად ისროლა და 6 ქულას 3 მოხსნა წაამატა. მისმა „ტაკორონტემ“ „ალკორკონს“ იოლად სძლია - 91:69.

ბერიშვილის „არიდანემ“ სტუმრად „კანოესთან“ 82:77 მოიგო. ბევრი რამ პირველ ტაიმშივე გადაწყდა - მიშას თანაგუნდელებმა საწყის 20 წუთში 39:28 იმარჯვეს.

„ტაკორონტეს“ 25 მატჩში 18 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. „არიდანეს“ ერთით ნაკლები გამარჯვება უწერია და ცხრილში მეხუთეა.

თითო ჯგუფიდან პლეი ოფში 6-6 გუნდი გადის.

■ ■ ■

ება-ს C ჯგუფში 9 ქულის სხვაობით წააგო **კოკა ტომარაძის** „მონსონმა“ (60:69), რომელიც „ლეიდას“ სტუმრობდა. მონსონელებმა პირველი პერიოდის ჩაგდების (7:20) შემდეგ თამაში კი გამოასწორეს, მაგრამ შინ მაინც წაგებით დაბრუნდნენ.

ტომარაძემაც სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, 22 წუთში 14 ქულა და 2 მოხსნა მოაგროვა. კოკამ 11-დან 4 ორქულიანი და 7-დან 2 სამიანი გამოიყენა.

21 ტურის შემდეგ „მონსონს“ 8 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-11 ადგილზეა.

■ ■ ■

ესპანეთის ნაციონალ 1-ში **ბექა ჩიკვილაძის** „ალბასეტემ“ რეგულარული ჩემპიონატის მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო: სტუმრად „ფერგუილთან“ 60:45 გამარჯვების შემდეგ პლეი ოფში მოხვედრისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

„ალბასეტეს“ 20 მატჩში 16 მოგება უწერია და მესამე ადგილზეა.

- პლეი ოფში საუკეთესო ოთხეული გადის. დარჩენილ 6 მატჩში ორიც რომ მოვიგოთ, ნახევარფინალში ვითამაშებთ. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ორზე მეტსაც დავასრულებთ ჩვენს სასარგებლოდ, - დაგვამშვიდა ბექა ჩიკვილაძემ, რომელმაც „ფერგუილთან“ 28 წუთში 18 ქულა ჩააგდო.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მატჩის ეფექტი: სანიკიძის ორი ჩატენვა

გუშინ გაცნობეთ, რომ **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუმ“ ევროლიგის ბინადარი „მილანი“ 64:59 დაამარცხა. მანუმ 7 ქულა ჩააგდო.

ერთით მეტი, 8 ქულა მიითვალა **ვიქტორ სანიკიძემ** „ვირტუსი“-„ვარეზეს“ შეხვედრაში, რომელიც ბოლონიელებმა დამაჯერებლად მოიგეს - 80:67.

აქვე გეტყვით, რომ ვიქტორმა 18 წუთი ითამაშა, 5-დან 4 ორქულიანი ჩააგდო, ერთი სამიანი ააცილა, 3 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა. 20 ქულით ყველაზე სასარგებლო „ვირტუსის“ ამერიკელი ლეგიონერი **ანდრე კოლინზი** იყო.

მატჩის წინ სანიკიძემ გვითხრა, რომ მისი გუნდი „ვარეზესთან“ გამარჯვებას გეგმავდა. შეხვედრის მსვლელობისასაც გამოჩნდა, რომ „ვირტუსი“ სადღეისოდ მეტოქეზე ძლიერი გუნდია. თანაბრად ჩატარებული პირველი პერიოდის შემდეგ ბოლონიელები 8:0 გაიქცნენ და 37:26 დაწინაურდნენ. იტალიურმა გამოცემა „ოლრაუნდმა“ შეხვედრის ყველაზე ლამაზ ეპიზოდად სწორედ ეს მომენტი აღიარა. იცით რატომ? - იმიტომ, რომ 8:0 სპურტისას პირველი და ბოლო ქულები სანიკიძის ანგარიშზე იყო. ვიქტორი კი გულშემატკივარს ჩატენვებით ანებივრებს.

*„სანიკიძის ორი ეფექტური ზემოდან გდება უდავოდ მატჩის საუკეთესო მომენტები იყო. ამ გაქცევის შემდეგ ვირტუსმა გამარჯვებისთვის საჭირო უპირატესობაც მოიპოვა,“* - ვკითხულობთ „ოლრაუნდში“.

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში, ვარეზეში ვიქტორის ორი ჩატენვა ტურის საუკეთესო ეპიზოდთა ათეულში შევიდა. მაშინ სანიკიძემ 12 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა.

„ვარეზესთან“ კვირის მატჩის შემდეგ „ვირტუსის“ თავკაცმა **ლარდო ლინომ** არნიშნა:

- კალათბურთელები იზრდებიან, რაც მთლიანად გუნდის ზრდას იწვევს. მილანში წაგების შემდეგ გამარჯვება გვჭირდებოდა და მოვიგეთ კიდეც. მომდევნო ორ ტურში რთული გასვლითი მატჩები გველის „აველინოსთან“ და „კასერტასთან“. იმედია, ტრავმირებული **დევიდ მოსი** მანამდე მომჯობინდება და დაგვეხმარება.

სერია A-ს სატურნირო ცხრილში მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ისევ დამეზობლდნენ: „ვირტუსს“ 13 მოგება აქვს (8 წაგება) და მეხუთე ადგილზეა, ხოლო „კანტუ“ 12 გამარჯვებით მეექვსეა.

21 მარტს „კანტუ“ „ბიელას“ ესტუმრება, „ვირტუსი“ - „აველინოს“.

■ ■ ■

იტალიის მესამე ლიგის 24-ე ტურში **ნიკა მეტრეველის** „ფერენტინომ“ სტუმრად „მატერასთან“ წააგო - 52:72.

ქართველი მეფარე სასტარტო იყო, 17 წუთში 3-3 ქულა მოხსნა მოაგროვა. 13 მოგებით „ფერენტინო“ მეექვსე ადგილზეა.

**გერმანიის ჩემპიონატი**
**მიტელდოიჩ.-ბრემარჰაფენი 69:82**
ლაშა გამყრელიძე: 22 წუთი, 3 ქულა, 2 პასი

**ვაჟა სიმონიშვილი**



ვიქტორ სანიკიძე

სამთო თხილამურობა

## ნიქლაურის მეექვსე და მერვე

გუშინ გაგაცანით ჩვენი მოწინავე მოთხილამურეების შედეგები თურქეთის სამთო კურორტ ერზერუმის ტრასებზე ფის-ის ეგიდით გამართულ სლალომსა და გიგანტურ სლალომში. თუმცა არ გვითქვამს ქალთა შეჯიბრების შესახებ, სადაც 16 წლის **ნინო წიკლაურმა** და 17 წლის **ნატაშა გავამ** იასპარეზეს. სლალომში ჩვენმა ოლიმპიელმა მე-6 ადგილი დაიკავა, ხოლო გავამ მე-12 იკმარა. გიგანტურ სლალომში წიკლაური მე-8 იყო, ხოლო გავა - მე-17. აღსანიშნავია, რომ ვანკუვერის ოლიმპიადის შემდეგ ნინო წიკლაურმა პირველად იასპარეზა.

17 წლის **დიმიტრი გედევანიშვილი** ამერიკის ქალაქ ბურკში ჩრდილოეთ ამერიკის თასზე ჩაება. სუპერკომბინაციაში **ელენე გედევანიშვილის** უმცროსმა ძმამ 45-ე ადგილი დაიკავა, ხოლო სუპერგიგანტში დიმიტრი 65-ე იყო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩოგბურთი



## ლაზარე ინგლისში გამოჩნდა

19 წლის **ლაზარე კუხალაშვილმა** (1076) სექტემბრის შემდეგ მხოლოდ ერთხელ ითამაშა (იანვარში) და ისიც პირველივე მატჩში დამარცხდა, მორიგი პაუზის მერე ის პირველად გამოჩნდა კორტებზე ინგლისის ქალაქ ბეზის საერთაშორისო ტურნირში. ლაზარემ ბრძოლა საკვალიფიკაციო ბადიდან დაიწყო, სადაც მე-7 ნომრად განთესეს. ქართველი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მან ბრიტანელ **საიმონ კონოვს** აჯობა - 6:2, 6:2. ფინალურ წრეში ლაზარეს მეტოქე მასპინძელი **ტომ ფარქვჰარსონი** იქნება, რომელიც ახალგაზრდულ რეიტინგში მსოფლიოს მე-80 ჩოგანია. საქართველოს პირველი ჩოგანი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (506) ანთალიის ტურნირის (თურქეთი) ძირითად ბადეშია, მისი მეტოქის ვინაობა დღეს გაირკვევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

## სეზონი ჭაბუკებმა გახსნეს

გუშინ ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში საქართველოს ჭაბუკთა ჩემპიონატი დაიწყო 1992-93 წლებში დაბადებულ ხელბურთელთა შორის. ამ ასაკში ქვეყნის ჩემპიონობისთვის შვიდი გუნდი იბრძვის, პირველი ეტაპი კი ოთხ დღეს გასტანს და 18 მარტს დასრულდება.

გუშინ ასეთი შედეგები დაფიქსირდა: გორი-ქუთაისი 55:31; სამტრედია-რუსთავი 20:38; ქარიშხალა-ბათუმი 36:34.

უახლოესი სამი დღის კალენდარი კი ასეთია: **16 მარტი:** ბათუმი-გორი, ყვარელი-სამტრედია, ქუთაისი-ქარიშხალა; **17 მარტი:** რუსთავი-ქუთაისი, ყვარელი-ბათუმი, ქარიშხალა-სამტრედია; **18 მარტი:** ბათუმი-რუსთავი, გორი-სამტრედია, ქუთაისი-ყვარელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სუმოს სამყარო — ჰარუ ბაშო. 14-28 მარტი

# ქართველები იგებენ და აგებენ ერთად

ოსაკას ბაშოზე ჯერჯერობით ასეა - ქართველი სუმოისტები ან ძმურად იგებენ ან ერთად აგებენ, სუპერტურნირის მესამე დღეს სამივე ჩვენებურმა დათმო ორთაბრძოლა. დასავლეთის მე-6 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** მე-5 მაეგაშირა **ჰომაშოს** ხვდებოდა. მეტოქემ მძლავრი ოშიდაშით 160-კილოგრამიანი ქართველი დოჰიოდან დარბაზში მოისროლა. დღეს ლევანის მეტოქე მონღოლი „არწივი“ **ტამავაში** იქნება. ეს ორი რიკიში თითქმის ერთდროულად აღზევდა უმაღლეს დივიზიონში, ასე რომ, ერთმანეთში ხშირად უჭიდავიათ. დღეს ტოჩინოშინი და ტამავაში მეათედ შეხვდებიან დოჰიოზე, მონღოლი მინიმალური სხვაობით იგებს - 5:4.



კაიოს მეასე ბაშო ელიტაში

აღმოსავლეთის მე-14 მაეგაშირა **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** ჯიქურ შეუტია მონღოლ **ტოკიტენკუს**, მაგრამ დოჰიოს ცენტრში წონასწორობა ვერ შეიკავა და დამარცხდა. კოკაის ძველ მეტოქესთან მოუწევს დაჭიდება, იაპონელთა საყვარელი სუმოისტი **ტაკამისაკარი** დღეისთვის მე-12 მაეგაშირაა. კოკაი კარიერაში ყველაზე მეტჯერ სწორედ ტაკამისაკარის შეხვედრია - 21-ჯერ, ქართველი 11:10-ს იგებს.

ოსაკის პრეფექტურის გიმნაზიუმში წააგო აღმოსავლეთის მე-3 ძურიო **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)**. ქართველი სასტარტო დაჯახებაზე მთელი ძალით წავიდა, მაგრამ მისმა მეტოქე **მასაცუკასამ** დაჯახებას მოულოდნელი მარჯვნივ გახტომით (ჰენკა) აარიდა თავი. ქართველმა კი დროულად ვერ შეძლო გადაწყობა. გულშემატკივრებმა არ მოუწონეს მასაცუკასას ჰენკა, მაგრამ ის სუმოს წესებით აკრძალული არ არის. დღეს გაგამარუს მეტოქე ძურიოს მე-4 ნომერი **ასოფუჯი** იქნება, რომელსაც თეიმურაზი ზუსტად ერთი წლის წინათ შეხვდა და წააგო.

ბაშოს მეორე დღეს ეულად დარჩენილმა დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** დიდებული ტექნიკა გამოავლინა, მან პირველ მაეგაშირა **კაკურიუს** აჯობა, რომელსაც „წერო-ურჩხულს“ ეძახიან. „თეთრი ფასკუნჯი“ დაჯახებისთანავე ეკვეთა მეტოქეს, მარჯვენათი მისი მავაში იგდო ხელთ და უვატენაგეს ილეთით განახორციელა.

ოძეკთაგან **ჰარუმაფუჯიმ** და **კაიომ** იმარჯვეს, პირველმა **ვაკანოსატო** გაიყვანა დოჰიოდან, ვეტერანმა **კაიომ** კი, რომელიც მე-100 ბაშოს ატარებს უმაღლეს დივიზიონში, მონღოლ **კიოკუტენჰოს** აჯობა ძალით. ორმა ჩემპიონმა კი წააგო: ბულგარელმა **კოტოოშუმ** მისთვის უხერხულ მეტოქე **ამინიშიკისთან** წააგო, რომელსაც აქამდე 20-ჯერ შეხვდა და 12 ორთაბრძოლა იაპონელი „მატადორის“ სასარგებლოდ დასრულდა. **კოტომიცუკი** კომუსუბი **კისენოსატოსთან** დამარცხდა. სპეციალისტთა მტკიცებით, ჰარუ ბაშო მძიმედ დაიწყო, თუ არ ჩავთვლით ჰაკუჰოს უვატენაგეს, სუმოისტებს ჯერ გამორჩეული არაფერი შეუთავაზებიათ ოსაკის პუბლიკისთვის.

II დღე: **ჰაკუჰო**-კაკურიუ (უვატენაგე), **ამინიშიკი**-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), **კაიო**-კიოკუტენჰო (იორიკირი), **კისენოსატო**-კოტომიცუკი (იორიკირი), **ჰარუმაფუჯი**-ვაკანოსატო (იორიკირი), **ტოიონოშიმა**-არანი (ოშიტაოში), **ბარუტო**-გოეიდო (იორიკირი), **კოტოშოგიკუ**-ტოსაიუტაკა (ჰიკიოტოში), **ჰომაშო**-ტოჩინოშინი (ოშიდაში), **მიაბიამა**-ტოჩიოძანი (ჰიკიოტოში), **კაკიძოე**-ტაკეკაძე (ოშიდაში), **ივაკიამა**-ჰაკუბა (იორიკირი), **შიმოტორი**-იოშიკაძე (ჰატაკიკომი), **ასასეკირიუ**-კიტატაიკი (კუბინაგე), **ტოკუსეგავა**-ჰოკუტორიკი (ოკურინაგე), **ტაკამისაკარი**-ოკინოუმი (სუკუინაგე), **ტოკიტენკუ**-კოკაი (ჰატაკიკომი), **ტამანოშიმა**-მოკონამი (იორიკირი), **ბუშუიამა**-საგაცუკასა (ოშიდაში), **შოტენრო**-კასუგაო (ოშიდაში).

III დღე: ჰაკუჰო-ვაკანოსატო, კაიოტოიონოშიმა, კოტომიცუკი-არანი, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, კოტოოშუ-კიოკუტენჰო, ბარუტო-კისენოსატო, ამინიშიკი-გოეიდო, კოტოშოგიკუ-ტოიოჰიბიკი, **ტოჩინოშინი**-ტამავაში, ტოსაიუტაკა-ტოჩიოძანი, ჰომაშო-მიაბიამა, კაკიძოეჰაკუბა, ივაკიამა-შიმოტორი, კიტატაიკი-ტაკეკაძე, იოშიკაძე-ასასეკირიუ, ჰოკუტორიკი-ტოკიტენკუ, ოკინოუმი-ტამანოშიმა, **კოკაი**-ტაკამისაკარი, ტოკუსეგავა-ბუშუიამა, საგაცუკასა-კასუგაო, მოკონამი-მასაცუკასა.

ძურიო. II დღე (მნიშვნელოვანი): **ტოჩინონადა**-ვაკაკოიუ (ოშიტაოში), **მასაცუკასა**-გაგამარუ (ჰატაკიკომი), **კიმურაიამა**-ტოსანოუმი (ჰატაკიკომი), **საკაიზავა**-ასოფუჯი (კოტენაგე), **კორიუ**-კიოსეუმი (ჰატაკიკომი); **III დღე** (მნიშვნელოვანი): შოტენრო-ვაკაკოიუ, ტოჩინონადა-ტოსანოუმი, გაგამარუ-ასოფუჯი, კიმურაიამა-კიოსეუმი, საკაიზავა-კოტოკასუგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

# ოთხი მედალი ჩეხეთიდან

წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოკრივეები ჩეხეთის ქალაქ უსტი ნედ ლაბენში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, საიდანაც ოთხი მედლით დაბრუნდნენ. ქართველთაგან საუკეთესო შედეგი მძიმე წონაში მოასპარეზე **ბექა ლობჟანიძემ** აჩვენა, რომელიც ვერცხლის მედალს დაეუფლა. ბრინჯაო კი **კახა ჟვანიამ** (69 კგ), **რევაზ ქარელიშვილმა** (81 კგ) და **დავით გოგიშვილმა** (91 კგ) მოიპოვეს.

*“ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. ტურნირში არაერთი ქვეყნის საუკეთესო მოკრივეებმა იასპარეზეს და მათთან ბრძოლით ქართველმა სპორტსმენებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. ბექა ლობჟანიძეს ჩემპიონობაც შეეძლო, მაგრამ ფინალში რუს მეტოქესთან ტენდენციური მსაჯობის გამო დამარცხდა. ჩვენი ექვსი ბიჭიდან მხოლოდ ორი დარჩა უმედლოდ, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. კობა ფხაკაძე გაცივდა და ამიტომ დამარცხდა პირველივე ეტაპზე, ლევან ლვამიჩავამ კი წონის პრობლემების გამო ვერ შეძლო თუნდაც ერთი ბარიერის გადალახვა”*, - ამბობს საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რამაზ ფალიანი**.

ჩეხეთში ორმა ქართველმა გოგონამაც მოსინჯა ძალები, მაგრამ **თამარ ჩხუბიანიშვილი** (48 კგ) და **მარიამ ქველაძე** (60 კგ) ტურნირს პირველივე ეტაპიდან გამოეთიშნენ. საქართველოს კრივის ფედერაცია ქალთა კრივისთვის დიდი ყურადღების მიქცევას აპირებს და ქართველი გოგონები გამოცდილების მისაღებად სხვა ტურნირებზეც გაემგზავრებიან.

საქართველოს ვაჟთა ნაკრები კი 22 მარტს ერევანში გაემგზავრება, სადაც ორკვირიან შეკრებას სომხეთის ნაკრებთან ერთად გაივლის. 5 აპრილიდან კი სომხეთის დედაქალაქში საერთაშორისო ტურნირი დაიწყება, სადაც ქართველები გაფართოებული შემადგენლობით იასპარეზებენ. ზოგ წონაში იქ ჩვენი ორ-ორი მოკრივე გამოვა და საბოლოოდ გაირკვევა ის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# სამუშაო ყველა პოზიციაზე ბევრია

2011 წელს ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრებს ერთი შეხვედრაღა დარჩა გასამართი. „ბორჯღალოსნები" 20 მარტს ტრაბზონში რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან. მანამდე კი ჩვენმა გუნდმა ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან ერთა თასის ბოლო სამი სეზონის განმავლობაში პირველად წააგო. „სტეუარისთან" მარცხის მიზეზებსა და მომავლის გეგმებზე საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ტიმ ლეინს ვესაუბრეთ.

- ბუქარესტში მთელი კვირა თოვდა - გვიამბობს ტიმ ლეინი - ამან ძალიან შეგვიშალა ხელი. ორჯერ დარბაზში ვივარჯიშეთ, მერე სამი ვარჯიში თოვლიან მოედანზე გავმართეთ. ვარჯიში სრულიად უსარგებლო გამოდგა, მხოლოდ დრო დავკარგეთ.

**- ჰო, მაგრამ, ფაქტობრივად, იმავე პირობებში იყო რუმინეთის ნაკრებიც...**

- რუმინელები უფრო „მოშივებულნი" იყვნენ, უფრო სწყუროდათ გამარჯვება. მოლით ძალიან კარგად გვიტევდნენ, ჩვენ კი წინააღმდეგობას ვერ ვუწევდით. საშინლად ცუდად ვითამაშეთ ფეხითაც. გაგვიჭირდა შერკინებაშიც. მარცხმა გული ძალიან დაგვწყვიტა. საქართველოს ნაკრებმა ერთა თასზე ჩემი ხელმძღვანელობით მე-15 შეხვედრა გამართა და პირველად დამარცხდა.

შესაძლოა, ეს წაგება დროულიც იყო. ვფიქრობ, მარცხი რუსებთან მატჩის წინ გუნდს გამოაფხიზლებს.

**- თქვით, რომ მეტოქის მოლს წინააღმდეგობას ვერ ვუწევდით, ცუდად ვითამაშეთ ფეხით და ასე შემდეგ. ეს ყოველივე ფაქტია, მაგრამ რა არის მიზეზი?**

- მიზეზი მოთამაშეთა ტექნიკური არსენალის სიმწირეა. მერაბ კვირიკაშვილი დასაწყისში საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან კარგად ურტყამდა. მის გარეთ კი რამდენიმე შეცდომა დაუშვა. ლაშა მალაღურაძემ ცენტრიდან თამაშში შესატანი ბურთი აუტში გადააგდო. გვინდოდა, გუნდს ორ ჯგუფად ეთამაშა, არ გამოგვივიდა. მოკლედ, ყველაფერი ერთმანეთს მიება.

**- ისე გამოვიდა, რომ რუმინეთის ნაკრებმა სწორედ ისე ითამაშა, როგორც ჩვენს ნაკრებს უნდა ეთამაშა...**

- შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ რუმინელები პრიმიტიულად თამაშობენ. ჩვენ კი სულ სხვა, ბევრად საინტერესო თამაშის ათვისება დავისახეთ მიზნად. მეტოქის მოლის შეჩერება რომ მოგვეხერხებინა, გარწმუნებთ, მატჩი აბსოლუტურად განსხვავებული შედეგით დასრულდებოდა. დაცვის ხაზი ერთხელ გაგვიჭრეს, რაც ერთ-ერთი ჩვენი მოთამაშის შეცდომას მოჰყვა. მან მოწინააღმდეგის შებოჭვა ვერ მოახერხა. სხვა სახეირო რუმინელებს არაფერი გაუკეთებიათ. მხოლოდ ჩვენი შეცდომები გამოიყენეს და საჯარიმოებით მოგვიგეს.

**- ბოლო თამაშებში ჩვენი გუნდი ხშირად ჯარიმდება, რაც რუმინელებთან წაგების ფასად დაგვიჯდა. რა არის მიზეზი?**

- თამაშის მსვლელობისას მორაგბე თვითონ, ინდივიდუალურად იღებს გადაწყვეტილებას. მეტოქის წნეხისას სწორი გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია და პირიქით, ძალიან იოლია არასწორის მიღება. მოთამაშემ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს. ხშირი ჯარიმაც არასწორი გადაწყვეტილებების მიღების ბრალია.

**- ორ წელიწადზე მეტია, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ხართ. როგორ ფიქრობთ, ჩვენს გუნდს რომელ რგოლში სჭირდება ყველაზე მეტად გაძლიერება?**

- ერთადერთი პოზიცია, სადაც პრობლემას ვერ ვხედავ, პირველი ხაზია. სხვა პოზიციებზე, ცხადია, ბევრად უკეთესი კონტინგენტის ყოლა იქნებოდა სასურველი. თითქმის ყველა რგოლში გვჭირდება გაძლიერება. ერთი სიტყვით, სამუშაო ძალიან ბევრია.

**- განვლილმა თამაშებმა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ნაკლი წარმოაჩინა. ჩვენი მორაგბეები აშკარა სათამაშო უპირატესობის რეალიზაციას ვერ ახერხებენ. ხომ არ არის ეს დაკავშირებული გუნდის თამაშის სტილის ცვლის პროცესთან?**

- არა, სულ ისე არ არის, რომ ბურთს შეტევაში უკანა ხაზის მორაგბეები კარგავდნენ. მაგალითად, ესპანეთის ნაკრებთან უფრო მორნსელებში სცოდავდნენ. გაშლილ თამაშში მონაწილეობას მარტო უკანასკნელები არ იღებენ. იყო ასეთი შემთხვევა, ჩვენებს ხუთი ერთის წინააღმდეგ ჰყავდნენ, მაგრამ ბურთი სწრაფად ვერ ჩაათამაშეს და შეტევა შეფერხდა, უშედეგო გამოვიდა. ესაც ინდივიდუალური ოსტატობის ბრალია, რაც ვიდეოფირის განხილვისას ძალიან კარგად ჩანს.

**- ახლოვდება მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრა რუსეთის ნაკრებთან...**

- საქართველოს ნაკრებისთვის რუსებთან თამაში ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ვოცნებობ, რომ ჩვენი მორაგბეები ყველა თამაშზე ისეთივე განწყობით, საბრძოლველად შემართულები გადიოდნენ, როგორც ეს რუსებთან მატჩებისას ხდება ხოლმე. მაშინ ბევრად ძლიერი გუნდი გვეყოლებოდა.

რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, წლეულს ამ გუნდის თამაშში დიდი არაფერი შეცვლილა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება იქნება. დაგვემატა დავით ზირაქაშვილი, შესაძლოა, მამუკა გორგოძეც ჩამოვიდეს.

ვეცდებით, მეტოქე ფიზიკურად დავჯაბნოთ, შერკინებითა და მოლით დავლალოთ. იმედია, ასეთი სტილით თამაში გამოგვივა. რუსები ეცდებიან, გაშლილად შემოგვიტიონ. ამიტომ მაქსიმალურად მობილიზებულნი, კონცენტრირებულნი უნდა დავხვდეთ. რუმინეთთან დაშვებული შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ.

**- საქართველოს ნაკრებმა გაისად ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასზე უნდა ითამაშოს. როგორ გეგმავთ მსოფლიო რაგბის ამ უდიდესი ფორუმისთვის მზადებას?**

- მსოფლიო თასისთვის მზადება დამოკიდებული იქნება იმაზე, ჩვენი მორაგბეების რამდენი გუნდი ითამაშებს საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონის პლეი ოფებში. ჩვენი მიზანია, მომავალი წლის ევროპის ერთა თასზე და ივნისში ბუქარესტში გასამართ IRB-ის ერთა თასზე ნაკრებში ყველა უძლიერესი მორაგბე გვყავდეს.

უშუალოდ მსოფლიო თასისთვის მზადებას კი თბილისში დავიწყებთ. კარგი იქნება, თუ ივლისში ერთი საწვრთნელი შეხვედრის გამართვას მოვახერხებთ, სავარაუდოდ, სტუმრად იტალიის ნაკრებთან. აგვისტოში კი კიდევ ერთი შეხვედრა უნდა გავმართოთ საქართველოში. ამის შემდეგ კი ერთი კვირით ავსტრალიაში გავემგზავრებით, მზადებას განვაგრძობთ და ახალ ზელანდიაში იქიდან გადავალთ.

საქართველო-რუსეთი 20 მარტი

# ტრაბზონში ერთა თასისა და ღირსებისთვის

საქართველოს ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო შეხვედრას რუსეთთან თურქეთის ქალაქ ტრაბზონში გამართავს. „ბორჯღალოსნები" ტრაბზონში ბუქარესტიდან კვირა საღამოს გამოფრინდნენ და გუშინ დილით საფეხბურთო კლუბ „ტრაბზონსპორის" საწვრთნელ ბაზაზე პირველი ვარჯიში გამართეს.

ტრაბზონში ორი დღეა, გადაუღებლად წვიმს. **ტიმ ლეინმა** გუნდი მოთელვისთვის ფიზმომზადების მწვრთნელ **ჯონი ნამუს** მიაბარა. წელის ტკივილი აწუხებდა და ინდივიდუალურად ივარჯიშა შუამარბმა **ირაკლი გიორგაძემ,** არ უვარჯიშია კიდევ ერთ შუამარბ **თედო ზიბზიბაძესაც,** რომელსაც დიდი ხნის წინ მიღებულმა მუხლის ტრავმამ შეახსენა თავი, თუმცა საგანგაშო არაფერია, რუსებთან თამაშს, სავარაუდოდ, ორივე შეძლებს.

გუშინვე გუნდს შეუერთდა „კლერმონის" პირველხაზელი **დავით ზირაქაშვილი,** რომელსაც რუმინელებთან არ უთამაშია. მწყობრშია შერკინების კვაჭი **დავით დადუნაშვილიც,** რომელიც ბუქარესტში გუნდთან ერთად იმყოფებოდა, მაგრამ ვარჯიშისას კისერი იტკინა და თამაში ვერ შეძლო.

საღამოს ავსტრალიელმა თავკაცმა შეგირდები მეტად დატვირთა, მცირე მოთელვის შემდეგ გუნდმა სტატიკური მდგომარეობიდან შეტევის ორგანიზებაში, დერეფანში თამაშსა და რამდენიმე ახალი კომბინაციის დახვეწაში ივარჯიშა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ეროვნულმა ნაკრებებმა მსოფლიო თასის საგზური შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდეს. ამ მატჩმა კი, შესაძლოა, ერთა თასის წლევანდელი გათამაშების გამარჯვებული გამოავლინოს. თუ პორტუგალიაში რუმინეთის ნაკრები დამარცხდა და ბორჯღალოსნებმა რუსებს მოუგეს, ერთა თასი ისევ თბილისში დარჩება.

*გოდერძი შველიძე:* *„რომ ვთქვა, რუმინეთთან თამაში რთული იყოო, არ იქნება სწორი. ხარვეზები გვქონდა, რაც მეტოქემ გამოიყენა და მოგვიგო.*

*ეტყობა, მთლიანად რუსებთან თამაშზე ვიყავით ფიქრით გადართულები. ვეცდებით, რუსებთან ეს შეცდომები აღარ გავიმეოროთ. აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. ყველა ჩვენგანი ბოლომდე, თავდადებით ბრძოლისთვისაა შემართული."*

***ირაკლი აბუსერიძე:*** *„რუმინეთთან თამაშში ბევრი ხარვეზი გვქონდა. მსაჯმაც თავისი ქნა. ერთი სიტყვით, ჩვენი თამაშით უკმაყოფილო ვარ. შესაძლოა, ამ წაგებამ რუსებთან თამაშისთვის გუნდი გამოაცოცხლოს. მათთან თამაშს კი რა დატვირთვაც აქვს, კარგად ვიცით. ეს მარტო ჩვენი გამარჯვება არ იქნება, ეს მთელი ერის გამარჯვებაა.*

*რუსები ძალიან კარგ ფორმაში არიან. სამწუხაროდ, მამუკა გორგოძე და აქვსენტი გიორგაძე გვაკლია, მაგრამ კარგია, რომ დავით ზირაქაშვილი დაგვემატა".*

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: გოდერძი შველიძე (მონტობანი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), დავით ხინჩაგიშვილი (ბრივი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული), ანტონ ფეიქრიშვილი (აჟენი), დავით დადუნაშვილი (პერიგო)

მეორე ხაზი: ილია ზედგინიძე (კარკერენი), გიორგი ნემსაძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი)

მესამე ხაზი: გია ლაბაძე (მარსელი), გიორგი ჩხაიძე (მონპელიე), ბესო უდესიანი (სენტ ეტიენი), ლაშა თავართქილაძე (ფარული), დიმიტრი ბასილაია (ლე ბუგე)

№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), ბიძინა სამხარაძე (ფარული)

№10: ლაშა მალაღურაძე (ბეზიე)

№12-13: თედო ზიბზიბაძე (პერიგო), ირაკლი გიორგაძე (შამბერი), დავით კაჭარავა (ნიცა)

№11-14: მალხაზ ურჯუკაშვილი (ფიჟაკი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ირაკლი ჩხიკვაძე (აია)

№15: მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 9 | 7 | 1 | 1 | +166 | 15 |
| 2. რუსეთი | 9 | 7 | 1 | 1 | +144 | 15 |
| 3. პორტუგალია | 9 | 5 | 1 | 3 | +117 | 11 |
| 4. რუმინეთი | 8 | 4 | 1 | 3 | +90 | 9 |
| 5. ესპანეთი | 8 | 1 | 0 | 7 | -118 | 2 |
| 6. გერმანია | 9 | 0 | 0 | 9 | -399 | 0 |




მსოფლიო კლასიფიკაცია

# ორი საფეხურით დავქვეითდით

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუმინეთის ნაკრებთან წაგების შედეგად მსოფლიო რეიტინგში ორი საფეხურით დაქვეითდა და ამჟამად 66,51 ქულით მე-18 საფეხურზეა. რეიტინგში „ბორჯღალოსნებს" ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ნაკრებებმა გაასწრეს. ტრაბზონში ჩრდილოელი მეზობლების დამარცხების შემთხვევაში ჩვენი გუნდი მე-16 ადგილს დაიბრუნებს.

მსოფლიო რეიტინგი: 1. ახალი ზელანდია - 91,68. 2. სამხრეთი აფრიკა - 88,60. ავსტრალია - 85,56. 4. საფრანგეთი - 85,22. 5. ირლანდია - 84,61. 6. არგენტინა - 80,56. 7. ინგლისი - 80,31. 8. უელსი - 78,68. 9. ფიჯი - 75,90. 10. შოტლანდია - 74,79. 11. იტალია - 73,20. 12. სამოა - 72,08. 13. იაპონია - 70,59. 14. კანადა - 68,80. 15. ტონგა - 68,11. 16. აშშ - 67,05. 17. რუსეთი - 67,03. 18. საქართველო - 66,51. 19. რუმინეთი - 66,14. 20. პორტუგალია - 62,17. 25. ესპანეთი - 56,63. 29. გერმანია - 54,28.

ტრანსფერები

# ქართული ლეგიონი ელიტაში ორით გაიზარდა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონს ორი ქართველი შეემატა. მეორე დივიზიონში მასასარების „აჟენის" შერკინების ბურჯმა ანტონ ფეიქრიშვილმა ჩემპიონობისთვის მებრძოლ „კასტრთან" გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება. შეგახსენებთ, რომ ამ გუნდში ქართველი შერკინების კვაჭი აქსენტი გიორგაძე თამაშობს.

პირველი დივიზიონის „მონპელიეში" ითამაშებს მეორედივიზიონელი „ოიონაქსის" შერკინების ბურჯი გიორგი ჟღენტი. ის ამ გუნდის მესამე ქართველი იქნება. მონპელიეს ღირსებას დღესდღეობით მამუკა გორგოძე და გიორგი ჩხაიძე იცავენ.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანაშაძემ

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# შარაპოვა კრიზისშია

## ივანოვიჩი ტოპ 50-ს დატოვებს

გუშინ, ინდიან უელსის სუპერტურნირზე ბრძოლაში ჩაება ჩოგბურთელთა ის ჯგუფი, რომელსაც ჯერ არ ჰქონდა ჩატარებული არც ერთი მატჩი - საქმე ეხება მამაკაცთა ბადის ზედა ნაწილის განთესილ ჩოგბურთელებს.

ამ ჯგუფში იყო მსოფლიოს პირველი ჩოგანი **როჯერ ფედერერი**, რომელიც მისთვის ტრადიციულად იოლ მეტოქეს **ვიქტორ ჰანესკუს** ხვდებოდა (პირად შეხვედრებში - 4:0), თუმცა შვეიცარიელს მოულოდნელად მატჩის მსვლელობისას პრობლემები შეექმნა. საერთოდ, შვეიცარიელს პირველი სეტის მოგების შემდეგ მეორეში ხშირად აქვს ჩავარდნა. ამჯერადაც, ფედერერმა 2:5-ზე სეტ-პოინტი გადაარჩინა და როცა ყველას ეგონა, რომ რთული მომენტი გავლილი იყო, რუმინელმა მაინც მოახერხა სეტის ტაი-ბრეიკზე მოგება. თუმცა გაბრაზებულმა როჯერმა გადამწყვეტ პარტიაში გაანადგურა ჰანესკუ - 6:3, 6:7, 6:1.

სხვა შედეგებიდან აღვნიშნავთ **გაელ მონფილსის** მოულოდნელ მარცხს გერმანელ **სიმონ გროულთან**. ამ უკანასკნელმა ერთგვარი რევანში აიღო წინა კვირას დევისის თასზე საფრანგეთის ნაკრებთან მარცხის გამო. სენსაციური არა, მაგრამ ასევე მოულოდნელი იყო ორი განთესილის - **დავიდ ფერერისა** (13) და **რადეკ შტეპანეკის** (14) წაგება შესაბამისად **ჯეიმს ბლეიკთან** და **დუდი სელასთან**. კვლავ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე კვიპროსელმა **მარკოს ბაღდატისმა** - მას ფრანგ **არნო კლემანთან** მატჩში ექვსი სეტ-პოინტი მოიგერია და გადაარჩინა სეტი, რომელიც საათ-ნახევარი გრძელდებოდა.

კაცებში 1/16 ფინალის ეტაპი არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ცნობილია ერთი მერვედფინალისტის ვინაობა - მარცხენა მაჯის მოტეხილობის გამო ტურნირზე გამოსვლას ვერ გააგრძელებს **ნიკოლაი დავიდენკო** და შესაბამისად, შემდეგ ეტაპზე უთამაშებლად გავიდა სერბი **ვიქტორ ტროიცკი**. სხვათა შორის, ტროიცკიმ წინა წრეც ფაქტობრივად უბრძოლველად გაიარა - მისმა მეტოქემ, არგენტინელმა **პაბლო კუევასმა** თამაშის დაწყებიდან 4 წუთის შემდეგ ტრავმა მიიღო და ბრძოლა შეწყვიტა. საერთოდ, ტროიცკიმ განთესვის 29-ე ნომერი რეიტინგში მასზე მაღლა მყოფი ხუთი ჩოგბურთელის უარის შემდეგ მიიღო. საინტერესოა, რამდენ ხანს გაგრძელდება სერბის იღბლიანი სერია.

■ ■ ■

თუ მამაკაცები მეორე წრეს ასრულებდნენ, ქალებმა სანახევროდ დააკომპლექტეს მერვედფინალისტთა სია. სწორედ ამ ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას რუსი **მარია შარაპოვა**, რომლის სუსტი სათამაშო ფორმა ჯერ კიდევ მეორე წრეში იყო შესამჩნევი, როცა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა დიდი გაჭირვებით გაიარა თანამემამულე **ვერა დუშევინას** ბარიერი.

გუშინ, შარაპოვას ჩინელი **ჟიე ჟენგის** სახით რთული მეტოქე ჰყავდა. ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალისტი თითქმის არ უშვებს შეცდომებს და მეტოქეს ბურთების უმრავლესობას უბრუნებს. ამიტომაც შარაპოვასთვის ეს მოწინააღმდეგე ძალიან მოუხერხებელი უნდა ყოფილიყო. რუსის ამოცანა მარტივი გახლდათ - ის უნდა მორიდებოდა გრძელ გათამაშებებს და საკუთარ მოწოდებაზე ეაქტიურა. მაგრამ ტრადიციულად, შარაპოვას მოწოდება არ გამოუვიდა და ერთბაშად 14 (!) ორმაგ შეცდომას მოუყარა თავი.

დროდადრო მარიას ბრწყინვალე მილებები და შეტევები გამოსდიოდა, მაგრამ სინამდვილეში რუსი აშკარად იტანჯებოდა კორტზე. შარაპოვას გარკვეულწილად იღბალმა მოაგებინა მეორე სეტი. თითქოს ანგარიშის (6:2) მიხედვით ამას ვერ ვიტყვით, მაგრამ სინამდვილეში ორი გეიმი ჯამში ნახევარ საათზე მეტხანს გაგრძელდა, მთლიანად სეტი კი - საათზე მეტხანს. ბოლოს რუსი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. უფრო მეტიც, მარია გადამწყვეტ პარტიაშიც დაწინაურდა, მაგრამ 3:2-ზე იდაყვის პრობლემების გამო კორტზე ექიმი გამოიძახა. სამედიცინო ტაიმ-აუტის შემდეგ შარაპოვამ ვერცერთხელ ვერ აიღო საკუთარი მოწოდება, ორჯერ მეტოქის გეიმი და მასთან ერთად მატჩიც წააგო - 3:6, 6:2, 3:6. რუსმა და ჩინელმა 100-100 ქულა მოიგეს, ამასთან, ამ მონაგარის თითქმის ნახევარი შარაპოვამ მეტოქეს უნებლიე შეცდომებით (47) აჩუქა.

პოლონელმა **აგნიეშკა რადვანსკამ** მოულოდნელად ძალიან იოლად დაამარცხა არგენტინელი **ხისელა დულკო**. როგორც ჩანს, სამხრეთამერიკელმა დიდი ძალები შეალია წინა წრეში ბელგიელი **ჟუსტინ ანენის** დამარცხებას და პოლონელის წინაშე სრულიად გამოფიტული ჩანდა. რადვანსკას უპირატესობაზე ანგარიშიც კარგად მეტყველებს - საათსა და 7 წუთში დულკომ მხოლოდ ერთი გეიმი აიღო და 1:6, 0:6 დამარცხდა.

დაბოლოს, ერთი ინფორმაცია კრიზისში მყოფი **ანა ივანოვიჩის** შესახებ. მეორე წრეში ლატვიელ **ანასტასია სევასტოვასთან** წაგების (2:6, 4:6) შემდეგ გაირკვა, რომ სერბი ჩოგბურთელი მომავალი კვირიდან რეიტინგის საუკეთესო ორმაცდაათეულის მიღმა აღმოჩნდება და სავარაუდოდ, თიხნარის სეზონის ზოგიერთ ტურნირზე საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში მოუწევს. რეიტინგში ასეთი ვარდნა იმით არის გამოწვეული, რომ ანა შარშან ინდიან უელსის ფინალში თამაშობდა და წლევანდელი კრახის გამო ქულების კოლოსალური მარაგი გაფლანგა.



### ATP

**BNP Paribas. ინდიან უელსი (აშშ)**

**საპ. ფონდი: 3 645 000 დოლარი. ჰარდი**

**II წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 6:7(5), 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:4, 6:4; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 6)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:2, 6:4; **ენდი როდიკი (აშშ, 7)**-იან-ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:4, 6:4; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 9)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:1, 6:3; **სიმონ გროული (გერ)**-გაელ მონფილსი (საფ, 12) 1:6, 6:2, 6:3; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ)**-დავიდ ფერერი (ესპ, 13) 6:1, 6:4; **დუდი სელა (ისრ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 14) 6:4, 1:6, 6:2; **ტომი რობრედო (ესპ, 18)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 3:6, 6:3, 7:5; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 22)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:4, 6:1; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 23) 7:5, 7:6(5); **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 24)**-რიკარდო მელო (ბრა) 3:6, 6:4, 6:4; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 27)**-არნო კლემანი (საფ) 7:6(7), 6:1; **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 28)**-პოლ-ანრი მატიო (საფ) 3:6, 6:3, 6:4; **ტიემო დე ბაკერი (ჰოლ)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 30) 3:2 ტიპსარევიჩის უარი; **მაიკლ რასელი (აშშ)**-იგორ ანდრეევი (რუს, 32) 4:6, 6:3, 6:2.

### WTA

**BNP Paribas. ინდიან უელსი (აშშ)**

**საპ. ფონდი: 4 500 000 დოლარი. ჰარდი**

**1/16 ფინალი**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 2)**-მარია კირილენკო (რუს, 32) 6:0, 6:3; **ელენა დემენტევა (რუს, 4)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:4, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 5)**-ხისელა დულკო (არგ, 31) 6:1, 6:0; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 18)**-მარია შარაპოვა (რუს, 10) 6:3, 2:6, 6:3; **მარიონ ბარტოლი (საფ, 11)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:0; **არავან რეზაი (საფ, 19)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 15) 6:7(4), 7:6(2), 6:4; **ნადია პეტროვა (რუს, 16)**-შუაი პენგი (ჩინ) 6:1, 7:5; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:0, 6:2.

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ისინბაევას კრახი და ერთი რეკორდი




კატარის დედაქალაქ დოჰაში სამი დღე მიმდინარეობდა დარბაზებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ბევრმა ძლიერმა ათლეტმა მოიყარა თავი.

ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობა გახდა რუსი ჭოკით მხტომელის - **ელენა ისინბაევას** სუსტი გამოსვლა. ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე მსოფლიოს რეკორდსმენმა დიდი გაჭირვებით, მესამე ცდაზე გადალახა წინასწარ დადგენილი ნორმატივი. ფინალში ისინბაევამ უპრობლემოდ აიღო 4.60 მეტრი, რის შემდეგაც ორი სიმაღლე გამოტოვა და 4.75 მეტრზე მიიტანა იერიში. ეს სიმაღლე რუსისთვის პრობლემა არასოდეს ყოფილა, მაგრამ პირველი ცდის გაფუჭების შემდეგ ისინბაევა ანერვიულდა და შემდეგი ორი ნახტომიც გააფუჭა. ამასობაში, მსოფლიოს საზაფხულო ჩემპიონმა, პოლონელმა **ანა როგოვსკამ** 4.70 მეტრი დასძლია და რუსს გაუსწრო. პირველი ადგილისთვის ბრძოლა კი ბრაზილიელმა **ფაბიანა მიურერმა** და რუსმა **სვეტლანა ფეოფანოვამ** გამართეს. ორივემ ერთნაირი შედეგი - 4.80 მეტრი აჩვენა, მაგრამ ბრაზილიელმა ამ სიმაღლის დაძლევას უფრო ნაკლები ცდა მოანდომა და ჩემპიონიც ის გახდა.

ისინბაევა აშკარა კრიზისშია. დოჰაში ის ზამთრის ჩემპიონატის მეოთხედ მოსაგებად და მსოფლიოს რეკორდის დასამყარებლად ჩავიდა, მაგრამ ზედიზედ მეორე დიდ ტურნირზე მოეცარა ხელი. შეგახსენებთ, რომ შარშან ბერლინში გამართულ პლანეტის პირველობაზე რუსი ასევე საპრიზო სამეულის მიღმა დარჩა.

კატარში წარუმატებლობის შემდეგ ისინბაევამ განაცხადა, რომ დასვენებისთვის დრო სჭირდება. *"ჩემგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან და ეს ძალიან რთულია. ტაიმ-აუტის აღება და ერთი წელი დასვენება მინდა, მაგრამ არ იფიქროთ, რომ სპორტის მიტოვებას ვაპირებდე. აუცილებლად გამოვალ ლონდონის ოლიმპიადაზე და მოსკოვის მსოფლიოს ჩემპიონატზე"*, - აცხადებს რუსი ათლეტი.

ისინბაევასგან განსხვავებით, კაცების ჭოკით ხტომაში ფავორიტის სტატუსი გაამართლა ავსტრალიელმა **სტივენ ჰუკერმა**. მოქმედ ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს დოჰაში რეალური კონკურენტები არ ჰყოლია. გერმანელებმა - **მორმა** და **შტრაუბმა** მოკრძალებული შედეგებით მოიპოვეს საპრიზო ადგილები - 5,70 და 5,65 მეტრი. სტივენმა კი ძალიან იოლად აიღო 5,80 მეტრი. უკვე ჩემპიონის რანგში ჰუკერმა მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდს შეუტია, რომელიც ლეგენდარულ **სერგეი ბუბკას** ეკუთვნოდა და მესამე ცდაზე გააუმჯობესა უკრაინელის შედეგი - 6,01 მეტრი! ამის შემდეგ ავსტრალიელმა იმავე ბუბკას მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესება სცადა, მაგრამ 6,16 მეტრზე ხტომისას ორჯერ ისე სახიფათოდ დაეშვა ლეიბზე, რომ კინაღამ თავი დაისახიჩრა. სხვათა შორის, ჰუკერს ოქროს მედალი თვით სერგეი ბუბკამ გადასცა.

ასევე არ ყოფილა ბრძოლა ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში. ხორვატმა **ბლანკა ვლასიჩმა** დამაჯერებლად აიღო 2-მეტრიანი სიმაღლე და როცა ოქრო განაღდებული ჰქონდა, მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდზე (2,05 მეტრი) მიიტანა იერიში. ბლანკამ ვერ გაიმეორა ჰუკერის გმირობა და სამივე ცდაზე ხელი მოეცარა, არადა, ზაფხულის ტურნირებზე ეს სიმაღლე არაერთხელ აქვს დაძლეული.

ძალიან საინტერესო იყო 60 მეტრზე თარჯრბენში ფინალი, სადაც ბრწყინვალე კომპანია იყო შეკრებილი - ორი ძლიერი ამერიკელი **ტრემელი** და **ოლივერი**, დიდ სპორტში დაბრუნებული **ლიუ სიანი** და კუბელი ოლიმპიური ჩემპიონი **დაირონ რობლესი**. ჩინელი აშკარად არ არის საუკეთესო ფორმაში და მხოლოდ მეშვიდე მივიდა ფინიშთან. ბრინჯაო ოლივერმა მოიპოვა, პირველი ადგილისთვის კი ტრემელი და რობლესი იბრძოდნენ. მათ ერთნაირი დრო აჩვენეს, მაგრამ ფოტოფინიშმა უპირატესობა კუბელს მიანიჭა.

სტაიერულ დისტანციებზე დომინირების ხარჯზე ეთიოპიის ნაკრებმა საერთო გუნდური მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა გრძელ დისტანციებზე ერთი ოქრო მაინც დაკარგა. კენიური წარმოშობის ამერიკელმა, 35 წლის **ბერნარდ ლაგატმა** 3000 მეტრზე გაიმარჯვა. სხვათა შორის, პირველად ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ამ დისციპლინაში პოდიუმზე ეთიოპიელი სტაიერები ვერ ვიხილეთ.

პლანეტის პირველობას მსოფლიოს რეკორდის გარეშე არ ჩაუვლია. ამ მიღწევის ავტორი მოულოდნელად 20 წლის ფრანგი იუნიორი **ტედი ტამგო** გახდა, რომელიც სამხტომში გამოდიოდა.

ახალგაზრდა ათლეტი ბოლო ცდამდე აგებდა კუბელ **იოანდრის ბენაზოსთან**, მაგრამ ტამგოს ბოლო ნახტომი ოქროსი აღმოჩნდა. 7 მეტრი და 90 სანტიმეტრი - ასეთი იყო ფრანგის შედეგი, რამაც მას ჩემპიონის ტიტული და მსოფლიოს რეკორდი მოუტანა. ტამგომ შვიდი სანტიმეტრით გააუმჯობესა 13 წლის წინანდელი რეკორდი, რომელიც კუბელ **ალიესერ ურუტიას** ეკუთვნოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**მედლების ცხრილი**

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 8 | 3 | 6 | 17 |
| 2. ეთიოპია | 3 | 0 | 2 | 5 |
| 3. რუსეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| 4. ბრიტანეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 5. ავსტრალია | 2 | 0 | 1 | 3 |
| 6. კუბა | 1 | 3 | 1 | 5 |
| 7. ბელარუსი | 1 | 1 | 1 | 3 |
| 8. ბრაზილია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 8. იამაიკა | 1 | 0 | 1 | 2 |
| 10. ბაჰამა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. ხორვატია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. ყაზახეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 10. სუდანი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 15. ესპანეთი | 0 | 3 | 0 | 3 |
| 16. კენია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 17. გერმანია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 18. კანადა | 0 | 1 | 1 | 2 |
| 19. ბელგია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. მაროკო | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ა. ზელანდია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. პორტუგალია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ს. აფრიკა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. უკრაინა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19. ვირჯინის კ-ები | 0 | 1 | 0 | 1 |
| 26. პოლონეთი | 0 | 0 | 2 | 2 |
| 27. ანტიგუა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 27. ბულგარეთი | 0 | 0 | 1 | 1 |

**ყველა ჩემპიონი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| **60 მეტრი** | |
| დუეინ ჩემბერსი (ბრიტ) | 6,48 |
| **400 მეტრი** | |
| კრის ბრაუნი (ბაჰ) | 45,96 |
| **800 მეტრი** | |
| აბუბაკერ კაკი (სუდ) | 1.46,23 |
| **1500 მეტრი** | |
| დერესე მეკონენი (ეთი) | 3.41,86 |
| **3000 მეტრი** | |
| ბერნარდ ლეგატი (აშშ) | 7.37,97 |
| **60 მ/თარჯრბენი** | |
| დაირონ რობლესი (კუბ) | 7,34 |
| **4x400 მეტრი** | |
| აშშ | |
| **ჭოკით ხტომა** | |
| სტივენ ჰუკერი (ავსტრა) | 6,01 |
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| ივან უხოვი (რუს) | 2,36 |
| **სიგრძეზე ხტომა** | |
| ფაბრის ლაპიერი (ავსტრა) | 8,17 |
| **სამხტომი** | |
| ტედი ტამგო (საფ) | 17,90 |
| **ბირთვის კვრა** | |
| კრისტიან კანტუელი (აშშ) | 21,83 |
| **მრავალჭიდი** | |
| ბრაიან კლეი (აშშ) | 6204 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| **60 მეტრი** | |
| ვერონიკა კემპბელი (იამ) | 7,00 |
| **400 მეტრი** | |
| დები დანი (აშშ) | 51,04 |
| **800 მეტრი** | |
| მარია სავინოვა (რუს) — 1.58,26 | |
| **1500 მეტრი** | |
| კალკიდან გეზაგენე (ეთი) | 4.08,14 |
| **3000 მეტრი** | |
| მესერეტ დეფარი (ეთი) | 8.51,17 |
| **60 მ/თარჯრბენი** | |
| ლოლო ჯონსი (აშშ) | 7,72 |
| **4x400 მეტრი** | |
| აშშ | 3.27,34 |
| **ჭოკით ხტომა** | |
| ფაბიანა მიურერი (ბრა) | 4,80 |
| **სიმაღლეზე ხტომა** | |
| ბლანკა ვლაშიჩი (ხორ) | 2,00 |
| **სიგრძეზე ხტომა** | |
| ბრიტნი რისი (აშშ) | 6,70 |
| **სამხტომი** | |
| ოლგა რიპაკოვა (ყაზ) | 15,14 |
| **ბირთვის კვრა** | |
| ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბლრ) | 20,85 |
| **მრავალჭიდი** | |
| ჯესიკა ენისი (ბრიტ) | 4937 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლებრონმა ერთი ტაიმი იკმარა

აღმოსავლეთ კონფერენციაში დიდი ოთხეულის გუნდებს შორის მატჩები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. „კლივლენდს", „ორლანდოს", „ატლანტასა" და „ბოსტონს" შორის კლასში სხვაობა მცირეა, ამიტომაც პლეი ოფის წინ საკუთარი მოედნის უპირატესობისთვის ბრძოლა მოსაწყენი ნამდვილად არ იქნება.

„კავალიერზისა" და „ბოსტონის" ბოლოდროინდელი პრინციპული დაპირისპირება თანდათანობით ომში გადაიზარდა. ამ დუელის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ის გახლავთ, რომ „კავალერისტები" აღმავლობის გზაზე არიან, „კელტებს" კი პირიქით, თავიანთი ლიდერების საპენსიო ასაკის გამო თანდათან ელევათ საჩემპიონო ამბიციები.

რთულია ყოველ მატჩში გამარჯვება მოსთხოვო გუნდს, რომლის ხუთმა მოთამაშემ 32 წელს გადააბიჯა. მომენტებში მათ აუცილებლად ესაჭიროებათ დასვენება და ზოგჯერ პაუზას პირდაპირ თამაშის დროს, მოედანზე იღებენ. **დოკ რივერსის** შეგირდების პრობლემები განსაკუთრებით დაცვაში იჩენს თავს, არადა სწორედ აქ არის აუცილებელი მთელი მატჩის განმავლობაში შენყობილად და ზუსტად მოქმედება. რეგულარული ჩემპიონატის ლიდერთან ყველა ამ პრობლემის ერთად გადაჭრა „ბოსტონმა" ვერ მოახერხა.

რაც შეეხება „კლივლენდს", მართალია მან აპრილის შუა რიცხვებამდე დაკარგა **შაკილ ო'ნილი**, მაგრამ ამით მისი კალათბურთი არ დაზარალებულა. **ანტუან ჯეიმისონის** შეძენითა და ძირითად ცენტრად **ჯეი ჯეი ჰიქსონის** გადაყვანის შემდეგ, გუნდის თამაში უფრო სწრაფი გახდა. ამასთან, სათადარიგოთა სკამიდან შესანიშნავად ერთვება ბრძოლაში **ანდერსონ ვარეჟაო**, რომლის აქტიური ბრძოლა სამწამიანში ბევრ პრობლემას უქმნის მეტოქეებს.

სწორედ ამ ტრიოს ძალისხმევით „კლივლენდმა" დამაჯერებლად დაიწყო შეხვედრა და პირველი მეოთხედი 24:18 მოიგო. მეორე 12-წუთეულშიც ვარეჟაო, ჰიქსონი და ჯეიმისონი აგრძელებდნენ მეტოქის დაცვის ტერორიზებას - ისინი მეტოქის ფარზე მოხსნებს აგროვებდნენ და მალე თავიანთი გუნდის უპირატესობა 9 ქულამდე გაზარდეს. „ბოსტონმა" საპასუხოდ **პოლ პირსისა** და **რეი ალენის** დუეტი გაააქტიურა და დიდ შესვენებამდე ისევ ექვს ქულამდე დაიყვანა ჩამორჩენა - 54:48 „კლივლენდის" სასარგებლოდ. მასპინძელთა მთავარმა ვარსკვლავმა **ლებრონ ჯეიმსმა** სასტარტო 24 წუთში თავის აქტივში მხოლოდ 6 ქულა ჩაიწერა.

„მეფის" დრო მოგვიანებით დადგა. მესამე და მეოთხე მეოთხედები მთლიანად 25 წლის ფორვარდის ანგარიშზე უნდა ჩაიწეროს. ჯეიმსმა აქტიურობას უმატა. ამჯერად ის უფრო ხშირად ფარქვეშ შესვლას ანიჭებდა უპირატესობას და მეტოქე კალათბურთელები პერსონალურებით აავსო. მთელი მატჩის განმავლობაში ლებრონმა 16 საჯარიმო შეასრულა - **რაჟონ რონდო, კენდრიკ პერკინსი** და სხვები მონაცვლეობით მეურვეობდნენ ჯეიმსს, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ მასპინძელთა ლიდერს. შესაბამისად, „კავალიერზის" უპირატესობა არითმეტიკული პროგრესიით იზრდებოდა.

ბოლო მეოთხედის წინ ლებრონის ანგარიშზე უკვე 19 ქულა იყო („კლივლენდი" 80:72 ლიდერობდა), მატჩის ბოლოსთვის კი 30-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. ანგარიშში მაქსიმალურ სხვაობას **მაიკ ბრაუნის** შეგირდებმა მეოთხე მეოთხედის შუაში მიაღწიეს, როცა შვიდი წუთის განმავლობაში ერთი ქულაც არ აალებინეს მეტოქეს. თავად მასპინძლებმა ეს მონაკვეთი 13:0 მოიგეს და ფაქტობრივად გაინაღდეს მოგება - 89:72. დარჩენილ დროში მეტოქეები მშვიდად ელოდნენ საფინალო სირენას - სტუმრები გრძნობდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. „კლივლენდმა" 104:83 გაიმარჯვა. ამ გუნდმა 27 ქულა შეტევაში მოხსნების შემდეგ დააგროვა და სულ 8 შეცდომა დაუშვა. „სელტიქსმა" კი თამაშს უნდა მოუმატოს. პლეი ოფამდე ერთი თვეა დარჩენილი, „კელტები" კი ზურგს უკან „მილუოკის" სუნთქვას გრძნობენ.

გუშინდელი სათამაშო დღე გამორჩეული იყო „ფინიქს სანზის" გამთამაშებელ **სტივ ნეშისთვის**, რომელმაც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მე-1000 მატჩი ჩაატარა. კანადელი გახდა მეათე მოქმედი კალათბურთელი, ვინც ამ ზღვარს მიაღწია. „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ ნეშმა ორმაგი დუბლი შეასრულა - 13 ქულა და 12 შედეგიანი პასი.



**მილუოკი-ინდიანა 98:94**

23:19, 26:22, 27:21, 22:32

მ: სტეკპაუსი (20), ბოგუტი (17+12 მოხსნა+3 დაფარება), რიდნური (13), სალმონსი (12+3 ჩაჭრა).

ი: გრეინჯერი (29), უოტსონი (15+5 მოხსნა), მერფი (14+13 მოხსნა), რაში (13).

**კლივლენდი-ბოსტონი 104:93**

24:18, 30:30, 26:24, 24:20

კ: ჯეიმსი (30+8 მოხსნა+7 პასი), ვარეჟაო (17+10 მოხსნა), ჯეიმისონი (15+12 მოხსნა), უილიამსი (14+6 პასი+5 მოხსნა), ჰიქსონი (12).

ბ: ალენი (20+6 მოხსნა+5 პასი), გარნეტი (18+7 მოხსნა), პირსი (18), რონდო (16+8 მოხსნა+6 პასი).

**მაიამი-ფილადელფია 104:91**

31:21, 26:28, 21:24, 26:18

მ: უეიდი (38+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჯონსი (14), ჰასლემი (13+12 მოხსნა), აროიო (12+10 პასი), ო'ნილი (10+8 მოხსნა).

ფ: კაპონო (17), იგუოდალა (15+9 პასი+6 მოხსნა), იანგი (14+8 მოხსნა).

**ორლანდო-შარლოტი 89:96**

25:26, 28:25, 15:21, 21:24

ო: ჰოვარდი (27+16 მოხსნა), კარტერი (23+6 პასი), პიეტრუსი (20+5 მოხსნა).

შ: ჯექსონი (28+6 მოხსნა+6 პასი), ფელტონი (16+7 პასი), გრემი (12+6 მოხსნა), რატლიფი (10+9 მოხსნა).

**ოკლაჰომა-იუტა 119:111**

29:26, 30:23, 31:30, 29:32

ო: დურანტი (35), უესტბრუკი (30+11 პასი), გრინი (14), სეფოლოშა (13+6 მოხსნა), კრსტიჩი (13).

ი: მეტიუზი (29), უილიამსი (27+14 პასი), ბუზერი (18+11 მოხსნა+5 პასი), მილსეპი (13+5 მოხსნა), კორვერი (11).

**ფინიქსი-ნიუ ორლეანი 120:106**

34:22, 21:27, 28:22, 37:35

ფ: სტაუდმაიერი (36+12 მოხსნა), რიჩარდსონი (20), ნეში (13+12 პასი), დადლი (13), ლოპესი (10).

ნ-ო: ტორნტონი (28), უესტი (24+7 მოხსნა), ოკაფორი (15+12 მოხსნა), კოლისონი (13+10 მოხსნა), პიტერსონი (13).

**პორტლენდი-ტორონტო 109:98**

32:30, 28:19, 25:29, 24:20

პ: ოლდრიჯი (22+12 მოხსნა), ბატუმი (22), როი (20+5 პასი), მილერი (13+7 მოხსნა+5 პასი), კემბი (12+6 მოხსნა), ფერნანდესი (12).

ტ: ბოში (28+7 მოხსნა), თურქოგლუ (14+5 მოხსნა), ჯონსონი (13+6 მოხსნა), დეროზანი (12), კალდერონი (11+7 პასი), ბარნიანი (11).

**საკრამენტო-მინესოტა 114:100**

32:28, 32:21, 30:12, 20:39

ს: ევანსი (29+11 პასი+9 მოხსნა), გრინი (19+8 მოხსნა), ტომპსონი (15+8 მოხსნა), ლენდრი (13+6 მოხსნა), ნოჩიონი (12+6 მოხსნა).

მ: ჯეფერსონი (22+10 მოხსნა), ელინგტონი (15), გომესი (14+6 მოხსნა), სეშენსი (13), ფლინი (12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| ლივერპული-პორტსმუთი | 4:1 |
| **II ლიგა** | |
| ნოტსი-ბორნმუთი | 2:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| გროსეტო-მანტოვა | 1:1 |
| ალბინოლეფე-ტრიესტინა | 0:3 |
| **ესპანეთი** | |
| ატლეტიკო-ოსასუნა | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-მიუნხენი | 0:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-ნანტი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ემენი | 3:1 |
| ვეენდამი-დორდრეხტი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| ფერეირა-მარიტიმუ | 1:0 |
| **დანია** | |
| ორჰუსი-სილკებორგი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ვიკინგი | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბილი-ვოლენი | 1:0 |

| | |
|---|---|
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-ბანიკი | 1:1 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ანაგენისი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| ტრასივულოსი-იონიკოსი | 3:1 |
| **თურქეთი** | |
| დენიზლი-ბეშიქთაში | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| სამსუნი-ბუკა | 0:3 |
| **ბულგარეთი** | |
| ჩერნომორეცი-ბეროე | 0:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-მაკაბი (თ-ა) | 1:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავტომობილისტი-ს. იულიაევი | 1:8 |
| ტრაქტ.-მეტალურგი (მ) | 2:2 დ.დ. 0:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-ჰვიდოვრე | 5:4 |
| სენდერიისკი-რუნგსტედი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-პოპრადი | 0:0 ბულ. 1:0 |
| მარტინი-სკალიცა | 2:6 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ფერერო-მონაკო | 6:7, 6:3, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-კოლშრაიბერი | 6:3, 2:6, 7:6 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| პავლიუჩენკოვა-სტოსური | 3:6, 0:6 |
| პენეტა-პეერი | 4:6, 7:6, 1:6 |

## TV პროგრამა

**16 მარტი. სამშაბათი**

**I არხი**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ინტერი (LIVE).

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ცსკა (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-პორტსმუთი.
11:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
13:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი.
15:25 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. კოტბუსი. გერმანია.
18:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.
20:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ინტერი (LIVE).
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ცსკა.
03:25 პოკერი.
04:15 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. კოტბუსი. გერმანია.
07:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ვესტ ჰემი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. რეალი-ლიონი.
10:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:30 ფიგურული სრიალი. ვანკუვერის ოლიმპიადის შეჯამება.
12:05 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. კოტბუსი. გერმანია.
15:05 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. რეალი-მაკაბი.
16:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
18:30 ფიგურული სრიალი. ვანკუვერის ოლიმპიადის შეჯამება.
19:05 100% დინამო.
19:25 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-ფიორენტინა.
21:10 ზამთრის ოლიმპიური თამაშები. თხილამურებით რბოლა. 15 კმ. კაცები. ვანკუვერი. კანადა.
23:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სევილია-ცსკა (LIVE).
01:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ინტერი.
03:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. VI ტური. რეალი-მაკაბი.
06:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.

**EUROSPORT**

11:30 მძლეოსნობა. მარათონი. ტოკიო. იაპონია.
12:30 მულტისპორტი.
12:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/16 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ.
17:30 ველოსპორტი. ტირენო-ადრიატიკო. VI ეტაპი. იტალია.
18:00 ველოსპორტი. ტირენო-ადრიატიკო. VII ეტაპი. იტალია (LIVE).
19:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
21:45 ევროგოლი. მარჩელო ლიპი. ტელეჟურნალი.
22:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:10 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
00:00 პარაოლიმპიური თამაშები. სამთო-სათხილამურო სპორტი. ვანკუვერი. კანადა (LIVE).
02:00 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. II რბოლა. საჰირი. ბაჰრეინი.
02:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ფილადელფია 3:1**

0:1, 2:0, 1:0

გოლები: 0:1 ბრიერი-24 (მ. კარლი-25), 1:1 შ. ეივერი-9 (რედენი-11, კრისტენსენი-11), 2:1 როჟსივალი-3 (კრისტენსენი-12, დრური-15), 3:1 შ. ეივერი-10 (ჟირარდი-13, დრური-16).

**ატლანტა-ფინიქსი 2:3 (ბ)**

0:0, 0:1, 2:1, 0:0

გოლები: 0:1 ლომბარდი-15 (იენდლი-22, დოუგი-33), 1:1 აფინოგენოვი-21 (ანტროპოვი-39, ენსტრიომი-38), 1:2 სტემპნიაკი-20 (პიატი-9, იენდლი-23), 2:2 ანტროპოვი-18 (აფინოგენოვი-31, პეინსი-15).

ბულიტები გაიტანეს: პევერლი (ატლანტა), ვრბატა (ფინიქსი), ა. ოკუანი (ფინიქსი).

**დალასი-კოლორადო 3:5**

1:1, 2:3, 0:1

გოლები: 0:1 ჰეიდუკი-18 (კამისკი-10, ბ. კლარკი-16), 1:1 ბენი-17 (ნილი-23, დელეი-11), 1:2 ტაკერი-6 (ჰეიდუკი-16, კამისკი-11), 2:2 სეგალი-4 (ბ. რიჩარდსი-55, ფისტრიჩი-8), 3:2 სეგალი-5 (რიბეირო-28, ფისტრიჩი-9), 3:3 პ. შჩასტნი-15 (პ. მიულერი-19, ლაილსი-22), 3:4 კ. სტიუარტი-26 (ტაკერი-12, რ. ო'რაილი-15), 3:5 პ. შჩასტნი-16 (ჰენდრიკსი-5).

**ტამპა ბეი-პიტსბურგი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

გოლები: 1:0 ლეკავადლიე-20 (ფედორუკი-3, ჰედმანი-15), 1:1 დუპუი-17 (ჯ. სტაალი-27, მ. კუკი-14), 1:2 გონჩარი-10 (კროსბი-42, პონიკაროვსკი-24).

**ლოს ანჯელესი-ნეშვილი 2:3**

1:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 სალივანი-13 (გოკი-12, რ. სუტერი-30), 1:1 კოპიტარი-32 (ჰანძუში-22), 2:1 დ. ბრაუნი-17 (დაუტი-39), 2:2 კ. უილსონი-6 (ერატი-24, არნოტი-24), 2:3 ჰორნკვისტი-26 (ჰამჰუისი-17, ლეგვანდი-25).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 3:4 (ო)**

2:0, 1:2, 0:1, 0:1

გოლები: 1:0 ტეუვზი-21 (ჰიალმარსონი-11, პ. კეინი-50), 2:0 ტეუვზი-22 (შარპი-36, პ. კეინი-51), 3:0 მადენი-10 (კეიტი-48), 3:1 ლეიჩი-22 (მაიკ გრინი-51, ბექსტრიომი-55), 3:2 ბექსტრიომი-27 (კორვო-10, მაიკ გრინი-52), 3:3 ფერი-18 (შტეკელი-8, კარლსონი-3), 3:4 ბექსტრიომი-28.

**აილენდერსი-ტორონტო 4:1**

2:1, 1:0, 1:0

გოლები: 0:1 კულემინი-15 (გრაბოვსკი-21), 1:1 ჯეკმენი-4 (პარკი-17, ჟილი-1), 2:1 პარკი-8 (კომო-13, ჰილენი-16), 3:1 ნილსენი-10 (კომო-14, სიმი-4), 4:1 მოულსონი-25 (ბელეი-18, კომო-15).

**მინესოტა-სტ. ლუისი 4:2**

3:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ბრუნეტი-20 (ბარკერი-13, მ. კოივუ-42), 2:0 მ. კოივუ-19 (მიეტინენი-18, ჰავლატი-31), 3:0 ლატენდრესი-25 (ჰავლატი-32, ზენონი-10), 4:0 მიეტინენი-17 (მ. კოივუ-42, ბრუნეტი-32), 4:1 ბერგლუნდი-12, 4:2 კარია-15 (ოში-26, ბეკსი-25).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 4:2**

3:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 პერი-24 (რაიანი-25, გეტცლაფი-48), 2:0 სელიანე-20 (ს. კოივუ-23), 3:0 ვიშნოვსკი-13 (სექსტონი-10, სელიანე-13), 3:1 ჯ. ტორნტონი-18 (მაკგინი-2, სეტოგუჩი-13), 4:1 რაიანი-29 (ს. კოივუ-24), 4:2 მაკგინი-8 (ჰასკინსი-17).

**ვანკუვერი-კალგარი 3:1**

3:0, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 დ. სედინი-19 (ჰ. სედინი-65, ედლერი-29), 2:0 კესლერი-20 (ბაროუზი-27), 3:0 ჰ. სედინი-28 (დ. სედინი-49, სამუელსონი-23), 3:1 რეგერი-2 (ლენგკოუ-22, გლენკროსი-17).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# მიხაელ შუმახერი: დრო მხიარულად გავატარე!

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში შეაფასა ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ გამართული პირველი რბოლა. ლეგენდარულმა გერმანელმა, რომელმაც კვირას ბაჰრეინში მეექვსე ადგილი დაიკავა, ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ მომენტისთვის მისი გუნდი ლიდერებს ჩამორჩება, მაგრამ სეზონის მსვლელობისას კონკურენტების დაწევა მას არ ესწავლება.

**- მიხაელ, როგორ აფასებთ „დიდ ცირკში“ თქვენს დაბრუნებას?**

- დრო მხიარულად გავატარე! ჩემპიონატის დასაწყისი კარგი გამოვიდა, ყველაფერმა შესანიშნავად იმუშავა. რა თქმა უნდა, ყველანი მონდომებით ვემზადებოდით ამ რბოლისთვის და შედეგიც მივიღეთ. რბოლის ყველაზე საინტერესო მომენტი სტარტი იყო და სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ მთელი ეტაპი ასევე მხიარული იქნებოდა. გუნდის მთავარი მიზანი დისტანციის უშეცდომოდ გავლა და მანქანის ფინიშამდე მიყვანა იყო, რასაც მივაღწიეთ კიდეც.

თავიდან მცირე სირთულეები წარმოიქმნა, მაგრამ ცოტა ხანში ყველაფერი ნორმაში ჩადგა. შემდეგ უბრალოდ კონკურენტების მხრიდან შეცდომას დაველოდეთ. ერთადერთ პიტ-სტოპზე ყველაფერი ზუსტად უნდა შეგვესრულებინა, მით უმეტეს, რომ ტრასა გასწრების საშუალებას არ იძლეოდა.

**- ყველაზე მეტად რამ გაგაოცათ?**

- ყველაზე დიდი ცვლილება საბურავებთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით ეს წინა საბურავს შეეხება, რომელიც უფრო ვიწრო გახდა. ჩემი მართვის სტილისთვის ეს პრობლემა იყო - დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა მანქანისგან მაქსიმალური სიმძლავრის მისაღებად.

**- რა შეიძლება შეიცვალოს ამჟამინდელ ბოლიდში?**

- ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი აეროდინამიკის მიმართულებით. შეიძლება დიზაინის ან მთლიანად მანქანის შეცვლა, მაგრამ ამაზე დიდი დრო და თანხა დაიხარჯება. ასე რომ, რეალურად აეროდინამიკურ მილში მუშაობა და მანქანის სხვადასხვა მიმართულებით ოპტიმიზაციაა შესაძლებელი. განვითარების პროცესი უნდა დავაჩქაროთ, რათა მალე დავეწიოთ ლიდერებს.

**- იმედგაცრუებული ხართ „ფერარისთან“ და „რედ ბულთან“ ჩამორჩენის გამო?**



- ადრეც არაერთხელ ვყოფილვარ ისეთ სიტუაციაში, როცა სეზონის სტარტზე ჩემი გუნდი ძალიან ჩამორჩებოდა, მაგრამ ჩემპიონატის ბოლოს ვაგრძელებდი ტიტულისთვის ბრძოლას. ვიცი, რა სწრაფად შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია როგორც უკეთესობისკენ, ასევე უარესობისკენ. დღეს არ შეიძლება პროგნოზების კეთება და იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ არაფრის გაუმჯობესება არ შეგვიძლია. ზუსტად იქ ვართ, სადაც რეალურად უნდა ვყოფილიყავით. მუშაობას გავაგრძელებთ.

**- საკმაოდ მხნედ გამოიყურებით. რბოლის დროს ფიზიკური პრობლემები არ გქონიათ?**

- სეზონისთვის ინტენსიურად ვვარჯიშობდი, თანაც რბოლა რთული არ ყოფილა. საბურავები მაქსიმალური სიჩქარის განვითარების საშუალებას არ გვაძლევდა. თუ თქვენ დროს გადახედავთ, მიხვდებით, რომ მოსახვევებში უფრო ნელა შევდიოდით, შესაბამისად დატვირთვებიც ნაკლები იყო.

**- ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ ბევრ ახალ წესთან გიწევთ შეგუება. შეიქმნა თუ არა ისეთი სიტუაცია, როცა ვერ ახერხებდით მანქანის საკუთარ ჭკუაზე მართვას?**

- არა. არც ღირს ამაზე ლაპარაკი. მაქსიმუმი უნდა მიიღო იმისგან, რაც გაქვს.

**- უქმეებზე ამბობდით, რომ ნიკო როსბერგს კვალიფიკაციაში ჩამორჩებოდით, მაგრამ რბოლის დროს თქვენი ტემპი წესრიგში იყო. რამდენად კმაყოფილი ხართ თანაგუნდელთან პაექრობით?**

- ვფიქრობ, თანაბარი ბრძოლა გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ რბოლის მსვლელობისას ჩვენ შორის სამი-ოთხი წამის სხვაობა იყო. ორი წამის გაბათილება თავისუფლად შემეძლო. მაგრამ მე კონცენტრირებული ვიყავი იმაზე, რომ წინ არავინ გამეშვა და შეცდომა ამეცილებინა თავიდან. ასე რომ, ყურადღებას არ ვაქცევდი იმას, რაც წინ ხდებოდა.







ჩოგბურთი

# ლეგენდებმა მილიონი შეაგროვეს



ინდიანუელსის ტურნირის პარალელურად ჩოგბურთის ძველმა და ახალმა ვარსკვლავებმა საქველმოქმედო მატჩები ჩაატარეს და ჰაიტიში მიწისძვრით დაზარალებულებისთვის მილიონი დოლარი შეაგროვეს. ამის შესახებ ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება.

საქველმოქმედო მატჩებში მონაწილეობა მიიღეს **როჯერ ფედერერმა, პიტ სამპრასმა, ანდრე აგასიმ, რაფაელ ნადალმა, შტეფი გრაფმა, მარტინა ნავრატილოვამ, ჟუსტინ ანენმა** და **ლინდსი დავენპორტმა.**

პირველ მატჩში ნავრატილოვასა და ანენის დუეტმა 8:6 დაამარცხა დავენპორტისა და გრაფის წყვილი. ასეთივე ანგარიშით დასრულდა კაცების მატჩი. ფედერერისა და სამპრასის ტანდემმა აგასისა და ნადალის დუეტს მოუგო.

*„ასეთი დონის მატჩებში მონაწილეობის შემდეგ თავს ყოველთვის კარგად გრძნობ, თუმცა შეხვედრის გამართვის საბაბია მეტად არასახარბიელო. კარგი იქნებოდა აქ უბრალოდ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე შევკრებილიყავით,* - განაცხადა ამ აქციის შემდეგ მარტინა ნავრატილოვამ. - *თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენს სანახავად გაცილებით ნაკლები ხალხი შეიკრიბებოდა. ამ საღამოს საქველმოქმედო ხასიათი საშუალებას გვაძლევს, უფრო მეტი გავაკეთოთ დაზარალებულებისთვის“.*

გოლფი

# მის ტაიგერ ვუდსი

ლეგენდარულ გოლფისტ **ტაიგერ ვუდსს** კვლავ არ ასვენებენ ყოფილი საყვარლები. მათ ის არ იკმარეს, რომ ყველა გამოცემაში ჰყვებოდნენ სპორტსმენთან სექსუალური თავგადასავლების შესახებ. ახლა გოგონებმა ერთმანეთში სილამაზის კონკურსი მოაწყვეს, რომლის გამარჯვებულიც ოფიციანტი **ჯეიმი ჯანგერსი** გახდა.

27 წლის ქერათმიანმა ქალბატონმა უკან ჩამოიტოვა ორი კონკურენტი და მთავარ პრიზთან ერთად 100 ათასი დოლარიც გამოიმუშავა. ეს კონკურსი ამერიკელი ტელეწამყვანის - **ჰოვარდ სტერნის** მიერ იყო ორგანიზებული, რომელმაც ამისთვის საკუთარი ტელეშოუ გამოიყენა.

კონკურსში სამი ქალი მონაწილეობდა - ჯეიმი ჯანგერსი, **ლორდანა ჯოლი** და **ჯეიმი გრაბსი**. ვუდსის კიდევ ორმა ყოფილმა საყვარელმა - **ჰოლი სიმპსონმა** და **ჟოსელინ ჯეიმსმა** უარი აქვეს სილამაზის კონკურსში მონაწილეობაზე - ისინი სპორტსმენის რისხვას მოერიდნენ.

მთავარი პრიზის მაძიებლები ტელემაყურებლის წინაშე ბიკინიში გამოწყობილნი გამოცხადნენ. ისინი სიამოვნებით პასუხობდნენ შეკითხვებს, რომელიც ტაიგერ ვუდსთან ურთიერთობას შეეხებოდა. თითოეულმა კონკურსანტმა დეტალებში მოჰყვა ტაიგერის გაცნობის ისტორია. მათ აგრეთვე სხვადასხვა ინტიმური წვრილმანიც გაამხილეს. მოსმენილის



შეჯამებისას შოუს წამყვანმა ჰოვარდ სტერნმა განაცხადა, რომ ყველაზე მეტად ჯანგერსის ისტორია მოეწონა და ამ ქალს მან ვუდსის ნამდვილი საყვარელი უწოდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**